დრო, პროგდემები, მოვლენები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1988

60.4 (3)
ด84

კრებულში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, ნაჩვენებია სკკპ როლი მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მთელს მსოფლიოში.

განკუთვნილია სტუდენტების, პროპაგანდისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები: ლ. ალექსიძე, კ. ანთაძე, ს. ცინცაძე

რეცენზენტები: ა. მენთეშაშვილი, ი. ტაბაღუა

©თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988

0801000000
К ————————
М 608 (06) —88

ტრისტან ლაბარტუავა

სკკპ XXVII ყრილობა იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების შესახებ თანამედროვე ეტაპზე

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გაიზარდა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა. ამ ბრძოლაში ჩვენი პარტია მდიდარ ლენინურ მემკვიდრეობას ეყრდნობა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „პროლეტარიატის პარტია არის თავისუფალი კავშირი, რომელიც არსდება ბურჟუაზიის „აზრებთან“ (წაიკითხე: იდეოლოგიასთან) საბრძოლველად, ერთი გარკვეული, სახელდობრ: „მარქსისტული მსოფლმხედველობის დასაცავად და განსახორციელებლად“ [1].

მშრომელთა შეგნებაში მოწინავე მარქსისტული იდეოლოგიის განმტკიცება მჭიდროდაა დაკავშირებული ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის პოლიტიკური მუშაობის შემადგენელი ნაწილია და იდეოლოგიური მუშაობის იმ მიმართულებას განეკუთვნება, რომელსაც კონტრპროპაგანდა ეწოდება.

პირველად საკითხი კონტრპროპაგანდისტული მუშაობის მნიშვნელობის შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ ჯერ კიდევ დასმული იქნა 1920 წლის 21 დეკემბერს საბჭოების მე-8 ყრილობის რკპ (ბ) ფრაქციის სხდომაზე, სადაც კონცესიების გაცემის საკითხიც იხილებოდა. ვ. ი. ლენინი შეეხო რა ამ პრობლემას, აღნიშნა, რომ მართალია გამოთქვამენ შიშს, რომ კონცესიების გაცემის შემთხვევაში კონცესიონერები განსაკუთრებულ პირობებს შეუქმნიან თა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 335.

ვიანთ მუშებს, რაც პროპაგანდა იქნება ჩვენს მუშათა კლასს შორის, მაგრამ „ნუთუ, — სვამდა საკითხს ვ. ი. ლენინი,—ასეთი პროპაგანდისაგან აქ თავს ვერ დაიცავთ ჩვენი კონტრპროპაგანდით, ნუთუ ჩვენ ვერ შევძლებთ დავუმტკიცოთ მუშებს, რომ კაპიტალიზმს, რა თქმა უნდა, შეუძლია თავისი მუშების განსაზღვრულ ჯგუფებს უკეთესი პირობები შეუქმნას, მაგრამ რომ ამით მუშათა დანარჩენი მასის პირობები არ უმჯობესდება“ [1]. ლენინის ამ გამოსვლაში განსაზღვრულია კონტრპროპაგანდისტული მუშაობის მნიშვნელობა. დღეს ცხოვრების სოციალისტური წესი კაპიტალისტურ წესს უპირისპირდება არა როგორც მეცნიერული აბსტრაქცია, არამედ როგორც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში დამკვიდრებული მდიდარი შინაარსისა და განვითარებული ფორმების მქონე რეალობა. ამ საფუძველზე იქმნება მსოფლიოში მარქსისტულ-ლენინური იდეების, რეალური სოციალიზმის მიღწევებისა და უპირატესობების პროპაგანდის შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდების ფართო შესაძლებლობანი. „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია, — ჩაწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, — გააცნოს ხალხებს სიმართლე რეალური სოციალიზმის, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ“ [2]. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი ჩაწერილია, რომ „სოციალიზმი მსოფლიოს წინაშე წარსდგა როგორც წყობილება, რომელსაც უნარი შესწევს ჰუმანისტური ალტერნატივა დაუპირისპიროს ბურჟუაზიული საზოგადოების უადამიანობასა და ძალადობას, სულიერ გამოფიტვას, როგორც წყობილება, რომელიც იცავს და ამრავლებს ცივილიზაციის ჭეშმარიტ ღირებულებებს და უნარისა და ორიენტაციის ძალით უარყოფს კომერციასა და მოგებაზე დაფუძნებულ კულტურას“ [3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 595.
[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. თბ., 1986 წ. გვ. 82.
[3] გაზ. „კომუნისტი“, 1987 წლის 14 მარტი.

მაშასადამე, კონტრპროპაგანდისტული მუშაობა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის შემადგენელი ნაწილია. მისი ფუნქციაა საკუთარი მოქმედების ორგანიზაცია, რათა ხელი შეუშალოს არასასურველი პროპაგანდის გავლენის გავრცელებას და ამით ხელი შეუწყოს მშრომელებში კომუნისტური რწმენის განმტკიცებას.

კონტრპროპაგანდისტული მუშაობის ფუნქცია ორი ნაწილისაგან შედგება: საშინაო და საგარეო ფუნქციებისაგან.

კონტრპროპაგანდისტული მუშაობის საშინაო ფუნქციის ამოცანაა დაიცვას საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა მტრული პროპაგანდის გავლენისაგან, შექმნას წინასწარი იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ბარიერები მისი თავიდან აცილებისათვის, მიაღწიოს იმას, რომ მოსახლეობა შეგნებულად და წინასწარგააზრებულად მიუდგეს და დაინახოს მტრული პროპაგანდის აზრი და მიზნები, ფარდა ახადოს უცხო და მიუღებელ პროპაგანდას და მოახდინოს მისი დისკრედიტაცია.

კონტრპროპაგანდისტული მუშაობის საგარეო ფუნქციის ამოცანაა შეისწავლოს კაპიტალისტურ ქვეყნებში იდეოლოგიური პროცესების განვითარების რეალური ტენდენციები, მოსახლეობის თავისებურებანი, საზოგადოებრივი შეგნების დონე, შეიმეცნოს ის საშუალებები, მეთოდები და ფორმები, რომელთა დახმარებით ხდება საზოგადოებრივი აზრის გამომუშავება მოცემულ ქვეყანაში, ან მოცემულ სოციალურ ერთობლიობაში; იმ დამახასიათებელ და თავისებურ ცილისწამებათა და დამახინჯებათა შესწავლა, რომელსაც მიმართავს მოწინააღმდეგის პროპაგანდა მარქსიზმ-ლენინიზმის, რეალური სოციალიზმისა და საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საბჭოთა ქვეყნის ადამიანებში მაღალი კომუნისტური შეგნებულობის დანერგვა ბევრად არის დამოკიდებული იდეოლოგიურ მუშაკთა აქტივის ოპერატიულ ინფორმირებასა და ორიენტირებაზე. კონტრპროპაგანდა მაშინ შეიძლება იყოს ქმედითი, კონკრეტული, დასაბუთებული, როცა იგი დაფუძნებულია ოპერატიულ ინფორმაციაზე ბურჟუაზიული პროპაგანდის შინაარსის, მიმართულებების, მისი ახალი ტენდენციების, ფორმებისა და მეთოდების შესახებ.

ბურჟუაზიული ორგანიზებული პროპაგანდის გავლენის წინააღმდეგ კონტრპროპაგანდა სამი მეთოდით აწარმოებს მუშაობას. ესენია გამაფრთხილებელი, მხილებადი და შეტევითი.

გამაფრთხილებელი მეთოდი მტრული პროპაგანდის ზემოქმედებისაგან დაცვაა და მიზნად ისახავს მოწინააღმდეგისათვის დასწრებას ისეთ ასპექტებში, როგორიცაა: მშრომელებში სწორ მიზანდასახულობათა ჩამოყალიბება საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებზე; იმ პრობლემათა გაშუქება, რომლებიც მომავალში შეიძლება საზოგადოებრიობის ყურადღების ფოკუსში აღმოჩნდეს და იმპერიალისტური პროპაგანდის ჭორების ობიექტი გახდეს; წინასწარი დამუშავება და თვალსაზრისის ჩამოყალიბება იმ თეორიულ საკითხებზე, რომელთაც ფალსიფიკატორული თავდასხმები მოელის; საბჭოთა ადამიანებში მკაფიო შეხედულებების დანერგვა იდეოლოგიური დივერსიების დასწრების მნიშვნელოვანი ელემენტების საკითხებზე.

კონტრპროპაგანდისტული მუშაობის მხილებადი მეთოდის მიზანია, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე ახსნას ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პროპაგანდის მექანიზმი, სწორად შეიცნოს ამ მექანიზმის მიერ შემუშავებული მეთოდი, ფარდა ახადოს და გამოააშკარავოს ცრუ იდეები, დრომოჭმული აზრები და მცდარი შეხედულებები. რომლის პროპაგანდასაც ბურჟუაზიული პროპაგანდისტული მანქანა აწარმოებს. ვ. ი. ლენინი წერდა: „თუ ამ მხილებათა საშუალებით არა, სხვა მხრივ მასების „პოლიტიკური შეგნებისა და რევოლუციური აქტიურობის აღზრდა შეუძლებელია“ [1]. ამრიგად, მხილებადი მეთოდი ბუნებრივად ესადაგება პარტიის პროპაგანდისტულ მუშაობას, ვინაიდან აქ ფართოდ გამოიყენება, როგორც მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებები, ასევე პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მეთოდები ადგილებზე. ამდენად იგი ნაწილია პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობისა მასების კომუნისტური შეგნებულობის აღზრდისათვის, საბჭოთა ადამიანებში იდეური და პოლიტიკური იმუნიტეტის გამომუშავებისათვის, რაც მასებს საშუალებას აძლევს ორიენტირება მოახდინონ სამეცნიერო და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 519.

პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში. ამავე დროს მხილებადი მეთოდი არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ მოვლენების შესახებ ინფორმირების ოპერატიულობა და მათი შეფასება. მეტად მნიშვნელოვანია, ანალიზის სიღრმით ვჯობნიდეთ მოწინააღმდეგეს, ამით ჩვენი პროპაგანდა ხელს უშლის ბურჟუაზიული სტერეოტიპების განმტკიცებას და ხელს უწყობს მარქსისტულ-ლენინური შეგნების ჩამოყალიბებას. მაშასადამე, იმპერიალისტური პროპაგანდის აქციათა მხილება კლასობრივ-პოლიტიკური ხასიათის საფუძველზე იმ იდეოლოგიური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მუხტის შინაარსის კომენტირება და ახსნაა, რომელიც კონკრეტულ პროპაგანდისტულ მასალაში ძევს. ამიტომ არის, რომ ვ. ი. ლენინი გვასწავლის „ცხადია, ჩვენ საფუძვლად უნდა ავიღოთ არა პირები და არა ჯგუფები, არამედ სწორედ საზოგადოებრივ მიმდინარეობათა კლასობრივი შინაარსის ანალიზი და მათი მთავარი, არსებითი პრინციპების იდეურ-პოლიტიკური გამოკვლევა“ [1].

კონტრპროპაგანდისტული მუშაობის შეტევითი მეთოდის მიზანია, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პროპაგანდის ყოველი აქტის კრიტიკამ ხელი შეუწყოს საბჭოთა ადამიანებში კომუნისტური რწმენის განმტკიცებას. ბურჟუაზიის იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა მაშინ არის შეტევითი, როდესაც სიცრუისა და ცილისწამების მხილების მეშვეობით ვაჩვენებთ ანტიკომუნიზმის იდეოლოგიის არამეცნიერულ და რეაქციულ ხასიათს.

დღეს ბურჟუაზიული იდეოლოგია ცდილობს იდეოლოგიური შეტაკებები მთლიანად გადაიტანოს ადამიანის სულიერ სამყაროზე, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ იდეოლოგიური ზემოქმედების შედეგები უცებ არ მჟღავნდება და ჩვეულებრივ ვლინდება ადამიანთა მოქმედებებსა და ქცევებში, აგრეთვე შეძენილ გარკვეულ მორალურ-ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ თვისებებში.

მკაფიო კლასობრივი პოზიციებისა და შეხედულებების საფუძველზე ჩვენს მოქალაქეთა შეგნებაში ყალიბდება იმპერიალისტური პროპაგანდის ობიექტური სახე, ამასთან, სწორი დამოკიდებულება ყოველივე იმასთან, რაც პოლიტიკური სიფხიზლის მნიშვნე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 176.

ლოვანი ელემენტია. ამიტომ საჭიროა, რომ ყოველი კომენტარი, რომელიც შეეხება ანტისაბჭოთა აქციას ან იმპერიალისტური პროპაგანდის გამოხდომას, საბოლოოდ დაკავშირებული იყოს მთელი იმპერიალისტური პროპაგანდის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხილების უფრო ვრცელ ფონთან, კაპიტალიზმისა და მისი ცხოვრების წესის კრიტიკასთან. ამით კონტრპროპაგანდისტული კომენტარი (მტრული პროპაგანდის თეზისის განხილვა) საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური შეგნებულობის ჩამოყალიბების დარგში საერთო იდეოლოგიური პროცესის განუყოფელი ნაწილი ხდება.

ბურჟუაზიული პროპაგანდის მიერ გავრცელებული იდეების, მისი მეთოდებისა და ხერხების მხილებას მაშინ აქვს შეტევითი ხასიათი, თუკი იგი ესადაგება პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთელ სისტემას და ამაღლებს საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკურ რწმენას. ბურჟუაზიულ შეხედულებებთან პოლემიკა, მათი პროპაგანდის კრიტიკა ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანებში იდეურ განმტკიცებას.

„მთავარია გვესმოდეს, რომ კონტრპროპაგანდა არის არა თავდაცვა, არამედ ჩვენი იდეოლოგიური შეტევის შემადგენელი ნაწილი, — აღნიშნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე ჯ. ი. პატიაშვილმა, — საჭიროა სწორედ მოქმედების შეტევითობა, შეფასებათა უკომპრომისობა მტრული იდეოლოგიის შემოღწევისადმი მიდგომაში, კონტრპროპაგანდის წინმსწრები და მამხილებელი ასპექტებისა და ჩვენი საბჭოთა სინამდვილის უპირატესობათა დასაბუთებული ჩვენების უნარიანად შეხამება“ [1].

ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკა და მათი პროპაგანდისტული ხრიკების მხილება შეტევითობის პრინციპის უცილობელი პირობაა.

კრიტიკას აუცილებლად უნდა ახლდეს საკითხის მარქსისტულ-ლენინური გაგების განმარტება, ამბებისა და მოვლენების ჭეშმარიტი სურათის მხილება. მთავარია, ერთი წუთითაც არ გავუშვათ მხედველობიდან ჩვენი საბოლოო მიზანი, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, მუდამ გავწიოთ პროპაგანდა, დამახინჯებისაგან დავიცვათ და

---

[1] ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1986 წ., № 2, გვ. 50.

კვლავ განვავითაროთ პროლეტარული იდეოლოგია — მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება, ე. ი. მარქსიზმიო.

ჩვენ არა მხოლოდ ვაკრიტიკებთ მოწინააღმდეგეს. ამამედ კიდეც განვმარტავთ ჩვენა თვალსაზრისს. ვაჩვენებთ, რატომაა იგი სწორი და როგორ ხორციელდება ეს სიმართლე სკკპ-ის პრაქტიკულ მოღვაწეობაში, რომ იმპერიალიზმის იდეოლოგიური ექსპანსია ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობასა და ამასთან ერთად დესტრუქციულ გავლენას ახდენს თვით კაპიტალისტური ქვეყნების შინაგან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობაზე, კერძოდ, ექსპლოატატორული კლასებისათვის ხელსაყრელი ფატალიზმის, სოციალური პესიმიზმის ფსიქოლოგია ყალიბდება საზოგადოებრივ შეგნებაში, ძლიერდება თავაწყვეტილი მილიტარიზმი და სხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოებში მცხოვრებ ხალხებისადმი სიძულვილის ატმოსფერო.

თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში ხშირად იხმარება ტერმინი — „სულიერი იმპერიალიზმი", რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება საერთაშორისო იმპერიალიზმის ადამიანების სულისა და გონებისათვის ბრძოლის აქციები. ეს ცნება აერთიანებს იმპერიალისტური ქვეყნების მმართველ წრეებსა და თვით ტრანსეროვნულ კორპორაციებს, რომელთა ხელშია თავმოყრილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სამეცნიერო, კულტურული დაწესებულებები, საზოგადოებრივი და „საქველმოქმედო" ორგანიზაციები.

„სულიერი იმპერიალიზმის" ექსპანსია ხორციელდება გლობალური მასშტაბით თანამედროვე სამყაროში. იგი მიმართულია სამი ჯგუფის ქვეყნებისაკენ; კაპიტალისტური, სოციალისტური და განვითარებადი. რა თქმა უნდა, მიზნები, რომელსაც ისახავენ ბურჟუაზიული იდეოლოგები ცალკეული ჯგუფის მიმართ, სხვადასხვაგვარია, ასევე სხვადასხვაგვარია სულიერი ზეგავლენის ხერხები და მეთოდები, განსხვავებულია იდეოლოგიური დამუშავების სტრატეგიაც და ტაქტიკაც, თუმცა ყველა მათი მიზანი ერთია — კაპიტალიზმის ქებათა-ქება. მეორე მხრივ, ეს მიზნები მიმართულია სოციალიზმისა და სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნების საზოგადოებრივი წყობილების დისკრედიტიზაციისა და დესტაბილიზაციისაკენ, ახალი სამხედრო „ჯვაროსნული ლაშქრობის" მო-

წყობისაკენ. სხვადასხვაგვარია „სულიერი იმპერიალიზმის“ გავლენის დონეც აღნიშნულ ქვეყნებზე: თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებში „სულიერი იმპერიალიზმი“ განუსაზღვრელად ბატონობს. ხოლო სოციალისტურ ქვეყნებში არ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ბაზა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ძირგამომთხრელი მოღვაწეობის თუნდაც მცირე მიღწევები. განვითარებად ქვეყნებში მიმდინარეობს ბრძოლა ურთიერთსაწინააღმდეგო — მარქსისტულ-ლენინურსა და ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს შორის, რაც ხშირად განაპირობებს ამ ქვეყნების საერთაშორისო იმპერიალიზმის იდეოლოგიური ექსპანსიის ობიექტად გადაქცევას.

ბურჟუაზიულ იდეოლოგებსა და პოლიტიკოსებს მოსვენებას უკარგავს რეალური სოციალიზმის მიღწევები, მარქსისტულ-ლენინური იდეების ფართოდ გავრცელება, იმპერიალისტური სახელმწიფოების წამყვანი როლის დაკარგვა. ამიტომაა, რომ ისინი ცდილობენ შეზღუდონ, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში აღმოფხვრან კიდეც პოზიტიური ტენდენციები. იმპერიალიზმის იდეოლოგიური ექსპანსიას მიზნად აქვს დასახული შეინარჩუნოს ყოფილი კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები ბურჟუაზიული წარმოდგენების ტყვეობაში, რაც ქმნის პირობებს ამ ხალხებისათვის უცხო იდეებისა და სულიერი ღირებულებების გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის. თავის დროზე კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ იდეა მატერიალურ ძალად გადაიქცევა მაშინ, როდესაც მას მასები შეითვისებენ. იდეები კი ორგვარია. ერთია ზემოქმედებითი, ჰუმანური, პროგრესული, ხოლო მეორე—დამანგრეველი, კაცთმოძულე, რეაქციული. „სულიერი იმპერიალიზმი“ თავის ზეამოცანას ხედავს პირველი ხასიათის იდეების დათრგუნვასა და მეორის გავრცელებაში.

დასავლეთის ქვეყნებში პრესა, რადიო და ტელევიზია, კინემატოგრაფი და გართობის ინდუსტრია, განათლება და კულტურა მონოპოლისტური იმპერიალიზმის ხელში გადაიქცა იმპერიალიზმის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის ძლიერ იარაღად, სხვა სუვერენული ქვეყნების შინაგან საქმეებში ჩარევის ინსტრუმენტად.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით გამოწვეულმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რაოდენობრივმა და თვისებრივმა ცვლილებებმა იდეოლოგიურ ბრძოლას ყოვლისმომცველი ხასიათი მისცა, რამაც შესაძლებლობა შექმნა, იდეოლოგიური ბრძოლის გავლენის ქვეშ ადამიანთა მილიონობით ბასა მოაქციოს. ერთი წუთით თუ წარმოვიდგენთ, რომ მსოფლიოში ყოველდღიურად 500 მილიონი ტელევიზორი ინთება, 1 მილიარდ 300 მილიონი რადიომიმღები ირთვება, 8200 დასახელების გაზეთი და 1800-ზე მეტი წიგნი და ბროშურა გამოდის, რომელთა ტირაჟი 800 მილიონზე მეტია, ნათელი გახდება, თუ როგორი გავლენის მოხდენა შეუძლია დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ადამიანთა რწმენისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს, თუ როგორ სწრაფად განვითარდა „ინფორმაციის ინდუსტრია", საჭიროა გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი. როგორც ცნობილია, რადიო გამოგონებულ იქნა 1895 წელს, მსოფლიოში პირველი სატელევიზიო გადაცემა ლაბორატორიულ მდგომარეობაში ჩატარდა 1911 წელს, ხოლო მისი მასობრივი განვითარება დაიწყო 50-იან წლებიდან. „კავშირგაბმულობის" პირველი ხელოვნური თანამგზავრი ორბიტაზე გაიყვანეს 60-იანი წლების ბოლოს, ხოლო მასობრივი ინფორმაციის უახლესი ტექნიკური საშუალება — ვიდეოტექნიკა მასობრივი მოხმარებისათვის გამოჩნდა სულ რაღაც 5—6 წელია.

როგორც ვხედავთ, უმოკლეს დროში მსოფლიოში მოხდა ნამდვილი „საინფორმაციო აფეთქება".

1985 წელს მსოფლიო გამოფენა „ექსპო—85"-ზე, რომელიც ჩატარდა იაპონიაში, დემონსტრირებული იყო ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის ისეთი მიღწევები, როგორიცაა გიგანტური ტელევიზორი (სიმაღლე — 25 მეტრი, სიგანე — 40 მეტრი, ეკრანის ფართობი უტოლდება დღევანდელი 10 ათასი ტელევიზორის ეკრანს), რომელსაც ერთდროულად შეუძლია უყუროს 50 000 კაცმა, მძლავრი კომპიუტერი „ფაკომ—380", რომელსაც შეეძლება ერთდროულად გადასცეს ოთხ ენაზე, ელექტრონული „ჩასაწერი ბლოკნოტი" და სხვადასხვა უახლესი აპარატურა, რომელსაც მანძილის მიუხედავად, ერთდროულად შეეძლება სწრაფად მიიღოს და გადასცეს მილიონი ერთეული ინფორმაცია.

როგორც ვხედავთ, სახეზე გვაქვს კომუნიკაციური ტექნიკის უდიდესი და სწრაფი განვითარება, რომელსაც თან მოჰყვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებაც, რაც უდავოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ საქმე ის არის, თუ როგორ გამოვიყენებთ მასობრივი ინფორმაციის ამ საშუალებებს. იმპერიალიზმი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებს იყენებს საბჭოთა, სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების ხალხების წინააღმდეგ და აწარმოებს ე. წ. „ფსიქოლოგიურ ომს". ამიტომ არის, რომ დღეს საზღვარგარეთ მრავალი დასახელების ლიტერატურა გამოდის, რომლებშიც ამტკიცებენ, რომ მესამე მსოფლიო ომი დაიწყო და მიმდინარეობს ეთერისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

დღეს, როგორც არასოდეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ვ. ი. ლენინის დასკვნა, რომ „როდესაც ბურჟუაზიის იდეური გავლენა მუშებზე კლებულობს, ირყევა, სუსტდება, ბურჟუაზია ყველგან და ყოველთვის მიმართავდა და მიმართავს ყოვლად უკანასკნელ სიცრუესა და ცილისწამებას" [1].

იმპერიალიზმის აგრესიული წრეების მიერ იდეური ბრძოლის გადაქცევა „ფსიქოლოგიურ ომად" საბჭოთა ხალხისაგან მოითხოვს მაღალ შეგნებულობას და სიფხიზლეს, თავისი მოქალაქეობრივი და პატრიოტული ვალის სწორ გააზრებას სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, ცოდნას, ნებისყოფასა და უნარს, მოიგერიოს მოწინააღმდეგის ყოველგვარი გამოხტომა.

სკკპ XXVII ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ნათქვამია: „ფსიქოლოგიური ომი" — ეს არის ბრძოლა ადამიანთა გონების, მსოფლგაგების, მათი საარსებო, სოციალური და სულიერი ორიენტირებისათვის". ფსიქოლოგიური ომის ცნების წარმოშობა დაკავშირებულია ნაცისტური გერმანიის პროპაგანდასთან, რომელიც რადიოპროპაგანდის მეშვეობით თავდასხმისათვის წინასწარ გამიზნული სახელმწიფოების მოსახლეობისა და ჯარების მასობრივ დამუშავებას აწარმოებდა (ომის წლებში ის ასეთ დამუშავებას აწარმოებდა 60 ქვეყნისათვის).

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 601.

თვით ტერმინის შექმნა და მისი გავრცელება დაკავშირებულია ამერიკელი მზვერავის ლ. ფარაგოს მიერ 1942 წელს გამოცემულ წიგნთან, რომლის სახელწოდებაცაა „გერმანიის ფსიქოლოგიური ომი". 1945 წელს აშშ-ის სამხედრო სადაზვერვო სამსახურთან შეიქმნა სპეციალური საგარეო პოლიტიკური პროპაგანდის აპარატი, რომელიც პრეზიდენტ ტრუმენის დროს გარდაიქმნა „ფსიქოლოგიური სტრატეგიის სამმართველოდ" — 9 ათასიანი საშტატო ერთეულით.

სამმართველოს მუშაობის ძირითად მიზანს „საბჭოთა კავშირის ხალხების პროპაგანდისტულ-ფსიქოლოგიური დამუშავება" წარმოადგენდა. შემუშავდა სპეციალური მეთოდიკა: „თეთრი", „ნაცრისფერი" და „შავი" პროპაგანდა. ფერების გამუქება დაკავშირებულია პროპაგანდისა და დივერსიული აქტების შერწყმასთან. ამის პრაქტიკული დადასტურება იყო შემდგომი წლები და ათწლეულები, როდესაც სოციალისტური ქვეყნების მიმართ „ფსიქოლოგიური ომის" შედეგად გამოწვეულ იქნა კონტრრევოლუციური გამოსვლები გდრ-ში (1953 წ.), უნგრეთში (1956 წ.). ჩეხოსლოვაკიაში (1968 წ.), პოლონეთში (1980 წ.).

ამერიკული იმპერიალიზმის გლობალური პოლიტიკის გატარებისათვის 80-იანი წლებიდან რეიგანის ადმინისტრაცია „ფსიქოლოგიური ომის" ახალი ეტაპის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგა.

ჯერ კიდევ 1968 წელს რესპუბლიკური პარტიის საკოორდინაციო კომიტეტი სპეციალურ მოხსენებაში „ამერიკული სახე საზღვარგარეთ" მოუწოდებდა მჭიდრო ურთიერთობასა და კოორდინაციისაკენ სახელმწიფო პროპაგანდისტულ აპარატსა და „კერძო" ორგანიზაციებს: „პროპაგანდისტულ აპარატს ამჟამად აქცენტი გადააქვს არა იმაზე, რომ თვით დაამზადოს ახალი ანტიკომუნისტური პროდუქცია, არამედ იმაზე, თუ როგორ და რა მეთოდები გაავრცელოს და პროპაგანდა გაუწიოს ანტიკომუნისტური ინსტიტუტების მიერ დამზადებულ ლიტერატურასა და კონცეფციებს, ამიტომ საჭიროა მათი კოორდინირება". 1982 წლის სექტემბერ-ოქტომბერსა და ნოემბერში ჩატარდა დახურული თათბირების სერია, რომელთა ძირითადი მიზანი ძირგამომთხრელი იდეოლოგიური საქმიანობის აქტივიზაცია, კონკრეტული გზების,

მეთოდებისა და ფორმების გამოძებნა იყო. როგორც გამოქვეყნებული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რეიგანის აღმინისტრაციას განზრახული ჰქონდა შეექმნა სპეციალური — „ინსტიტუტი“, რომელიც თავს მოუყრიდა სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ახალი პროპაგანდისტული დივერსიების შემუშავებას და განხორციელებას, რომელთა საქმიანობაში ფართოდ ჩაება „საზოგადოებრივი“ და „კერძო“ ორგანიზაციები და ფონდები.

პოლიტიკისა და იდეოლოგიის მთელ სპექტრში წინააღმდეგობრივი ბრძოლა საბჭოთა კავშირთან წარმოადგენს მთავრობის ყველა პროპაგანდისტული დაწესებულებებისა და მათთან თანამშრომლობაში მყოფი კერძო დაწესებულებების საქმიანობის მთავარ ქვაკუთხედს. მათ კოორდინაციას ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპეციალური კომისია, რომელშიც სახელმწიფო დეპარტამენტი, პენტაგონის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენლები შედიან. კომისიის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ანტიკომუნისტურ პროგრამას, რომლის ძირითადი თეზისები და მიმართულებანი პრეზიდენტმა რეიგანმა 1983 წლის ზაფხულში ინგლისის პარლამენტში გამოსვლისას ჩამოაყალიბა. ეს სიტყვა, რომელიც ყველა ქვეყნის კომენტატორების მიერ ერთხმად აღიარებულ იქნა როგორც „ცივი ომისა“ და კონფრონტაციის სულისკვეთებით გაჟღენთილი, გლობალური ანტიკომუნისტური „ჯვაროსნული ლაშქრობებისაკენ“ მოწოდებაა. 1983 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში ორ, სამდღიანი დახურული კონფერენციები გაიმართა, რომლის მიზანი „ჯვაროსნული ლაშქრობის“ რეალიზაციის კონკრეტული გზების გამოძებნა იყო. კონფერენციებში მონაწილეობდნენ აშშ საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელები, რადიოსადგურებში მომუშავე ფსიქოლოგიური ომისა და იდეოლოგიური დივერსიების ექსპერტები, ხოლო ნოემბრის თვის დამლევს აშშ-ის კონგრესის სენატის საგარეო ურთიერთობის საქმეთა კომისიამ მოისმინა საგარეო პოლიტიკური პროპაგანდის საქმიანობის შესახებ. კომისიაზე მოწვეულნი იყვნენ „აშშ საინფორმაციო სააგენტოს“, საერთაშორისო რადიომაუწყებლობის საბჭოს (რომელშიც

შედის რადიოგადაცემები „თავისუფლება“ და „თავისუფალი ევროპა“) წარმომადგენლები.

ცალკეულ საგარეო პროპაგანდისტულ უწყებას თავისი მიხანი, მუშაობის მეთოდი და ამოცანა გააჩნია. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტო კრებს ინფორმაციას საბჭოთა კავშირში პროპაგანდისტული მუშაობის წარმართვის მეთოდებისა და მიზნების შესახებ, ამზადებს მასალებს საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების გასაბათილებლად (ახდენს მათ სწრაფ მიწოდებას საზღვარგარეთის ამერიკული უწყებებისა და ორგანოებისათვის). ამ ღონისძიებების მიზანია მაქსიმალური პროპაგანდა გაუწიოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ კურსს და ცხოვრების ამერიკულ წესს.

1983 წელს პრეზიდენტ რეიგანის საიდუმლო დირექტივის № 77 საფუძველზე შეიქმნა სპეციალური კომიტეტი მინისტრთა კაბინეტის დონეზე, რომელშიც შევიდნენ სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი, თავდაცვის მინისტრი კ. უაინბერგერი, საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი ჩ. უიკი. ამ კომიტეტს ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხში ჯ. პოინდოქსტერი, რომლის მოვალეობას საგარეო პოლიტიკის პროპაგანდის დაგეგმვა და ინფორმაციის კოორდინაციის გაუმჯობესება შეადგენდა. 1985 წლის დასაწყისში ვაშინგტონში შეიქმნა „ინსტიტუტი“, რომელსაც ეწოდება „თეთრი სახლის ახალი ამბების საინფორმაციო სამსახური“. ამ ორგანიზაციის შესახებ სენატორი პროქსმაიერი აღნიშნავს: ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად შეიქმნა პრესსამსახური, რომელიც ეკუთვნის მთავრობას, კონტროლს უწევს მთავრობა და რომელშიც გაერთიანებულია მთავრობის თანამშრომლები. იყენებს რა უახლოეს საინფორმაციო ტექნიკას — კომპიუტერებს, კავშირგაბმულობის თანამგზავრებს, — საკოორდინაციო სამსახური ქვეყნის ყველა კუთხეში აგზავნის ოფიციალურ კომენტარებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პრობლემებზე. ყველა ამ კომენტარის გადაცემა და მიღებული ინსტრუქციის შესრულება სავალდებულოა, როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი საინფორმაციო სამსახურისათვის.

როგორც ვხედავთ, მოხდა საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის

სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნა თვით პრეზიდენტ რეიგანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით.

დღეს იმპერიალიზმის წამყვან ქვეყანაში — აშშ-ში „ფსიქოლოგიური ომი" აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის რანგის დონეზე, კაპიტალიზმის არც ერთ ქვეყანაში ამ ომის წარმოების მექანიზმს ისეთი მასშტაბები არ მიუღია, როგორც აშშ-ში. ე. წ. საგარეო პროპაგანდისათვის, რომლის სფეროშიც დაკავებულია 350 ათასამდე ადამიანი. ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი იხარჯება.

აშშ-ის პროპაგანდის გარდაქმნას ხელმძღვანელობდა თვით პრეზიდენტი რეიგანი. ამასთან იგი უშუალოდ მონაწილეობს მრავალ იდეოლოგიურ აქციაში და ამ აქციების რეჟისორად გვეველინება. იგეგმება პრეზიდენტის ყოველკვირეული რადიოგამოსვლები საზღვარგარეთის გადაცემებისათვის. პრეზიდენტს ასისტენტობას კაბინეტის წამყვანი წევრები, თანაშემწეები, პრესის წარმომადგენლები უწევენ. ყოველივე ამის შედეგად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სისტემატურად იღებენ ოფიციალურ პროპაგანდისტულ ინექციას ყველაზე არსებითი მოვლენებისა და პრობლემების შესახებ.

ბუნებრივია, გარკვეული ცვლილებები განიცადა აგრეთვე თვით საშემსრულებლო სამსახურმა და საინფორმაციო სააგენტომაც.

1978 წლის 1 აპრილიდან ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტომ („იუსია") შეწყვიტა არსებობა, მის ადგილზე აღმოცენდა „ინფორმაციისა და კულტურული გაცვლის ამერიკის სამმართველო". რომელმაც იარსება 1980 წლამდე. 1981 წლის დასაწყისში ისევ მოხდა რეორგანიზაცია და შეიქმნა აშშ საინფორმაციო სააგენტო, რომელსაც სათავეში პრეზიდენტ რეიგანის ახლო მეგობარი ჩ. უაიტი ჩაუდგა. ამ სააგენტოს ფუნქცია ამჟამად გაფართოვდა და ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებული შტატების მთელ პროპაგანდისტულ მუშაობას საზღვარგარეთ, ამავე დროს კოორდინაციას უწევს სახელმწიფო და კერძო საინფორმაციო სამსახურების მუშაობას. დღეს აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს — „იუსიას" განსაკუთრებით მძლავრი აპარატი (8000 კაცი) და ტექნიკური საშუალებები გააჩნია. „იუსიას" ბიუჯეტი 1986 წელს შეადგენდა 887,9 მილიონ დოლარს (1985 წელთან შე-

დარებით გაიზარდა 18 პროცენტით). ასე არც ერთი უწყება არ გაზრდილა, თვით პენტაგონიც კი. „იუსიას“ 125 ქვეყანაში 200 განყოფილება აქვს. სააგენტო გამოსცემს 22 ენაზე 12 დასახელების ჟურნალს. ისინი ვრცელდება აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში 5 მილიონ ეგზემპლარის რაოდენობით, ხოლო წიგნები და ბროშურები 25 ენაზე გამოიცემა.

„იუსიას“ მეშვეობით და მისი ხელმძღვანელობით ამჟამად ეწყობა ყოველგვარი ანტისაბჭოთა შეკრებები, კონფერენციები და სხვადასხვა ღონისძიებები, მაგალითად, 1982 წლის ოქტომბერში მოეწყო „კომუნისტური ქვეყნების დემოკრატიზაცია“, იმავე წლის ნოემბერში „თავისუფალი არჩევნები“ და სხვ. ყველა ეს ღონისძიება ჩარევის ცდაა სუვერენული ქვეყნების საქმეებში. ამავე დროს, „იუსიას“ მეშვეობით ხდება ყველა „სამეცნიერო ცენტრების“, ე. ი. „ფონდების“ და „ინსტიტუტების“ (რომელთა რაოდენობა აღწევს 150) დაფინანსება, რომლებიც სპეციალდებიან ანტიკომუნიზმზე.

დღეისათვის საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესწავლით აშშ-ში დასაქმებულია 30 ათასი კაცი, აქედან: 25 ათასი სახელმწიფო აპარატში, 4 ათასი — აკადემიურ წრეებში და ათასი — საქმიან წრეებში.

ამავე დროს, ფართოდ რეკლამირებული ე. წ. „დემოკრატიული პროგრამისა და საჯარო დიპლომატიის“ საშუალებით „იუსია“ აშშ-ში სასწავლებლად იწვევს „პერსპექტიულ“ (რა თქმა უნდა, ვაშინგტონის გაგებით) საზღვარგარეთელ მოღვაწეებსა და ახალგაზრდობას, რომლებიც მძაფრ იდეოლოგიურ დამუშავებას გადიან. უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში „იუსიას“ პროგრამით აშშ-ში იდეოლოგიური დამუშავება გაიარა 27000 საზღვარგარეთელმა პიროვნებამ. როგორც „იუსიას“ სტატისტიკა აღიარებს, ამათგან 499 კაცი გახდა შემდგომში მინისტრი, ხოლო 44 — თავიანთი ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მარტო 1985 წელს „იუსიას“ მიერ 150 მილიონი დოლარი გამოიყო „პერსპექტიული ახალგაზრდა პოლიტიკური ლიდერების“ იდეოლოგიური დამუშავებისათვის, ამათგან 30 000 მარტო დასავლეთ ევროპიდანაა.

1983 წლის ერთ-ერთ გამოსვლაზე პრეზიდენტმა რეიგანმა განაცხადა, რომ დღევანდელ ადმინისტრაციას საგარეო პოლიტიკაში უფრო სერიოზული პრობლემა არ გააჩნია, ვიდრე რადიოგადაცემა „ამერიკის ხმის" გააქტიურება. რეიგანის ეს განცხადება ადასტურებს იმას, თუ დღევანდელი ვაშინგტონის ადმინისტრაცია რა დიდ როლს ანიჭებს ე. წ. რადიო ომს საბჭოთა ქვეყნისა და სოციალისტურ ქვეყნების მიმართ.

„ამერიკის ხმის" ბიუჯეტი 1986 წელს შეადგენდა 170 მილიონ დოლარს. მასში დასაქმებულია 3 ათასი კაცი. გადაცემა მიმდინარეობს 42 ენაზე, 1100 საათის რაოდენობით კვირაში. აქედან 1017 საათი გადაიცემა საბჭოთა კავშირის ხალხთა 15 ენაზე.

სპეციალური გადაცემები ეწყობა ბალტიისპირეთის რესპუბლიკის, შუა აზიის რესპუბლიკებისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა ენებზე. მათ შორის ქართულ ენაზე სისტემატურად გადაიცემა დღეში 1 საათი და 45 წუთი. საერთოდ ქართულად უცხოური ხმების გადაცემა შეადგენს დღეში 5 საათს. უნდა ითქვას, რომ „ამერიკის ხმის" გადაცემათა აუდიტორია სოციალისტურ ქვეყნების ხალხთა შორის ამ ბოლო წლებში იზრდება. თუ 70-იანი წლების ბოლოსათვის ის შეადგენდა 25%-ს, დღეისათვის ის შეადგენს უკვე 40%-ს. ზრდის პროცენტი ძირითადად მოდის ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უნგრეთის მსმენელებზე.

„იუსიას" უამრავ განშტოებათა შორის მთავარი ადგილი უჭირავს უშუალო ტელეგადაცემას საზღვარგარეთის ქვეყნებთან კავშირგაბმულობის თანამგზავრის სისტემის „უორლდნეტის" („მსოფლიო ქსელი") მეშვეობით. ეს სისტემა, რომელიც შეიქმნა 1983-84 წლებში, „ამერიკის ხმის" ვარიანტია და მისი ამოცანაც იგივეა, რაც „ამერიკის ხმის".

„უორლდნეტის" გადაცემათა პირველი ეტაპი დაიწყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხების ფსიქოლოგიური დამუშავების მიზნით, როდესაც დაიწყეს დასავლეთის ქვეყნებში ამერიკული რაკეტების „პერშინგისა" და „ფრთოსანი რაკეტების" განლაგება. 1985 წლის აპრილიდან „ევრონეტმა" (ასე ეწოდება დასავლეთ ევროპის ხალხისათვის გადაცემათა სისტემას) დაიწყო რეგულარული გადაცემა 2-საათიანი პროგრამით უნგრეთის, პოლონეთისა და გდრ-ის მოსახლეობისათვის.

რამდენიმე ხნის წინათ, კოლუმბიის უნივერსიტეტის (აშშ) სტუდენტებმა შექმნეს დანადგარი საბჭოთა ტელეგადაცემების („ორბიტა") მისაღებად, რათა პირველი წყაროებიდან მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა კავშირი. ეს ფაქტი მეტად დამაფიქრებელია. აშშ-ში არის 8500 რადიოსადგური (და ყველას თავისი პროგრამა გააჩნია), 1000-ზე მეტი ტელესადგური, მძლავრი საგამომცემლო ქსელი და ინფორმაციის სხვა მრავალი წყარო. ქვეყანა უდიდესი რეკლამით პროპაგანდას უწევს „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას" და გაჰყვირის „ინფორმაციის თავისუფლების" შესახებ, რომელიც მათი გაგებით დემოკრატიისა და ადამიანის უფლების გარანტიას წარმოადგენს. აი, ასეთ ქვეყანაში ახალგაზრდობის ჯგუფი აკეთებს დანადგარს, რომ მიიღოს ობიექტური ინფორმაცია საბჭოთა სახელმწიფოს, მისი პოლიტიკის შესახებ.

დღეს ამერიკის შეერთებული შტატების იდეოლოგიური ბრძოლის არსენალში „ფსიქოლოგიურ ომს" ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. „ფსიქოლოგიური ომის" თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების აზრით, მის საწარმოებლად ყველა საშუალება და მეთოდი არის დასაშვები. „ფსიქოლოგიური ომის" წარმოების ხერხად. პირველ რიგში, უნდა ჩაითვალოს ანონიმური წყაროებიდან ცნობების მიღება. ანტისოციალისტური ელემენტების მიერ შეთხზული მოვლენების ვერსიების გავრცელება, წამქეზებლური განცხადებების გადაცემა და სხვა. „ფსიქოლოგიური ომის" მეთოდად უნდა ჩაითვალოს ასეთი ხერხებით შეთხზული მოვლენებისათვის დამაჯერებელი, დამარწმუნებელი ხასიათის მიცემა, ამიტომ ამ შეთხზული ვარიანტების, ვერსიების პროპაგანდისათვის იყენებენ სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებს, თვით პრეზიდენტსაც კი. მაგალითად, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რეგულარულად გამოდის კორესპონდენტების წინაშე „დამონებულ ხალხთა კვირეულთან" დაკავშირებით (მათში, ბუნებრივია, სოციალისტურ ქვეყნებს გულისხმობენ).

„ფსიქოლოგიურ ომში" წამყვანი ადგილი დღეისათვის „რადიოპროპაგანდას ეკუთვნის, რომლის ტაქტიკა იმ რეალური სამხედრო-პოლიტიკური ვითარებითა და მიზნებით განისაზღვრება,

რომლებსაც რადიოცენტრებს უსახავენ. მაგალითად, დაძაბულობის ზრდასთან ერთად ძლიერდება რადიოპროპაგანდა, რომელიც აშკარა სოციალური პროვოკაციის, წამქეზებლობის, დაშინების, კონტრრევოლუციური მოწოდების, შენიღბვა-მოტყუების მიმართულებას იძენს.

რადიოპროპაგანდის მიზანია მოამზადოს ადამიანი იმისათვის, რომ არაკრიტიკულად აღიქვას ინფორმაცია, ცნობები, ფაქტები, მოვლენები, მონაცემები ვითარების შესახებ. ანტიჭეშმარიტებათა შთაგონებას საფუძვლად უდევს ის, რომ იმ ინფორმაციის შემოწმება, რომლის „ჩაწვეთებასაც" ცდილობენ სოციალისტურ საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ შეგნებაში, პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვეულებრივ. „ხმები", რომლებიც ანტისაბჭოურ ინფორმაციას გადასცემენ, იმოწმებენ „აუტორიტეტულ წყაროებს", „დაზვერვის მონაცემებს", არარსებულ პირებს, რათა უფრო სარწმუნო გახადონ მიწოდებული ინფორმაცია.

ამგვარი აქციების მეშვეობით, ჩვენი იდეოლოგიური მტრები სოციალისტური სამყაროს ადამიანთა დეზორიენტირებას ცდილობენ. საკმარისია ითქვას, რომ საამისოდ შექმნილია პოლიტიკური დეზინფორმაციის უზარმაზარი კომპლექსი, რომლის მიზანია სოციალისტურ საზოგადოებრივ შეგნებაში ცრუ იდეების, უცხო შეხედულებების, ილუზიების, მითების, დამახინჯებული წარმოდგენების დათესვა. ამჟამად მარტო წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალისტურ „სამყაროზე მუშაობს" 60-ზე მეტი უდიდესი რადიოსადგური, რომელთა გადაცემების საერთო მოცულობა დღეღამეში 450 რადიოსაათს აღემატება, აქედან 250 საათი სსრ კავშირის ხალხებისათვის არის განკუთვნილი. „რადიოფსიქოლოგიური ომის" წარმოების პოლიტიკა შეიმუშავა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ცნობილმა სპეციალისტმა მ. ჩუკასმა. მისი აზრით, რადიოპროპაგანდის მეშვეობით გათვითცნობიერებული ადამიანი უნდა იქცეს გაუთვითცნობიერებლად, ინფორმირებული — დეზინფორმირებულად, დარწმუნებული — მერყეევად. ადამიანებში კომუნისტური მიზნებისადმი მისწრაფება უნდა აღმოიფხვრას.

ბურჟუაზიულ პროპაგანდისტული ორგანოების მიერ განხორციელებული ფსიქოლოგიური ომის ოპერაციების მიზანია არა მარტო კომუნისტური რწმენის, ცხოვრების წესის, მორალის როლის

შესუსტება, არამედ მათი შეცვლა დასავლური „ღირებულებებით“ — ინდივიდუალიზმით, ეგოიზმით, ნაციონალიზმით, კერძო-მესაკუთრული მიდრეკილებებით, პოლიტიკური ინდიფერენტულობით, სკეფსისითა და ნიჰილიზმით.

პოლიტიკისა და იდეოლოგიის მთელ სპექტრში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა მთავრობის ყველა პროპაგანდისტული დაწესებულებებისა და მათთან თანამშრომლობაში მყოფი კერძო დაწესებულებების საქმიანობის მთავარი ქვაკუთხედია. „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოებასა და იდეოლოგიურ დივერსიებზე ამერიკის შეერთებული შტატები წელიწადში სამ მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავს.

საბჭოთა კავშირისათვის არის გამიზნული ათობით ბურჟუაზიული რადიოსადგურის გადაცემა სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე. ესენია „ამერიკის ხმა“, „ბი-ბი-სი“, რომის, კანადის, ისრაელის „თავისუფლება“, და სხვა მრავალი. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ რადიოომში აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე ამერიკის სამხედრო მანქანის პროპაგანდისტული საშუალებები. ამერიკელი სოციოლოგი თ. კოფინი ერთ-ერთ თავის წიგნში წერს, რომ პენტაგონს პირადი შემადგენლობის პოლიტიკური და მორალური მომზადებისა და „ფსიქოლოგიური ომის წარმოების გეგმებში შეტანილი აქვს უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანა, რომელშიც გაერთიანებულია 259 მსხვილი რადიომაუწყებლობის სადგური და ათობით ტელესტუდია. ამ ცენტრების ყველა გადაცემა გაჟღენთილია ანტიკომუნიზმითა და ამერიკული მორალით.

ადამიანთა შეგნებაზე ზემოქმედების მთელი ეს ვეებერთელა მექანიზმი, არც ერთი წუთით არ დგას უმოქმედოდ. ამ სადგურების ყველა გადაცემა აშკარად დივერსიულია. ბოლო დროს ამ პროპაგანდისტული ცენტრების გადაცემებში დასავლეთის იდეოლოგთა საჯარო გამოსვლებში, ბეჭდვითი სიტყვის პროდუქციაში ძნელი არ არის იმის შემჩნევა, თუ როგორი დაჟინებით ტარდება მითები დასავლეთისათვის „საბჭოთა სამხედრო საფრთხის ზრდის“, „კომუნიზმის აგრესიულობის“, „თავისუფალი სამყაროს იძულებითი ხელახალი შეიარაღების“ შესახებ.

ამერიკის საინფორმაციო პროპაგანდისტული სამსახურები მჭიდრო ურთიერთობაშია აშშ-ის მოკავშირე ქვეყნების მონათესავე დაწესებულებებთან. საქმე მიდის ერთგვარი საინფორმაციო გაერთიანების ფორმირებისაკენ, რომელშიც აშშ-ის. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების, ნატოსა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ყველა საგარეო პოლიტიკური სამსახურები შევა. ყველაზე მჭიდრო კავშირები და ურთიერთგაგება აშშ-მა დაამყარა დასავლეთ გერმანელებსა და ინგლისელებთან. გასულ წელს 77 ინფორმაციის ბიულეტენიდან, რომელთაც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამზადებს თავისი საზღვარგარეთის საელჩოების ორიენტაციისათვის, 51 მთლიანად ეძღვნებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროპაგანდას.

როგორც ვხედავთ, აგრესიულობა პროპაგანდაში ერწყმის და ამავე დროს წინ უსწრებს აგრესიულობას პოლიტიკაში.

დღეს „ფსიქოლოგიური ომი“ წარმოგვიდგება იდეოლოგიური დივერსიის უმაღლეს ფორმად, რაც ნიშნავს: ეკონომიკური, დიპლომატიური, სადაზვერვო-დივერსიული აქტებისა და ლოკალური შეიარაღებული ოპერაციების საშუალებათა კოორდინირებული სისტემის გავლენას სოციალისტური და განთავისუფლებული ქვეყნების მშრომელთა შეგნებასა და მოქმედებაზე. თანამედროვე „ფსიქოლოგიური ომის“ დამახასიათებელი თავისებურებაა ომის მატერიალური მომზადების იმპერიალისტური პოლიტიკის იდეოლოგიური დასაბუთება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის კურსი კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით მოქმედებს როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საშიშ ტენდენციებს ბადებს ადამიანთა საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში. პირველ რიგში, მასობრივი მასშტაბით ფორმირდება ფატალიზმის ფსიქოლოგია და სოციალური პესიმიზმი, მეორე მხრივ, მილიტარისტული თავბრუდახვევის ატმოსფეროში, ნაციონალისტური თავაშვებულობის პროცესში ძლიერდება შოვინისტური, მტრული განწყობილება იმ ხალხების მიმართ, რომლებიც სხვა საზოგადოებრივ სისტემაში ცხოვრობენ. ეს საშუალებას იძლევა მასების სოციალური უკმაყოფილება წარმართონ იმ მიმართულებით, რომელიც ხელს აძლევთ მონოპოლისტებს, და დაუ-

შორჩილონ საზოგადოებრივი განწყობილება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებს. ამავე დროს იდეურ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც სამხედრო ფსიქოზით არის გაჟღენთილი, ისეთ ნიადაგს ამზადებს, რომელზედაც ულტრამემარჯვენე და ნეოფაშისტური მოძრაობები აქტიურდებიან.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელახალი მობრუნება „ცივი ომის" ყველაზე საშინელი მეთოდებისაკენ იმის ნათელი სურათია, რომ მას არ შესწევს უნარი დამაჯერებელი პასუხი გასცეს სოციალიზმის მშვიდობიან გამოწვევას. სოციალისტური ქვეყნების მაგალითის მიმზიდველი ძალა, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პოზიციის განმტკიცება იმპერიალისტური წრეების ძლიერ წინააღმდეგობას იწვევს, რის გამოც ის ყოველი საშუალებით ცდილობს თავისი ხალხი დაიცვას სოციალისტური ქვეყნების შესახებ სწორი ინფორმაციისაგან, სოციალიზმის იდეის გავლენისაგან, ამიტომ სურს, ადამიანებს ჩაუნერგოს საზოგადოებრივი პასიურობა, წარმოაჩინოს ვიწრო პირადული ინტერესები. აიძულოს, ეჭვის ქვეშ დააყენოს ჩვენი სულიერი ფასეულობების ჭეშმარიტება. ამავე დროს ეს მეტყველებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო გავლენის, სკკპ მშვიდობის პროგრამის ქმედითობის, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკური კურსის თანამიმდევრულ ზრდაზე, დასავლეთ ევროპასა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში ანტისაომარი, ანტიატომური მოძრაობის აქტივიზაციაზე.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის გენიალური დასკვნა, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად მხოლოდ ერთ, ცალკე აღებულ სახელმწიფოში, ამასთანავე გამოხატავდა ჩვენს პლანეტაზე სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა არსებობის აუცილებლობასა და შესაძლებლობას. მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის რეალიზაციის ობიექტურ საფუძველს სინამდვილეში მსოფლიო ეკონომიკური კავშირები წარმოადგენს. „არსებობს უფრო ძლიერი ძალა, ვიდრე რომელიმე მტრული მთავრობის ან კლასის სურვილი, ნება და გადაწყვეტილება, ეს ძალაა — საერთო ეკონომიკური მსოფლიო ურთიერთობა, რაც აიძულებს მათ დაადგნენ ჩვენთან კავშირურთიერთობის ამ გზას" [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 170.

კაპიტალისტური ქვეყნების უფრო მეტი დაინტერესება სოციალისტურ სამყაროსთან ფართო საქმიანი ეკონომიკური კავშირებით გაპირობებულია როგორც სოციალისტური სისტემის ქვეყანათა ეკონომიკური შესაძლებლობებით, ასევე მწვავე სავალუტო-ფინანსური, ენერგეტიკული კრიზისების არსებობით კაპიტალის ქვეყნებში. თანამედროვე ეტაპზე, როცა სოციალიზმის სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის ცვლილებები ხდება, განსხვავებული წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობის შესაძლებლობის ობიექტური წინაპირობა თანდათან უფრო მეტად მყღავნდება.

იმპერიალიზმი ცდილობს სახელმწიფოთაშორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთობის პრინციპები უბრალო პროპაგანდისტულ ხერხად გამოაცხადოს, პირველ პლანზე წამოსწიოს ის, რაც ართულებს საერთაშორისო ურთიერთობას, განსაკუთრებით კი იდეოლოგიური უთანხმოებანი. სწორედ ამიტომ აუცილებელია ღრმად გაშუქდეს ის, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები გამომდინარეობდნენ სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიიდან — სოციალიზმთან მივა ყველა ქვეყანა, მაგრამ არა ერთდროულად და ერთნაირი გზით, ყველა ქვეყანა შეიტანს იმ სიახლეს, რაც ქვეყნის თავისებურებიდან გამომდინარეობს. მაგრამ ეს არ ნიშნავს მშვიდობიან თანაარსებობას იდეოლოგიურ ასპექტში, თანამშრომლობას სოციალისტურსა და ბურჟუზიულ იდეოლოგიას შორის. ამ გარემოებას ხაზი უნდა გაესვას და განსხვავდეს სახელმწიფოთაშორისო მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა და იდეური ბრძოლის გამწვავება. ჩვენი იდეური ბრძოლა, იდეური კამათი იმპერიალიზმთან ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერულ კონცეფციებს, დემოკრატიულ პრინციპებს, საერთაშორისო თანამეგობრობის ნორმებსა და წესებს, ხოლო ჩვენი კლასობრივი მტერი ამას უპირისპირებს იდეოლოგიური დივერსიის მეთოდებს, რომელიც დაძაბულობის ვითარებას ქმნის.

ყოველივე ეს მოითხოვს ჩვენი იდეურ-თეორიული არსენალის გამუდმებით სრულყოფას, იმპერიალიზმის მიერ განხორციელებული იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული დივერსიების გამოაშკარავებას, კლასობრივი ასპექტის გაძლიერებას მასების პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში. ამიტომ აუცილებელია გავითვალის-

წინოთ ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლის რამდენიმე თავისებურება. უპირველეს ყოვლისა, ანტიკომუნიზმი. როგორც ყველაზე უფრო რეაქციული და აგრესიული იმპერიალისტური წრეების იდეოლოგია და პოლიტიკა. ემსახურება ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაცვის საქმეს, საზოგადოებრივ ცნობიერებაში ბურჟუაზიული წყობილებისა და ცხოვრებაში წესის ძირითად ფასეულობათა დამკვიდრებას. ამიტომაც. სოციალიზმის წინააღმდეგ ანტიკომუნისტურ გამოხტომათა კრიტიკა არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. სანამ არ გამოაშკარავდება და განადგურდება კაპიტალიზმის აპოლოგეტიკა.

ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლის მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ აუცილებლად გამოვავლინოთ ანტიკომუნისტური იდეოლოგიური თეზისების, ლოზუნგებისა და პროპაგანდისტული აქციების პოლიტიკური სარჩული. იდეოლოგიური ბრძოლა პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ ბრძოლასთან. იდეოლოგიური ბრძოლის ტაქტიკა პოლიტიკურ ამოცანებს ექვემდებარება და მათ წარმატებას უზრუნველყოფს, ე. ი. განსაზღვრული კლასის ინტერესებისათვის მხარდაჭერას უმზადებს პოლიტიკურ აქციებს. იდეოლოგია განსაზღვრავს და განაპირობებს პოლიტიკას, თავის მხრივ იგი ვითარდება და სრულყოფილი ხდება პოლიტიკური ბრძოლის მიმდინარეობისა და საჭიროებათა კვალდაკვალ.

იდეოლოგიური ბრძოლის წარმატებისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ რა პოლიტიკურ სარგებელს აძლევს ანტიკომუნისტებს მოცემული არგუმენტაცია, როგორი პროპაგანდისტული ეფექტის მიღწევას ცდილობენ ამით. ეს თვალნათლივ დაგვანახებს იმ იდეებს, რომელთა ჩაგონებას ბურჟუაზია ცდილობს, ანდა მოქმედებებს, საითკენაც იგი გვიბიძგებს. ანტიკომუნისტების პოლიტიკის მხილება ააშკარავებს ბურჟუაზიულ იდეებსა და დოქტრინებს.

სოსო ციცაძე

ეკლიანი გზა უგირთვო მსოფლიოსაკენ

არავინ უწყის როგორ შეაფასებენ მომავალ თაობათა ისტორიკოსები 1987 წლის ზაფხულის ქრონიკებს. მაგრამ ერთი რამ ცხადია — ისინი გულმოდგინე შესწავლასა და ღრმა ანალიზს მოითხოვენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი დებატების, გულწრფელი თუ პროპაგანდისტული წინადადებებისა და კონტრწინადადებების, სანახევროდ სრულყოფილი ხელშეკრულებებისა და მრავალწლიანი უშედეგო მოლაპარაკებათა შემდეგ, კაცობრიობამ პირველად მიაღწია ზღურბლს, რომლის მიღმაც იწყება სრული ბირთვული განიარაღება.

მოულოდნელია თუ კანონზომიერია ის ფაქტი, რომ პირველი რეალური ხელშეკრულების პერსპექტივამ დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში ძალთა მკვეთრი პოლარიზაცია გამოიწვია? თანაც, მოლაპარაკების ფინიშზე ახალი ბარიერი იქ აღიმართა, სადაც თითქოს არავინ ელოდა. თუ 1986 წლის გაზაფხულზე სპეციალური ლიტერატურის ფურცლებზეც კი იშვიათად წავაწყდებოდით „პერშინგ—1—ა“-ს სახელწოდების რაკეტებს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მცირე რადიუსის ეს 72 რაკეტა 1987 წლის ზაფხულის თვეებში დამატებითი ვნებათა ღელვის კატალიზატორად იქცა ოკეანის ორივე მხარეს. ვინ და რატომ აქცია პრობლემად რაკეტები, რომელიც დასავლელ ექსპერტთა ერთსულოვანი მტკიცებით, დიდი არაფერი ბედენაა სამხედრო თვალსაზრისით?

კანცლერ კოლის არამყარ კოალიციაში რაკეტებზე გამართული კამათი, ფაქტიურად, „ორმაგ ნულოვან ვარიანტთან“ დაკავშირებით ადრე წარმოებულ ბატალიათა გამეორება იყო. საგარეო

საქმეთა მინისტრი ჰენშერი თავიდანვე მხარს უჭერდა 500-დან 5000 კმ-მდე რადიუსის ყველა სახმელეთო ბაზირების რაკეტის სრული ლიკვიდაციის იდეას. მისი აზრით, ნატოს ამ შემთხვევაშიც დარჩება საკმარისი ბირთვული პოტენციალი.

კოლის პარტიის გავლენიანი წევრები, მათ შორის თავდაცვის მინისტრი ვერნერი და ბუნდესტაგში ფრაქციის ლიდერი დრეგერი, საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგნენ. მაისში გფრ-ის ორ მხარეში ადგილობრივი არჩევნები იყო დანიშნული და თავის წინასაარჩევნო გამოსვლაში კოლმა გაურკვეველი პოზიცია დაიკავა შეიარაღებაზე კონტროლის საკითხში. ამანაც განაპირობა ქრისტიან-დემოკრატთა მარცხი ორივე არჩევნებში. ივნისის დასაწყისში მმართველი კოალიცია დათანხმდა „ორმაგ ნულოვან" ვარიანტს, საჯაროდ მოიწონა იგი, მაგრამ იმწამსვე დაიწყო კოალიციის შიგნით განხეთქილება „პერშინგ—1—ა"-სთან დაკავშირებით. ჰენშერმა საჯაროდ კოლის მხარე დაიკავა, მაგრამ არაოფიციალურად ყველამ იცოდა, რომ მინისტრი თავს არ იკლავდა რაკეტების შესანარჩუნებლად. ამავე აზრისა იყო ოპოზიციური სოციალ-დემოკრატიული პარტიაც. ბევრმა უკანასკნელ მომენტში მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის (სოციალ-დემოკრატები და ჰენშერის პარტია) აღდგენის წინაპირობაც კი დაინახა. ასეთ ვითარებაში, აგვისტოს ბოლო რიცხვებში, ჰენშერმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ იქცევა ბირთვული განიარაღების სფეროში დიდმნიშვნელოვანი შეთანხმების ხელისშემშლელ ფაქტორად. ეს განცხადება შემდგომ მოვლენებთან ერთად უკვე მნიშვნელოვანი პროგრესი იყო.

დღეს შეიძლება ვინმეს ზედმეტადაც კი მოეჩვენოს წარსულ ქრონიკათა აღდგენა, მაგრამ ჭეშმარიტების დადგენა არასდროს არ არის გვიან, მით უმეტეს, რომ დღეს ბევრი მისტირის ბონის რაკეტებს და კოლსა და რეიგანს „საერთო საქმის ღალატშიც" კი სდებს ბრალს.

რაც შეეხება კანცლერს, სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ მისთვის იოლი არ ყოფილა სადავო რაკეტებზე უარის თქმა; ზაფხულის დამლევს, ვოლფგანგაზეში ოთხკვირიანი დასვენების შემდეგ, როდესაც მხოლოდ ორი კვირა რჩებოდა შლეზვიგ-ჰოლშტეინისა და ბრემენის არჩევნებამდე, მან თავისი

ცნობილი განცხადებით (როდესაც უარი თქვა რაკეტების მოდერ-ნიზაციის მოთხოვნაზე) შტრაუსის რისხვა გამოიწვია. „ის, რომ ფედერალური კანცლერი სიმტკიცეს ავლენს, კარგია, — გესლიანი ირონიით აღნიშნა შტრაუსმა, — მაგრამ ეს მან უნდა გააკეთოს დროულად, სათანადო ვითარებაში და მეგობრებთან შეთანხმებით". შტრაუსის რისხვას ისიც დაემატა, რომ კანცლერმა გამონახა დრო და საშუალება ალიასკაში მოეძებნა ეგზოტიკურ შვებულებაში მყოფი თავდაცვის მინისტრი ვერნერი და მოთათბირებოდა მას. ასევე წინასწარ გაანდო თავისი ზრახვები ბუნდესტაგში ფრაქციის თავმჯდომარე დრეგერს, ხოლო შტრაუსთან შესახვედრად დრო ვერ გამონახა. ამიტომაც იყო უპრეცედენტოდ მკვეთრი ქრისტიან-სოციალური კავშირის პირველივე რეაქცია — მან უარი თქვა მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაზე, რომელიც კანცლერმა მმართველი კოალიციის წევრთათვის დანიშნა.

საბოლოო ჯამში კოლსა და შტრაუსს შორის მაინც შედგა კონფიდენციალური შეხვედრა — 2 სექტემბერს, 5 საათის განმავლობაში საუბრობდნენ ისინი პირისპირ. გარდა რაკეტების საკითხისა, შტრაუსის გაღიზიანება გამოიწვია ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრის, ბლიუმის საჯარო განცხადებებმა ჩილეში ადამიანის უფლებათა სისტემატური დარღვევების შესახებ.

კოლისა და შტრაუსის შეხვედრის შედეგი იყო გადაწყვეტილება ერთობლივი დოკუმენტის შემუშავების თაობაზე, რომელშიც დაწვრილებით იქნებოდა გაანალიზებული სადავო საკითხთა ლიკვიდაციის გზები.

როგორც ადგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტებზე შეთანხმებამ შეიძლება ახალი პრობლემები წარმოშვას ბონსა და პარიზს შორის; საქმე ის არის, რომ ახალ სიტუაციაში დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში დაუფარავად შიშობენ, რომ „ზესახელმწიფოები", როგორც კი შეუდგებიან თავიანთი სტრატეგიული ძალების შემცირებას, ანალოგიური ნაბიჯისაკენ მოუწოდებენ ლონდონსა და პარიზს. „საკუთარი" საზრუნავი აქვთ დასავლეთევროპელ ფინანსთა მინისტრებსაც — მათ ჟრუანტელს ჰგვრის ფიქრი იმის შესახებ, რომ უბირთვო ევროპაში არაბირთ-

ვული „ეფექტური თავდაცვის“ ხარჯები ორჯერ და სამჯერ გაიზრდება. ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებათა ასეთი სწრაფი დასკვნითი ეტაპი მოულოდნელი აღმოჩნდა ზოგიერთი დასავლეთევროპელი სახელმწიფო მოღვაწისათვის. 1986 წლის ზაფხულშიც კი, ისინი ვარაუდობდნენ, რომ „პერშინგ—1—ა“-ს და კონტროლის პრობლემა გადაულახავ ჯებირად იქცეოდა რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ ნატოს შტაბ-ბინაში მოუმზადებელნი შეხვდნენ ხელშეკრულებას, თუმცა რეიკიავიკში პრინციპში იგი მოიწონეს. დღეს ნატოს ზოგიერთი ოფიციალური წარმომადგენელი საჯაროდ მოითხოვს საშუალო და მცირე რაკეტების „კომპენსაციას“ ჩრდილოეთის ზღვაში ახალი წყალქვეშა ნავებით ან ევროპაში „ბ—52“ ტიპის ბომბდამშენების (მათ ბირთვული იარაღის ზიდვა შეუძლიათ) განლაგებით. მართალია ორივე ეს წინადადება არარეალურია სადღეისოდ, მაგრამ ორივეს ჰყავს თავისი გავლენიანი მომხრეები. ბირთვული იარაღის შემცირების ხელშეკრულების სულისკვეთება პოლიტიკურად მიუღებელს ხდის ევროპის „რენუკლიარიზაციის“ იდეას, იქნება ეს მოძველებული თვითმფრინავებისა და თანამედროვე წყალქვეშა ნავების მეშვეობით თუ რაიმე სხვა იარაღით. ამას არ დაუშვებს არც საბჭოთა კავშირი და არც იგივე ევროპის საზოგადოებრიობა.

ზოგიერთი დასავლეთევროპელი ექსპერტის აზრით, საშუალო და მცირე რადიუსის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შემდეგ, დასავლეთ ევროპამ ორი მძიმე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს; მან მეტი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს თავდაცვის სფეროში და, აქედან გამომდინარე, ორჯერ უნდა გაზარდოს სამხედრო ხარჯები. საინტერესოა, რომ იგივე ექსპერტები იქვე მიუთითებენ, რომ ორივე გადაწყვეტილება არარეალურია; საფრანგეთი დღემდის ჯიუტობს და უარს ამბობს ოფიციალურად განაცხადოს, რომ თავისი ბირთვული პოტენციალით დაიცავს დასავლეთ გერმანიას. რაც შეეხება სამხედრო ხარჯების ზრდას, აი უკვე 10 წელია, რაც ნატოს ევროპელმა წევრებმა ვალდებულება იკისრეს ყოველწლიურად 3 პროცენტით გაზარდონ თავიანთი სამხედრო ხარჯები, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ გაუძლო ასეთ ტემპს. ასევე ჯერ-

ჯერობით ჩანასახის მდგომარეობაშია პარიზ-ბონის ღერძის შექმნის გაუპედავი ცდა.

ზემოხსენებული ორიენტირებით მსჯელობას თავისთავად მივყავართ „ლოგიკურ“ დასკვნამდე — გათიშული და უზრუნველი დასავლეთ ევროპა სიცოცხლისუნარიანი იყო მანამ. სანამ ვაშინგტონი და მოსკოვი დანასისხლად იყვნენ ერთმანეთთან, ხოლო თუკი „ზესახელმწიფოები“ სერიოზულად შეუდგებიან ბირთვული არსენალების დემონტაჟს, ეს სიტუაცია კატასტროფული შეიქნება დასავლეთევროპელთათვის, რადგან ვარშავის ხელშეკრულება „სამჯერ ძლიერია“ ნატოზე არაბირთვული შეიარაღების სფეროში. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი, რომელიც არასოდეს არ გამოირჩეოდა დიდი ხელგაშლილობით, კიდევ უფრო მომჭირნე შეიქნება, როგორც კი ბირთვული საფრთხე შემცირდება. რაკი სენატზე ჩამოვარდა ლაპარაკი, საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ხელშეკრულების რატიფიკაციის პრობლემაზე, ცნობილია, რომ წარსულში სწორედ ამერიკელ კანონმდებელთა განსაკუთრებულმა პოზიციამ გახადა შეუძლებელი მთელ რიგ მნიშვნელოვან ხელშეკრულებათა რატიფიკაცია. ამჯერად სიტუაცია თითქოს იმედის მომცემია. სენატორთა და კონგრესმენთა უმრავლესობა მხარს უჭერს ხელშეკრულებას. განგაშის სიგნალად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ისეთი გავლენიანი სენატორის 1986 წლის 3 სექტემბრის წერილი პრეზიდენტისადმი, როგორიცაა შეიარაღებულ ძალთა სენატის კომისიის თავმჯდომარე ნანი. იგი პრეზიდენტისაგან მოითხოვს ხსენებული ხელშეკრულების ირგვლივ წლების მანძილზე ჟენევაში წარმოებულ მოლაპარაკებათა ოქმებს, რომელთა შესწავლაც, ბუნებრივია დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

ხელშეკრულებისადმი „ღია“ ოპოზიციაში იმყოფებიან კონსერვატორი რესპუბლიკელები და სამხრეთის შტატების წარმომადგენელი დემოკრატები. ამ კოალიციას (დაახლოებით 20 კაცის შემადგენლობით) მიაჩნია, რომ არაეფექტური და განუხორციელებელი იქნება ნებისმიერი შეთანხმება საბჭოთა კავშირთან. ამერიკელ ჟურნალისტთა აზრით, გაცილებით სერიოზული საფრთხე ელის ხელშეკრულებას სენატში მერყეევი კანონმდებლების მხრიდან, რომელთა პოზიციაც ასე შეიძლება დავახასიათოთ — „კი, მა-

გრამ...“ ამ კატეგორიას მიაკუთვნებენ (გარდა ზემოხსენებული ნანისა) სენატორ გლენსაც (დემოკრატი ოჰაიოდან). რომელიც პრინციპში ხელშეკრულების მომხრეა. მაგრამ აწუხებს კონტროლისა და ევროპაში სამხედრო ძალთა ბალანსის პრობლემა. ამ ჯგუფის პოზიციები შეიძლება გაძლიერდეს სენატში რესპუბლიკელთა ლიდერის დოულის მხრიდან, რომელიც პრეზიდენტის სავარძელზე ოცნებობს და შეშფოთებულია, რომ მას „მარჯვნიდან“ უსწრებენ სხვა უფრო კონსერვატორი, ხელშეკრულების მოწინააღმდეგე კანდიდატები.

1986 წლის დამლევს თავი იჩინა ერთგვარმა ეპვიანობამ თეთრ სახლსა და კონგრესს შორის, რომელიც ასე გამოხატა დემოკრატთა ლიდერმა ბერდმა: „მე მსურს შევახსენო საბჭოებს, ჩვენს მოკავშირეებს და ასევე ჩვენს პოლიტიკოსებს. რომ ამ პროცესში (რატიფიკაციის პროცესში) სენატი ვალდებული არ არის მიიღოს ან უარყოს იგი იმ სახით, როგორც შედგენილია“.

სანუგეშოა. რომ სენატის ლიდერთა რწმენით, ხელშეკრულებას მხარს დაუჭერს პრაქტიკულად ყველა 51 დემოკრატი და რესპუბლიკელთა ნახევარზე მეტი (სენატში 46 რესპუბლიკელია). სენატში დემოკრატთა ლიდერის მოადგილე, გავლენიანი კრენსტონი. უკვე ჩაუდგა სათავეში ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის ბრძოლას.

პარადოქსული ფაქტია, რომ ხელშეკრულების ყველაზე მდგრადი ოპოზიციონერები არიან პრეზიდენტის უახლოესი მოკავშირენი პარტიის მემარჯვენე ფრთიდან. საერთო აზრით, ისინი ვერ დააგროვებენ ხელშეკრულების უარყოფისათვის საჭირო ხმათა რაოდენობას. გაცილებით სერიოზულ პრობლემას ქმნის თვითონ ადმინისტრაცია გაუთავებელი მტკიცებით, რომ 1972 წლის ხელშეკრულება არ კრძალავს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამით გათვალისწინებულ გამოცდებს. ასეთი ვერსიის მოწინააღმდეგე კანონმდებლები აცხადებენ, რომ თუკი ადმინისტრაცია არ შეცვლის თავის პოზიციას, სამაგიეროდ მათ შეიძლება მოითხოვონ ახალი ხელშეკრულების გაუთავებელი და ქანცგამომცელელი ანალიზი უამრავი დამატებებითა და შესწორებებით.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც განსაკუთრებული პოზიცია უკავია პენტაგონს. მისი გავლენიანი ექსპერტები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ხელშეკრულება სასურველია უსაფრთხოების

თვალსაზრისით, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ მას შეიძლება მოჰყვეს სხვა ხელშეკრულებები. რომლებიც, უკვე საფრთხეს შეუქმნიან დასავლეთს. რატომ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ ნატოს არცერთ ევროპელ წევრს არ სურს გაზარდოს ჩვეულებრივი შეიარაღების ხარჯები და მეორეც, ნამდვილი შეთანხმება საფრთხის ქვეშ დააყენებს მომავალ მოლაპარაკებებზე „ვარსკვლავეთის ომების" მთელ პროგრამას. გარდა ამისა. პენტაგონის ხელმძღვანელობა აქედანვე განგაშს სტეხს იმის გამო. რომ ხელშეკრულება სათავეს დაუდებს ოპტიმიზმს, რომელიც. თავის. მხრივ. „სახიფათო დათმობების" წინაპირობად იქცევა მომავალ მოლაპარაკებებში (იგულისხმება მოლაპარაკება სტრატეგიული იარაღის შემცირების თაობაზე). „ვშიშობ. რომ ეს „იმპულსი" შორს წაგვიყვანს. შეიძლება გამართლებულია ორმაგ ნულზე" შეთანხმება, მაგრამ სადამდის მიგვიყვანს იგი? როგორ გავლენას იქონიებს იგი განმუხტვაზე? და როგორი იქნება ეს განმუხტვა?" — აი. როგორ გამოხატა პენტაგონის პოზიცია ჟურნალისტებთან საუბარში ერთ-ერთმა მაღალი რანგის სამხედრო პირმა.

უკანასკნელ პერიოდში ამერიკის პრესის ფურცლებზე კიდევ ერთი ანტისახელშეკრულებო „არგუმენტი" გამოჩნდა. ზოგიერთი მიმომხილველის მტკიცებით, თითქმის გადაულახავ ტექნიკურ სიძნელეებთან ყოფილა დაკავშირებული საშუალო და მცირე რადიუსის ბირთვული იარაღის ფიზიკური მოსპობა. როგორია რეალური ვითარება? თუ ეს ასეა, ეს ნანატრი შეთანხმება იმთავითვე განწირული ყოფილა. დავიწყოთ იმით, რომ აშშ-ში საკმაო გამოცდილება არსებობს მოძველებული ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის საქმეში. ამჟამად იქ მიმდინარეობს 20 წლის წინ პენტაგონის ყველაზე მრისხანე იარაღის — „ტიტანის" ტიპის რაკეტების ლიკვიდაცია. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ტექნიკური თვალსაზრისით უფრო იოლი იქნება „პერშინგებისა" და ფრთოსანი რაკეტების მოსპობა. ორივე ამ ტიპის რაკეტები, „ტიტანისაგან" განსხვავებით, მკვრივ საწვავზე მუშაობს, რაც აადვილებს საქმეს.

ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირადად პრეზიდენტის პოზიციას. 1986 წლის დამლევს თეთრი სახლი არ მალავდა, რომ რეიგანისათვის ორ მომენტს შეეძლო ისტორიაში საპატიო ადგილის გარანტირება: სენატში რობერტ

ბორკის კანდიდატურის დამტკიცებას უმაღლესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე და ხელშეკრულებას შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში. თუკი პრეზიდენტი ორივე მიზანს მიაღწევდა, იგი „მაღალ ნოტებზე" დაამთავრებდა თავის მოღვაწეობას. იმასთან დაკავშირებით, რომ სულ უფრო და უფრო რთულდებოდა ბორკის კანდიდატურის დამტკიცება სენატში, იზრდებოდა ხელშეკრულების მნიშვნელობა. „არ შეიძლება გულისტკივილით არ უყურო, თუ როგორ ლაპარაკობს იგი ბალანსირებულ ბიუჯეტზე. ახლა რეიგანს თვლიან საშუალო პრეზიდენტად, რომელიც პოზიციებს კარგავს. მისთვის აუცილებელია უმაღლეს დონეზე შეხვედრა, რათა წარმატებით დაამთავროს პრეზიდენტობის პოსტზე ყოფნა" — ამბობდა 1986 წლის სექტემბერში პრეზიდენტის ბიოგრაფი თომას კრონინი.

მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა ამერიკელ მიმომხილველსა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სპეციალისტს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირთან განიარაღებაზე ხელშეკრულების დადება მკვეთრად გაზრდის პრეზიდენტის რეპუტაციას და რესპუბლიკელთა შანსებს არჩევნებში.

თვით დემოკრატთა კონსულტანტი ფრენკ გრირიც კი აღიარებს, რომ ხელშეკრულება „ანეიტრალებს უაღრესად სერიოზულ შეშფოთებას, რომელსაც ამერიკელები განიცდიდნენ, ეჭვი ეპარებოდათ რა რესპუბლიკელთა გულწრფელობაში შეიარაღებაზე კონტროლთან დაკავშირებით. ხელშეკრულება ხსნის პრობლემას, რომელიც აწყობდათ დემოკრატებს".

საინტერესოა, რომ ახლა, როდესაც რესპუბლიკელთა ულტრამემარჯვენე კონსერვატორული ფრთა კვლავ უარყოფს ხელშეკრულებას, დემოკრატებმა სწრაფად აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას და ცდილობენ ამერიკელი ამომრჩევლები დააჯერონ — სწორედ მათ პარტიას შეუძლია წარმატებით გააგრძელოს პრეზიდენტის მიერ წამოწყებული საქმე. ამ მხრივ მემარჯვენე რესპუბლიკელთა ნებისმიერი ოპოზიცია ამომრჩეველთათვის იმის ნიშანი იქნება, რომ არ შეიძლება მმართველი პარტიის ნდობა შეიარაღებაზე კონტროლის საკითხში. თავის დროზე დემოკრატებმა ბევრი დაკარგეს იმის გამო, რომ ადმინისტრაციამ თავდაცვის საკითხებში უხერხემლო პარტიის რეპუტაცია შეუქმნა მათ. ახლა თუ რესპუბ-

ლიკელთა მემარჯვენე ფრთა ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოვა, მეორე პარტია ექსტრემისტებად იქცევა ამომრჩეველთა თვალში.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, კარსლეინის აზრით, სწორედ შიდაპოლიტიკურმა მოსაზრებებმა აიძულა რეიგანი წასულიყო შეთანხმებებზე: ხელშეკრულება, რომელსაც პრაქტიკულად უმეტესობა უჭერს მხარს, სენატში მოხვდა ნიუ-ჰემპშირში პირველადი არჩევნების წინ, რასაც ძალზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მიმომხილველთა აზრით, სწორედ უკანასკნელმა გარემოებამ განაპირობა უაინბერგერის მარცხი, როდესაც პრეზიდენტმა ყურად არ იღო მისი დაბეჯითებითი თხოვნა, ხელშეკრულებიდან ამოეღოთ არაბირთვული ან „ჩვეულებრივი" მუხტები. ამით უაინბერგერს სურდა გზა გაეხსნა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალთა საიდუმლო განზრახვისათვის — 90-იანი წლების დამლევს დასავლეთ ევროპაში განლაგებინა ხსენებული იარაღი.

პრეზიდენტმა აგრეთვე უარყო უაინბერგერის მეორე მოთხოვნაც — „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" პროგრამით გათვალისწინებული ცდებისათვის შეენახათ დასავლეთ ევროპაში განლაგებული ან ამერიკაში დაგროვილი საშუალო რადიუსის რაკეტები. მართალია საბოლოო ჯამში ყველა რაკეტა მოისპობოდა, მაგრამ, უაინბერგერის იდეით, ეს რაკეტები განადგურდებოდა „ვარსკვლავეთის ომების" ტექნოლოგიის დამუშავების პროცესში, როდესაც მათ სამიზნეებად გამოიყენებდნენ. რეიგანმა ასევე არ მიიღო პენტაგონის კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელიც საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების ლიკვიდაციის ტემპს შეეხებოდა; კერძოდ, რეკომენდაცია ითვალისწინებდა პირველ ეტაპზე მხოლოდ საბჭოთა რაკეტების ლიკვიდაციას, ამერიკა მხოლოდ მას შემდეგ შეუდგებოდა თავისი რაკეტების ლიკვიდაციას, როდესაც საბჭოთა კავშირი მოსპობდა თავის 1087 რაკეტას.

საყურადღებო ფაქტია, რომ უაინბერგერის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა არა მარტო სახელმწიფო დეპარტამენტი, არამედ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოც, ვინაიდან პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია არაბირთვული და ბირთვული მუხტების ერთმანეთისაგან აბსოლუტური სიზუსტით გარჩევა. თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლებიც კი აღიარებდნენ, რომ ჟენევის მოლაპარაკებაზე უაინბერგერმა ძალზე გააოცა

ამერიკის დელეგაციის წევრები, როდესაც ისეთი რამ მოითხოვა, რისი შემოწმებაც შეუძლებელია. კერძოდ, საკითხი ეხებოდა არაბირთვულ ფრთოსან რაკეტებს. გასაოცარი აქ არაფერი იყო; უბრალოდ, საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების სრული აკრძალვა გაართულებს „რაკეტოპლანის“ შექმნას, რომელიც პენტაგონის გეგმის მიხედვით, დედამიწიდან იქნება გაშვებული რაკეტის საშუალებით, საათში 19 ათასი კმ. სიჩქარით „ისრიალებს“ აღმოსავლეთ ევროპის ან საბჭოთა კავშირის თავზე, გადაიღებს საჭირო ფოტოსურათებს ან ჩამოყრის ბომბებს. ასეთი პროგრამის არსებობა კარგა ხანია ცნობილია; ერთხანს იგი თითქოს მიივიწყეს, მაგრამ 1986 წლის ზაფხულში სამხედრო-საჰაერო ძალთა ხელმძღვანელობა მოულოდნელად დაინტერესდა ამ პროგრამით.

დასავლეთში (განსაკუთრებით ინგლისსა და საფრანგეთში) მწვავედ აღიქვამენ ე. წ. „ორმაგი გასაღებიანი“ ტაქტიკური ბირთვული იარაღის სტატუსს. რომელიც ევროპის რიგ ქვეყნებშია განლაგებული. ჩვენი ოპონენტები არც იმას ივიწყებენ, რომ უკვე 60-იანი წლებიდან ნატოს წევრ ევროპის სახელმწიფოებში (დანიისა და ნორვეგიის გამოკლებით) განლაგებულია ტაქტიკური ბირთვული იარაღი, რომელიც „ორმაგი გასაღების“ პოლიტიკურ რეჟიმს ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, თუკი ვაშინგტონი დათანხმდებოდა სადავო რაკეტების ლიკვიდაციაზე, მათი მტკიცებით ეს სერიოზულ პოლიტიკურ სიძნელეებს შეუქმნიდა იმავე ვაშინგტონს „ბირთვული თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის“ თვალსაზრისით. ამავე დროს ეს იქნებოდა სერიოზული პრეცედენტი შემდგომ მოლაპარაკებებზე.

ვეცადოთ შევინარჩუნოთ ობიექტურობა და ისე განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები: საფრანგეთისა და ინგლისის ბირთვულ პოტენციალთან დაკავშირებით საერთაშორისო წრეებისათვის კარგადაა ცნობილი საბჭოთა მთავრობის პოზიცია და უაზრობაა ღია კარების მტვრევა. რაც შეეხება „ორმაგი გასაღების“ რეჟიმს, იგი გულისხმობს კონსულტაციებს ამერიკის პრეზიდენტთან ნატოს ხელმძღვანელობის მეშვეობით. გარდა ამისა, წმინდა სამხედრო, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სულ სხვაა იტალიის ან ჰოლანდიის ტერიტორიაზე განლაგებული

რაკეტები და სულ სხვაა დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე განლაგებული რაკეტები. ისიც სწორია, რომ „პერშინგ-1-ა“ ვერ მოსწვდება საბჭოთა კავშირს, მაგრამ ხომ თავისუფლად მოსწვდება მის მოკავშირეებს? და ბოლოს, ყველაფერს . რომ თავი დავანებოთ. ხსენებული რაკეტები თავისებური ჰიბრიდია — თვითონ რაკეტა ბონის საკუთრებაა, მაგრამ ადამიანს კლავს არა რაკეტა, არამედ მისი „ტვირთი“ — მუხტი. უკანასკნელი კი ამერიკის საკუთრებაა და ამიტომაც ექვემდებარება ხელშეკრულებით ნავარაუდებ შეზღუდვებს. ობიექტურ რეალობათა ცინიკური იგნორირებაა „პრეცედენტზე“ ჩივილი; განა ვინმე მოითხოვს ნატოსაგან, რომ მან ცალმხრივად, კომპენსაციის გარეშე შეამციროს თუნდაც ერთი ბირთვული მუხტი? ამიტომ, თუკი მომავალში დადგება ტაქტიკური ბირთვული იარაღის შემ[illegible]ამი შემცირების საკითხი, „პერშინგ-1-ა“ [illegible]რეცედენტი მხოლოდ დადებით როლს შეასრულებს.

თუ ღრმად ჩავუკვირდებით რაკეტებთან და საერთოდ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების პერსპექტივასთან დაკავშირებულ დებატებს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ საკითხი გაცილებით ფართო და ღრმაა. იგი გაცილებით რთულსა და სიღრმისეულ პრობლემას ეხება, ვიდრე 172 რაკეტის ყოფნა-არყოფნაა. შემთხვევითი არ არის, რომ ზოგიერთი დასავლელი მიმომხილველი სწორედ ამ რაკეტების ჭრილში და მასთან დაკავშირებით განიხილავს „დასავლეთის უსაფრთხოების სისტემის“ ბედსა და მომავალს. ფრანგი ექსპერტის ფრანსუა პიუოს აზრით, ამჟამად მთელ სისტემას ელის „დემონტაჟის“ საფრთხე. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც იგი ამტკიცებს 1986 წლის აგვისტოს დამლევს „ფიგაროში“ გამოქვეყნებულ წერილში, მცირე და საშუალო რაკეტების შემდეგ, ვაშინგტონი მზად იქნება ჩვეულებრივი, არაბირთვული ძალებიც გაიყვანოს დასავლეთ ევროპიდან. იგი იმოწმებს კარტერის ადმინისტრაციის გავლენიანი წევრის ზბიგნევ ბჟეზინსკის გახმაურებულ წერილს პრიორიტეტთა ცვლის თაობაზე (1986 წლის ივნისში „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ წერილში ბჟეზინსკი მოითხოვს დასავლეთ ევროპაში დისლოცირებული ამერიკის სამხედრო შენაერთების დიდი ნაწილის გადაყვანას სპარსეთის ყურის რაიონში), რესპუბლიკელი სენატორის კრისტოლისა

და სხვათა საჯარო გამოსვლებს, რომელშიც ისინი ამტკიცებენ, რომ „ზესახელმწიფოთა კონფლიქტის კერად“ შეიძლება სულ სხვა რეგიონი იქცეს და არა ევროპა. საინტერესოა პიუოს რეცეპტი შექმნილ სიტუაციაში: „ფედერალური კანცლერის იდეა შერეული ფრანგულ-გერმანული ბრიგადის შექმნის თაობაზე ყოვლად დროულია“ — წერს იგი. — ვინაიდან სახეზეა „მადესტაბილიზებელი დაწოლა“. უკანასკნელი მოვლენები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფრანგი მიმომხილველი მხოლოდ თავის პირად მოსაზრებას როდი გამოსთქვამს; სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ გასული წლის აგვისტოს დამლევს ჩატარებული შეხვედრა საფრანგეთის პრეზიდენტსა და ესპანეთის პრემიერს შორის. ჩვენთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ შეხვედრაზე ევროპის უსაფრთხოების საკითხები განიხილეს და ერთსულოვან დასკვნამდე მივიდნენ.

დღეს ნატოს „წმინდა ევროპული“ ვარიანტის მომხრენი გენერალ დე გოლის აჩრდილსაც არ ასვენებენ და ამტკიცებენ, რომ მან პირველმა განკვრიტა დასავლეთ ევროპიდან ამერიკელთა „წასვლის“ გარდუვალობა, როდესაც 1962 წლის 7 სექტემბერს ჰამბურგში წარმოთქმულ სიტყვაში საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის არმიათა „ორგანული თანამშრომლობის“ იდეა წამოაყენა. ისტორიულად ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ისტორიის დამახინჯება ან გაყალბება საერთო კონტექსტიდან ცალკეული ფაქტების ამოგლეჯით არასოდეს არ წარმოადგენდა დიდ სირთულეს; ნუთუ ფრანგ ავტორს ჩვენ უნდა შევახსენოთ, რომ დასავლეთში სწორედ მისი თანამემამულე დე გოლი ითვლება თვისებრივად სრულიად ახალი პოლიტიკური კურსის და ფილოსოფიის თეორეტიკოსად და პრაქტიკოსად? ყველას ესაჭიროება უსაფრთხოების გარანტია, მათ შორის, ბუნებრივია, დასავლეთ გერმანელებსაც. დე გოლი არასოდეს ყოფილა ნეტარი პაციფისტი, მაგრამ დასავლეთ ევროპელთა კავშირს იგი განიხილავდა როგორც ვაშინგტონის დიქტატის რეალურ ალტერნატივას. ამიტომაც გადააბარგა მან ნატოს შტაბ-ბინა ბრწყინვალე პარიზიდან დაჭაობებულ ევერში. დე გოლის პოლიტიკური კრედო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, დაძაბულობის განმუხტვა იყო. შემდეგ ბონიც მივიდა

„ახალი აღმოსავლური“ პოლიტიკის რეალობამდე. დღეს კი რას სთავაზობს ევროპელებს, კონკრეტულად დასავლეთ გერმანელებს პიუო? ჩვეულებრივ შეიარაღებაში „ვარშავის ხელშეკრულების უპირატესობის გასათანაბრებლად გერმანელები უნდა დათანხმდნენ მეტი ეფექტის და ნაკლები თანმხლები მოვლენების იარაღის, კერძოდ, ნეიტრონის ბომბის გამოყენებაზე“. სადამდე შეიძლება მივიდეს „საბჭოთა საფრთხის“ ჰიპერბოლიზაცია? როგორც ვხედავთ, პოლიტიკურ მარაზმამდეც კი. აბა სხვაგვარად რითი ავხსნათ პროფესიონალის ასეთი „რეცეპტი“ მაშინ, როდესაც დიდი და პატარა მოუთმენლად ელის რეალური ბირთვული განიარაღების მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს?

როდესაც ხელშეკრულების მოწინააღმდეგეები კვლავ შეუდგნენ კონტროლის პრობლემის რეანიმაციას, ალბათ ბევრს გაახსენდა ცნობილი აფრიკული ანდაზა — „მკვდარი ცოცხალს ითრევს“. დიახ, სრული ჭეშმარიტებაა, რომ ნეიტრალიერ ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინა აქვს ფასი და მაშინ „მუშაობს“, როდესაც მხარეები კეთილსინდისიერად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, მეორეს მხრივ, საკმარისი არ არის, რომ ორივე მხარე კეთილსინდისიერად ასრულებდეს ნაკისრ ვალდებულებებს, აუცილებელია, რომ ორივე მხარეს სჯეროდეს ერთმანეთის. დღეს კი მწარე რეალობაა, რომ აღარავის სჯერა პარტნიორის „პატიოსანი სიტყვის“, საჭიროა კონტროლის უფლება; თუკი ვინმე დაეჭვდება პარტნიორის კეთილსინდისიერებაში, მას უნდა ჰქონდეს კონტროლის უფლება და საშუალება. მას შემდეგ, რაც საბჭოთა მხარე დათანხმდა ნეიტრალიერ კონტროლზე, პრობლემაც თავისთავად უნდა გამქრალიყო. საჭირო იყო მხოლოდ კონტროლის ტექნიკური დეტალების დაზუსტება და შეთანხმება. ამერიკაში დღეს კვლავ გაისმის იმის მტკიცება, რომ კონტროლი კვლავ გადაუჭრელ პრობლემად გვევლინება. რა იმალება ასეთი მტკიცების მიღმა? „პერშინგ—1—ა“-ს საკითხში კომპრომისის გამონახვის შემდეგ მორიგი ბარიერის აღმართვა მომავალ მოლაპარაკებათა გზაზე? კვლავ დავეთანხმებით ჩვენს ოპონენტებს იმაში, რომ კონტროლის პრობლემა დღესაც აქტუალურია. ისიც სწორია, რომ შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში ხელშეკრულების ეფექტური შემოწმება დღეს უფრო რთულია, ვიდრე, ვთქვათ, 10 წლის წინ იყო. ეს

განაპირობა ჯერ ერთი მიღწევებმა ტექნიკის სფეროში: ბირთვული იარაღი უფრო მცირე მოცულობისა და მობილური გახდა. გაძნელდა მათზე მეთვალყურეობა ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რიგით ამერიკელთა ნაწილს არ სჯერა ჩვენი (მეორე საკითხია თუ რატომ), რაც დამატებით სირთულეებს ქმნის და პოლიტიკური დემაგოგიის საშუალებას აძლევს გარკვეულ წრეებს.

უკანასკნელ მომენტთან დაკავშირებით, საინტერესო მოხსენება გამოაქვეყნა „შეშფოთებულ მეცნიერთა კავშირმა“ (ცნობილი პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაცია აშშ-ში): „ამერიკის პოლიტიკა და ბრალდებები საბჭოთა კავშირის მიმართ ხელშეკრულებების დარღვევებთან დაკავშირებით“. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ერთ საინტერესო ფაქტზე: მიუხედავად იმისა, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში თავისი პოლიტიკის ქვაკუთხედად აქცია ბრალდებები საბჭოთა კავშირის მიმართ, მას ერთხელაც არ მიუმართავს ისეთი კონფიდენციალური ორგანოსათვის, როგორიცაა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის 1979 წლის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი საკონსულტაციო კომისია. უკანასკნელი გარემოება კი იმაზე მეტყველებს, რომ ვაშინგტონის ყოველი ბრალდების მიღმა იმალება პოლიტიკური მიზანი — გაამართლოს თავისი სამხედრო პროგრამები და გაართულოს ნებისმიერი ხელშეკრულება განიარაღების სფეროში. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია — დღეს სწორედ ჩვენ ვთავაზობთ ამერიკელებს უპრეცედენტოდ „ღია“ და მკაცრ კონტროლს.

რასაკვირველია, ურაკეტო ევროპა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც დღეს რეალურ კონტურებს ღებულობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ არის მთავარი; ერთმა, თავისი ციფრობრივი მონაცემებით, არცთუ შთამბეჭდავმა ხელშეკრულებამ (მისი ცხოვრებაში გატარების შემდეგ ევროპაში მხოლოდ 25 პროცენტით შემცირდება ბირთვული იარაღი, ხოლო მსოფლიოში — 2 პროცენტით) პრაქტიკულად სათავე უნდა დაუდოს, ახალ ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. მართალია თვით ამერიკაში შიდაპოლიტიკურ ბრძოლას ხშირად მოჰყოლია უკიდურესობანი პოლიტიკაში, მაგრამ ქვეყნის რეალის-

ტურად მოაზროვნე წრეები ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასების მტკივნეულ პროცესში მიდიან მთელ რიგ დასკვნებამდე, კერძოდ, მსოფლიოს ორ წამყვან სახელმწიფოს დიამეტრალურად განსხვავებული ინტერესები აქვს, თუმცა მათ საერთოდ, პარალელური მიზნებიც გააჩნიათ. ესენია შეიარაღებაზე კონტროლის განმტკიცება და შენარჩუნება. ამავე დროს შეიარაღების შეზღუდვა პოლიტიკის ალტერნატივა კი არა, მისი მთავარი ელემენტია. ბირთვული კატასტროფიდან თავის დაღწევა კვლავ რჩება (და ალბათ კიდევ დიდხანს დარჩება) საერთო, მთავარ მიზნად. არ არის აუცილებელი რთული პროცესის ფორსირება; ნელი, მაგრამ უწყვეტი პროგრესი საკმარისი იქნება ნდობის ატმოსფეროს და ახალ ურთიერთობათა დასამყარებლად.

დღითი დღე იზრდება მათი რიცხვი, ვინც აღიარებს მზარდ საერთო ინტერესებს: ორივე ქვეყანას აწუხებს გარემო სფეროს მდგომარეობა. ტერორიზმი, ბირთვული იარაღის გავრცელებისა თუ ნარკომანიის საფრთხე.

სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, სწორედ ზემოხსენებულმა საერთო ინტერესებმაც აიძულა პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაცია მკვეთრად შეეცვალა თავისი პოლიტიკა შეიარაღებაზე კონტროლის საკითხში.

ძალზედ დიდი ხნის განმავლობაში „განმუხტვა“ თითქმის შეურაცხმყოფელი სიტყვა იყო პირადად რეიგანისა და მისი ადმინისტრაციისათვის. უკანასკნელის აზრით, ეს იყო ცალმხრივი მოძრაობის ქუჩა, რომელიც საბჭოთა კავშირს ეხმარებოდა თავისი „მთავარი ამოცანის“ განხორციელებაში — „მსოფლიო რევოლუციის“ მომზადებაში. დღეს თითქმის იცვლება სიტუაცია; ბევრი ავტორიტეტული მიმომხილველი განმუხტვის ახალი ერის დადგომაზეც კი ლაპარაკობს. სახეზეა რეალური ბირთვული განიარაღების პირველი ხელშეკრულება, მოსალოდნელია სხვა მოლაპარაკებათა აქტივიზაცია, შეიქმნა ბირთვული საფრთხის შემცირების ცენტრები, გასული წლის შემოდგომაზე ამერიკელი ოფიცრები პირველად ესწრებოდნენ საბჭოთა ჯარების სწავლებას, მზადდება 15-მდე ხელშეკრულება სხვადასხვა სფეროებში — დაწყებული თევზჭერის უფლებიდან და დამთავრებული ბირთვული სინთეზის სფეროში თანამშრომლობით.

ზოგიერთი დასავლელი სპეციალისტის მტკიცებით, ამჯერად არ იგრძნობა ის გაზვიადებული იმედები და ეიფორია, რომელიც დამახასიათებელი იყო ნიქსონისა და კარტერის პერიოდისათვის. მათი აზრით, 70-იან წლებსა და 1987 წელს შორის ის განსხვავებაცაა, რომ იმ პერიოდში ვიეტნამითა და უოტერგეიტით ქანცგაცლილი ადმინისტრაცია მოსკოვთან თანამშრომლობის გაფართოებით ცდილობდა მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევას და ამით ისარგებლა საბჭოთა კავშირმა. ახლა კი უკვე საბჭოთა კავშირი გამოდის თანამშრომლობის გაფართოების ინიციატივით. შორს წაგვიყვანდა ასეთი ხელოვნურად გამარტივებული სქემის კრიტიკა. სამწუხაროა, თუ ამერიკაში დღეს ვინმეს კვლავ მიაჩნია, რომ დაძაბულობის განმუხტვა, განიარაღება და თანამშრომლობის გაფართოვება შეიძლება ერთი მხარის ინტერესებს უფრო მეტად პასუხობდეს, ვიდრე მეორისას. ჩვენის აზრით, არც პირადი რეპუტაციის ან პრესტიჟისათვის ზრუნვაა მთავარი ფაქტორი: არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პრეზიდენტი რეიგანი, ისევე როგორც ტრუმენის შემდგომი ყველა პრეზიდენტი, იძულებული შეიქნა მთავარი ჭეშმარიტება და რეალობა ეღიარებინა — ბირთვული განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფ მსოფლიოში გარდუვალია საბჭოთა კავშირთან ამა თუ იმ ფორმით თანამშრომლობა. ანტიბირთვული მოძრაობის გაძლიერებამ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, ისევე როგორც სამხედრო ხარჯების შემცირების მოთხოვნამ, მხოლოდ ძალა შემატა ამ პოლიტიკურ ემპირატივს. დასავლელი ექსპერტები იმასაც ამტკიცებენ, რომ სამ ფრონტზე მოვლენათა განვითარებაზე იქნება დამოკიდებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობათა გაუმჯობესების დინამიკა; ესენია — შეიარაღებაზე კონტროლი, ადამიანთა უფლებები და რეგიონალური კონფლიქტები.

მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ ორ ქვეყანას შორის საქმიანი თანამშრომლობის გაფართოებას სერიოზული სტიმული მისცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის უკანასკნელმა მოლაპარაკებებმა, განსაკუთრებით კი უმაღლეს დონეზე შეხვედრებმა. მიღწეულია პრინციპული შეთანხმებანი განიარაღების პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს

იმას, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ყველა უთანხმოება ერთხელ და სამუდამოდ ლიკვიდირებულია: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იქნება ერთ-ერთი მთავარი ბარიერი ბირთვული განიარაღების გზაზე.

ერთ-ერთ სარედაქციო წერილში „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ იმედი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში „ცივი მშვიდობის“ ერა დადგება. რასაკვირველია, ამას იდეალურ ვარიანტს ვერ უწოდებ, მაგრამ ნებისმიერ „ომს“ მაინც ნებისმიერი „მშვიდობა“ სჯობს. უბირთვო ევროპა ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება.

აბონ ციციაშვილი

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია მშვიდობისა და უშიშროების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია

თუ 1945 წლის 9 მაისიდან დაწყებული მშვიდობიანი წელთაღრიცხვა ევროპაში ოთხ ათეულ წელზე მეტია გრძელდება, თუ მსოფლიოში, სადაც „ცივი ომი" ბობოქრობდა, და რომელიც იმპერიალისტების მოღვაწეობის შედეგად არაერთხელ აღმოჩენილა „ცხელი" ომის ზღვარზე, მშვიდობა შენარჩუნებულია, ხოლო 42 წელი უომოდ ეს ყველაზე ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდია კონტინენტის მთელი ისტორიის მანძილზე, კონტინენტისა, სადაც სამხედრო კონფლიქტები ერთი მეორეს მიჰყვებოდა დაუსრულებელ რიგად, ამაში, უდავოდ, დიდი როლი შეასრულა ვარშავის ხელშეკრულებამ. ვარშავის ხელშეკრულება უშიშროებისა და მშვიდობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა ევროპასა და მის საზღვრებს გარეთ. ასეთია მისი მთავარი დამსახურება, ასეთია მისი 32 წლიანი საქმიანობის მთავარი შედეგი. როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, „...უმისოდ (ვარშავის ხელშეკრულების გარეშე. — ა. ც.) დღეს ძნელი წარმოსადგენია მთლიანად მსოფლიო პოლიტიკა"[1]. ვარშავის ხელშეკრულება წარმოიშვა მშვიდობიანობის ვითარებაში. ბუნებრივად იბადება კითხვა: ამ პირობებში რატომ დადგა იმ სოციალისტური სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის აუცილებლობის საკითხი, რომლებიც პრინციპულად გამოდიან მსოფლიოს ბლოკებად დაყოფის წინააღმდეგ. ისინი ხომ კოლექტიური უშიშროების

---

[1] გორბაჩოვი მ. ს., სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 122.

სისტემის მომხრენი არიან, სისტემისა. რომელიც ღიაა ყველა ქვეყნის მონაწილეობისათვის, მათი სოციალური წყობილების მიუხედავად?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია იმიტომ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი დასავლეთში ვარშავის ხელშეკრულების დადების მიზეზებთან დაკავშირებით ბევრ ცრუ ვერსიას ავრცელებენ, კერძოდ, მათ მიაჩნიათ, რომ ევროპის ორი ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებად გაყოფის პასუხისმგებლობა თითქოს საბჭოთა კავშირს ეკისრებოდეს.

ფაქტები მოწმობენ, რომ ვარშავის ხელშეკრულების დადება იძულებითი ნაბიჯი იყო, რომელიც ევროპის სოციალისტურმა ქვეყნებმა გადადგეს იმპერიალისტური ქვეყნების მიერ მათ მიმართ გატარებული მტრული პოლიტიკის საპასუხოდ.

საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა კი არ დაუდეს დასაბამი ევროპის, ომის შემდგომი მსოფლიოს გაყოფას, არამედ ეს გააკეთეს ნატოს შემქმნელებმა, ჩვენი კავშირი კი მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ გაჩნდა.

1948 წლიდან დაწყებული შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის სხვა ქვეყნებმა სამხედრო ბლოკების შეკოწიწების კურსი აიღეს. 1949 წლის 4 აპრილი ომის შემდგომი პერიოდის ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი მწუხარე, სევდიანი თარიღი, როდესაც განხორციელდა აქცია, რის შედეგადაც მთელს საერთაშორისო ვითარებას ომის ავისმომასწავებელი აჩრდილი ჩამოაწვა: ამ დღეს ვაშინგტონში 12 სახელმწიფომ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა, დანიამ, ნორვეგიამ, ისლანდიამ და პორტუგალიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. ამით გაფორმდა იმპერიალისტური სახელმწიფოების ძირითადი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება. 1952 წელს ნატოს წევრები გახდნენ საბერძნეთი და თურქეთი, 1955 წელს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ასე დასრულდა ევროპის გათიშვა. ასე შექმნა ვაშინგტონმა დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება შეერთებული შტატების მეთაურობით საბჭოთა კავშირთან ბრძოლის მიზნით.

ნატოს შექმნით სოციალისტური ქვეყნების უშიშროების სა-

ფრთხე და ახალი ომის წარმოშობის შესაძლებლობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები. ოთხი წლის მანძილზე (1949—1953) ნატოს სამხედრო ხარჯები 3,5-ჯერ და მეტად გაიზარდა. ამავე დროის განმავლობაში ვაშინგტონმა ნატოს სხვა ქვეყნებს მათი შეიარაღებული ძალების აღსაჭურვად გადასცა 4 500 საბრძოლო თვითმფრინავი, 550-ზე მეტი სამხედრო ხომალდი, 300 ათასამდე ტანკი და ჯავშანმანქანა.

თუ როგორი ტემპებით ზრდიდა მილიტარისტული ალიანსი თავის შეიარაღებულ ძალებს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემდეგი მონაცემების მიხედვით: 1949 წელს, ნატოს შექმნისას, მისი სარდლობის განკარგულებაში იყო მხოლოდ 12 დივიზია, 1955 წლის დასაწყისისათვის მათი რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა და 50-ს მიაღწია. კვლავ აღვნიშნავთ, რომ ამ დროს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია არ არსებობდა.

საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა სოციალისტური ქვეყნებისათვის სამხედრო საშიშროების რეალობა უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ნატოს წევრი გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სადაც გააქტიურდნენ მილიტარისტული და რევანშისტული ძალები და რომელიც გადაიქცა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ ძირითად სამხედრო პლაცდარმად.

ბუნებრივია, რომ ამ პირობებში სოციალისტური ქვეყნები ვალდებულნი იყვნენ ეზრუნათ თავიანთი უშიშროების განმტკიცებაზე. საერთაშორისო იმპერიალიზმის გაერთიანებულ ძალებს აუცილებლად უნდა დაპირისპირებოდა სოციალისტური სახელმწიფოების გაერთიანებული ძალა.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად 1955 წლის 14 მაისს, ვარშავაში, რვა ქვეყნის — ალბანეთის [1], ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოს-

---

[1] 1962 წლიდან ალბანეთის წარმომადგენლები აღარ მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირებში, 1968 წელს კი ალბანეთი ცალმხრივი წესით გავიდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისაგან.

ლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა ხელი მოაწერეს კოლექტიურ სამოკავშირეო ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც ისტორიაში ვარშავის ხელშეკრულების სახელით შევიდა. ეს არის კაცობრიობის ისტორიაში იმ სახელმწიფოთა პირველი კოლექტიური სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელთა მთელი საქმიანობა მთლიანად ექვემდებარება მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებს.

ვარშავის ხელშეკრულების პრეამბულასა და თერთმეტ მუხლში ნათლადაა ჩამოყალიბებული მისი მშვიდობისმოყვარული მიზნები და თავდაცვითი ხასიათი. ვარშავის ხელშეკრულების მშვიდობისმოყვარულ ხასიათს მოწმობს ისიც, რომ ნატოსაგან განსხვავებით, იგი მზად არის მიიერთოს ნებისმიერი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ქვეყანა. აქ მთავარი პირობაა მათი მზადყოფნა — ხელი შეუწყონ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ძალისხმევის გაერთიანებას მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

ხელშეკრულების მშვიდობიან მიმართულებას ადასტურებს მის მონაწილეთა მზადყოფნა კავშირის თვითდაშლისათვის ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შემთხვევაში.

თავისი არსებობის 32 წლის მანძილზე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას არც ერთი შეიარაღებული კონფლიქტი არ გაუჩაღებია. სოციალიზმი და ომი შეუთავსებელია. „ჩვენი იდეალია მსოფლიო, სადაც არ იქნება იარაღი და ძალმომრეობა, მსოფლიო, სადაც თითოეული ხალხი თავისუფლად ირჩევს განვითარების გზას, თავის ცხოვრების წესს“ [1].

ვარშავის ხელშეკრულების საქმიანობის მთავარი მიმართულებებია: ბრძოლა მშვიდობისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, ბრძოლა კოლექტიური უშიშროებისათვის ევროპაში და მისი პრობლემების სამართლიანი გადაწყვეტისათვის: სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა; სოციალისტური ქვეყნების ერ-

---

[1] გორბაჩოვი მ. ს., სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, გვ. 107.

თიანობისა და შემშიდროებულობის განმტკიცება: ინტერნაციონალური დახმარების გაწევა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სალხებისადმი.

საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების მიერ დადებულ ყველა ხელშეკრულებასა და შეთანხმებას. ყველა მათ ერთობლივ განცხადებასა და დეკლარაციას წითელ ზოლად გასდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპი.

მრავალი წლის მანძილზე ევროპის უშიშროების განმტკიცების ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის მოგვარება რჩებოდა. 1970—1973 წლებში ზემოაღნიშნულ სოციალისტურ ქვეყნებსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებულ ხელშეკრულებებში ფიქსირებულია ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შედეგად ჩამოყალიბებული საზღვრების ურღვეობა. ყოველივე ეს იყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შეთანხმებული საგარეო პოლიტიკური კურსის ეფექტიანობის დამაჯერებელი დადასტურება და დასავლეთის განსაზღვრული წრეების მიერ გამოვლენილი პოლიტიკური რეალიზმის შედეგი.

საერთო-ევროპული თათბირის წარმატებით ჩატარებისათვის ბრძოლაში სოციალისტური ქვეყნების ინიციატივების განხორციელების კულმინაციური პუნქტი გახდა ევროპის 33 ქვეყნის, აშშ-ისა და კანადის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრა ჰელსინკში 1975 წლის 30 ივლისს — 1 აგვისტოს. სასახლე „ფინეთი“ გახდა მსოფლიოს 35 სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა ისტორიაში უპრეცედენტო შეხვედრის ადგილი. მათ მიერ ხელმოწერილი დასკვნითი აქტი მოასწავებდა მნიშვნელოვან ნაბიჯს ევროპაში ურთიერთგაგების გაუმჯობესებისა და გააქტიურების, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

მაგრამ ნატოს, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის სამხედრო სამრეწველო კომპლექსი, მილიტარისტული ძალები რიდი შეურიგდნენ ამ პროცესს. 1979 წლის მაისში ვაშინტონში, აშშ-ის ზემოქმედების შედეგად, ნატოს საბჭოს სესიამ მოიწონა თავისი მასშტაბებით უპრეცედენტო ე. წ. „ახლებურად შეიარაღების“ 15—20

წლისათვის გათვალისწინებული პროგრამა. 1979 წლის დეკემბერში, იმავე ვაშინგტონის დაწოლის შედეგად, ნატოს სესია ღებულობს გადაწყვეტილებას დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული საშუალებების: 464 ფრთოსანი რაკეტისა და 108 რაკეტა „პერშინგ-2"-ის განლაგების შესახებ, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული ობიექტების წინააღმდეგ.

ამ რთულ და დაძაბულ ვითარებაში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები აგრძელებდნენ ბრძოლას იმისათვის, რომ არ დაუშვან პოლიტიკური ვითარების შემდგომი გაუარესება. პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ვარშავის 1980 წლის მაისის თათბირზე ვარშავის ხელშეკრულების წევრმა სახელმწიფოებმა შესთავაზეს ნატოს მოლაპარაკების დაწყება გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ომის თავიდან აცილების მომწიფებულ საკითხებზე. შესთავაზეს კონკრეტული მოლაპარაკებები ძალის გამოუყენებლობის შესახებ, ბირთვული იარაღის წარმოების შეწყვეტის, მისი მარაგის თანდათან შემცირების შესახებ სრულ ლიკვიდაციამდე, მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ სახეობათა შექმნის აკრძალვის, სამხედრო ბიუჯეტების შემცირების შესახებ.

აღნიშნული საკითხების გადაჭრაში დასავლელ პარტნიორებს მზადყოფნა რომ გამოეცხადებინათ, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა შესუსტებულიყო ომის საფრთხე და საერთაშორისო ურთიერთობა კვლავ მოქცეულიყო ნორმალურ კალაპოტში. მაგრამ მათ მხრივ ასეთ მზადყოფნას ადგილი არ ჰქონდა.

1983 წლის ნოემბერში ვაშინგტონი შეუდგა დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე თავისი საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების განლაგების პროგრამის განხორციელებას, რაც 1986 წლის აპრილისათვის 50 პროცენტით იყო შესრულებული. ამ დროისათვის გეგმით გათვალისწინებული 572 რაკეტიდან ევროპაში იყო 284, მათ შორის დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე 108 რაკეტა „პერშინგ-2" და 16 ფრთოსანი რაკეტა, ბელგიაში — 16 ფრთოსანი რაკეტა, იტალიაში — 48 და ინგლისში — 96.

მხედველობაშია მისაღები შემდეგი: 572 საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტა ამერიკის სტრატეგიული პოტენციალის მხოლოდ ოთხი პროცენტია, მაგრამ საქმე რაოდენობაში კი არა, თვისებრიობაშია. აღნიშნული რაკეტების მოქმედების სიზუსტე, მიზანში მოხვედრის მცირე დრო ცვლის მთელ სტრატეგიულ სიტუაციას არა მარტო ევროპაში, არამედ მთლიანად მსოფლიოში. დასავლეთ ევროპის გაზეთების ზოგიერთმა მიმომხილველმა სიტუაცია დაახასიათა ცნობილი გამოთქმით „თორმეტს ხუთი წუთი აკლია", ხოლო ნიუ-იორკის ერთ-ერთი მოგზაურობის ბიუროს მფლობელმა ამერიკელ ტურისტებს მოუწოდა: „ინახულეთ ევროპა, ვიდრე ჯერ კიდევ გვიანი არ არის". როგორი ცინიკურიც არ უნდა იყოს ეს „იუმორი", მასში მკაცრი ჭეშმარიტება აისახა: ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგებით ევროპელი ხალხების უშიშროება მეტად სუსტი და საკმაოდ მოწყვლადი გახდა. ამასთან აშშ-ის პოლიტიკის შედეგად ჩაიშალა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკება ევროპაში ბირთვულ შეიარაღებათა შეზღუდვისა და სტრატეგიულ-ბირთვულ შეიარაღებათა შეზღუდვისა და შემცირების შესახებ.

შექმნილ პირობებში საბჭოთა კავშირი და ვარშავის ხელშეკრულების სხვა მონაწილე სახელმწიფონი იძულებულნი გახდნენ მიეღოთ საპასუხო თავდაცვითი ღონისძიებანი, რათა არ დაეშვათ სამხედრო სტრატეგიული თანასწორობის მსხვრევა და საიმედოდ უზრუნველეყოთ სოციალისტური ქვეყნების უშიშროება. ამ მიზნით ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებთან შეთანხმებით, მათ ტერიტორიაზე განლაგდა ამაღლებული სიშორის საბჭოთა ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები, აგრეთვე გაიზარდა ბირთვულ რაკეტებიანი საბჭოთა წყალქვეშა ნავების რაოდენობა აშშ-ის ნაპირებთან ახლოს.

1984 წლის 12—14 ივნისს მოსკოვში გამართულ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის ეკონომიკურ თათბირზე ძირითადი იყო ბირთვული ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხი, რომლის განხილვაში მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების ყველა წევრი სახელმწიფო, აგრეთვე კუბა, მონღოლეთი და ვიეტნამი.

მნიშვნელოვანი იყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი უმაღლეს დონეზე, რომელიც 1985 წლის 22—23 ოქტომბერს გაიმართა სოფიაში. თათბირის მონაწილეებმა საფუძვლიანად განიხილეს ევროპაში შექმნილი ვითარება და ერთმანეთს აზრი გაუზიარეს მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობის საკვანძო პრობლემებზე. თათბირზე ერთსულოვნად მიიღეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა განცხადება „ბირთვული საფრთხის აღკვეთისა და ევროპისა და მსოფლიოს საქმეებში უკეთესობისაკენ შემობრუნებისათვის". სკკპ XXVII ყრილობაზე სპეციალურად აღინიშნა სოფიის თათბირის დიდი მნიშვნელობა.

ძალზე საყურადღებო იყო ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადება, რომელშიც ჩამოყალიბებულია მიმდინარე საუკუნის დამლევამდე ბირთვული იარაღისაგან კაცობრიობის განთავისუფლების კონკრეტული პროგრამა, კერძოდ, ევროპაში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაცია, საგარეო პოლიტიკური ინიციატივები და საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის იდეა. ამავე იდეას შეიცავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება პარტიის XXVII ყრილობას, აგრეთვე 1986 წლის 8 აპრილს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებული ინიციატივა ევროპის სახელმწიფოთა სახმელეთო ჯარებისა და ტაქტიკური ავიაციის ყველა კომპონენტის შემცირების, აგრეთვე ევროპაში განლაგებული აშშ-ისა და კანადის შესაბამისი ძალების შემცირების შესახებ, ჩვენი სხვა სამშვიდობო ინიციატივები. 1986 წლის 8 აპრილს ვარშავის ხელშეკრულების წევრმა სახელმწიფოებმა ევროპის სახელმწიფოებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას მიმართეს ევროპაში უბირთვო ზონების შექმნის საკითხის თაობაზე.

მსოფლიო იცვლება, მაგრამ იმპერიალიზმის აგრესიული ბუნება უცვლელი რჩება. სულ უფრო იზრდება გამალებული შეიარაღება თვით შეერთებულ შტატებში. სრული სვლით მიმდინარეობს ემექსის ახალი საკონტინენტთაშორისო რაკეტების, ბ-1-ბ-ის სტრატეგიული ბომბდამშენების, „ოჰაიოს" ტიპის („ტრაიდენტის" სისტემის) ატომური რაკეტული წყალქვეშა ნავების შექმნა.

ასეთ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, 1985 წლის 26 აპრილს, ვარშავაში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების უმაღლესი პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრა. შეხვედრაზე ხელი მოაწერეს ოქმს, რომლითაც მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1955 წლის 14 მაისის ხელშეკრულებას ოცი წლით გაუგრძელდა მოქმედების ვადა შემდგომი პროლონგაციით კიდევ 10 წლისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვარშავის ხელშეკრულება გაგრძელებულია იმ სახით, რა სახითაც თავდაპირველად დაიდო. აქ, უსათუოდ, გამოიხატა მისი მონაწილეების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მიზნების მემკვიდრეობა, მათი რწმენა ხელშეკრულების დიდი ეფექტიანობისადმი. „ეს ხელშეკრულება თითქოს მეორედ დაიბადა“ — აღნიშნავდა მ. ს. გორბაჩოვი სკკპ XXVII ყრილობაზე.

ეხებოდა რა სკკპ საერთაშორისო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას — ევროპის მიმართულებას, მ. ს. გორბაჩოვი პარტიის XXVII ყრილობაზე მიუთითებდა: „ევროპის ისტორიული შანსი, მისი მომავალი არის კონტინენტის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობა“.

ამ საქმეში კი დიდ როლს ასრულებს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. ახლაც ვარშავის ხელშეკრულების ნაყოფიერება თავს იჩენს იმით, რომ იგი ნატოს აგრესიულ, მილიტარისტულ კურსს უპირისპირებს როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში საერთაშორისო უშიშროების განვითარების სრულიად განსხვავებულ პერსპექტივას.

ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა 1986 წლის 10—11 ივნისს ბუდაპეშტში გამართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტები. მოკავშირე ქვეყნების უმაღლესმა ხელმძღვანელებმა კოლექტიურად გააანალიზეს შექმნილი საერთაშორისო ვითარება. ისინი მხარს უჭერენ განიარაღების პრობლემებისადმი კომპლექსურ მიდგომას, იმას, რომ მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაცია განმტკიცებული იყოს შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირებით. სწორედ ამას ითვალისწინებს თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტები, კერძოდ,

„ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიმართვა ნატოს წევრი სახელმწიფოებისადმი, ევროპის ყველა ქვეყნისადმი ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პროგრამითურთ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა (1986 წლის), რომელმაც, სხვა საკითხებთან ერთად, მოისმინა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1986 წლის 10—11 ივნისის ბუდაპეშტის თათბირის შედეგები“, დადებითად შეაფასა თათბირის შედეგები და აღნიშნა, რომ „ბუდაპეშტში მიღებული გადაწყვეტილებანი წარმოადგენს სოციალისტური ქვეყნების თვალსაჩინო წვლილს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში“.

1986 წლის 14—15 ოქტომბერს, ბუქარესტში, გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა. იმავე წლის 1-3 დეკემბერს კი — ვარშავაში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის სხდომა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რაოდენ საჭიროა სოციალისტურ სახელმწიფოთა თავდაცვითი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შემდგომი განმტკიცება. სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქტიურ თანამოქმედებას საერთაშორისო საქმეებში, უშიშროების უზრუნველსაყოფად, ბირთვული ომის საფრთხის აღსაკვეთად და საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად. შეთანხმებული საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია იყო, არის და რჩება მშვიდობისა და უშიშროების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

გიგა ბურდული

ევროპაში ნდობისა და უფიფროების განმტკიცებისათვის

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ცენტრალური ადგილი უკავია შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების პრობლემას; რომელიც განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების სახელმწიფოთა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების სერიოზული მსჯელობის საგანია. ეს პრობლემა განსაკუთრებით რელიეფურად გამოიკვეთება ევროპაში, სადაც ორი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების — ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის — შეიარაღებული ძალებისა და ყველაზე სრულყოფილი შეიარაღებების (მათ შორის ბირთვულის) კონცენტრაციამ სახიფათოდ მაღალ დონეს მიაღწია. ევროპის კონტინენტზე იარაღის დაგროვების პროცესის შეჩერება და თანდათანობითი უკუქცევა დიდ სიძნელეებს წააწყდა — საკმარისია გავიხსენოთ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღებების შემცირების შესახებ ვენაში წარმოებული მოლაპარაკება, რომელიც ათ წელზე მეტი ხანია უშედეგოდ გრძელდება. უფრო მეტიც, ამ ხნის განმავლობაში, შეერთებული შტატების აშკარა დაწოლით, ნატომ 1979 წელს მიიღო ე. წ. „ორმაგი გადაწყვეტილება“ და, გრაფიკის შესაბამისად, 1983 წელს შეუდგა „პერშინგ-2“-ისა და ფრთოსანი რაკეტების განლაგებას დასავლეთ ევროპაში.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ევროპის პრობლემებს თავის საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ეს კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით იქნა დადასტურებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII

ყრილობისადმი, სადაც ხაზი გაესვა კონტინენტზე მშვიდობიანი თანამშრომლობის აუცილებლობას და აღინიშნა, რომ „საჭიროა შევინარჩუნოთ უკვე დაგროვილი კაპიტალი და ვიაროთ წინ: დაძაბულობის შენელების თავდაპირველი ფაზიდან მყარი ფაზისაკენ, მომწიფებული დაძაბულობის შენელებისაკენ. შემდეგ კი ჰელსინკის პროცესის, ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების რადიკალური შემცირების ბაზაზე საიმედო უშიშროების შექმნისაკენ“ [1].

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირით (1975 წ.) დაწყებულ ჰელსინკის პროცესზე (ანუ სრულიად ევროპულ პროცესზე) ყურადღების გამახვილება კანონზომიერი მოვლენაა და ობიექტურ ფაქტორებზეა დაფუძნებული. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მრავალმხრივი შედეგიანი მოლაპარაკებების უდიდესი ნაწილი სწორედ ჰელსინკის პროცესის ფარგლებში გამართულ ფორუმებზე მოდის. მათ შორის კი განსაკუთრებული ადგილი, რასაკვირველია, უკავია ევროპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების კონფერენციას, რომლის პირველი ეტაპი სტოკჰოლმში გაიმართა.

სრულიად ევროპული თათბირის მონაწილეთა მადრიდის შეხვედრაზე (1980—1983 წწ.) შემუშავებული მანდატის თანახმად, სტოკჰოლმის კონფერენციის მიზანი იყო მიეღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც განავითარებდნენ, დააზუსტებდნენ და უფრო ქმედითს გახდიდნენ ჰელსინკის დასკვნითი აქტის შესაბამის დებულებებს ნდობის განმტკიცებისა და უშიშროების შესახებ, მნიშვნელოვნად შეამცირებდნენ ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის საფრთხეს. კონფერენციამ მუშაობა დაიწყო 1984 წლის 17 იანვარს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე და პირველივე სხდომებიდან გამოიკვეთა ორი მიდგომა განსახილველი პრობლემებისადმი. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის 18 იანვრის გამოსვლამ ცხადყო, რომ დასავლეთმა კონფრონტაციისაკენ აიღო გეზი და რომ კონფერენცია დიდი სირთულეების წინაშე დადგებოდა. ჯ. შულცის განცხადების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ თითქოს საბჭოთა კავშირს მიუძღვის

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1968, გვ. 107.

ბრალი ევროპის „გაყოფაში“ და აქედან გამომდინარე შედეგებში. ამ განცხადებას საგულისხმო კომენტარი გაუკეთა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ გამოცდილმა მიმომხილველმა ჯ. კრაფტმა. რომელმაც გაღიზიანება ვერ დაფარა: „საღი აზროვნებისა და რეალური სიტუაციის მიუხედავად, სახელმწიფო მდივანმა თავს ნება მისცა ეჭვი შეეტანა ევროპაში თანამედროვე საზღვრების „კანონიერებაში“. თუ ეს არის შემრიგებლური ჟესტი, მაშინ ჯ. დალესი[1] კომუნიზმის მომხრე იქნებოდა“.

ჯ. შულცის ეს გამოსვლა ნატოს ქვეყნების შეტევის დაწყების თავისებური ნიშანი გახდა. მართლაც, 1984 წლის 24 იანვარს თურქეთის წარმომადგენელმა, თექვსმეტი ქვეყნის დელეგაციათა სახელით, წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ბლოკის სახელმწიფოთა ერთობლივ წინადადებებს შეიცავდა. ნატოს დოკუმენტებში შევიდა ზედმიწევნით სპეციფიკური, სამხედრო-ტექნიკური მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც ძირითადად ითვალისწინებდნენ მონაცემების შეკრებას საბჭოთა შეიარაღებული ძალების სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ, ფაქტობრივად კი გულისხმობდნენ ჯაშუშობის „დაკანონებას“ და მნიშვნელოვან ცალმხრივ დათმობებს საბჭოთა კავშირის მხრიდან. როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, ვაშინგტონი ამით არ შემოიფარგლებოდა და თავისთვის განსაკუთრებულ პრივილეგიებს ითხოვდა. შეერთებული შტატები ცდილობდნენ მიეღოთ ნებართვა, ევროპის გავლით პლანეტის სხვადასხვა „ცხელ წერტილებში“ გადაესროლათ თავისი სწრაფი გაშლის ძალები და ამასთანავე არ გაეკეთებინათ შეტყობინება ამგვარი ოპერაციების შესახებ. ვაშინგტონის ეს პრეტენზია იმდენად უსაფუძვლო იყო, რომ ნატოს შტაბ-ბინაში არ მოხერხდა ისეთი ფორმულის გამონახვა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა აშშ-ის სამხედრო ძალების გადაადგილებას შესაბამისი ზომების გარეშე. საბოლოო ჯამში, დებულება ე. წ. „სატრანზიტო ძალებისათვის“ განსაკუთრებუ-

---

[1] ჯონ ფოსტერ დალესი — აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1953—1959 წლებში. ცნობილი იყო თავისი ანტიკომუნისტური განწყობილებით. იგი იყო „ძალის პოლიტიკისა“ და „ომის ზღვარზე ბალანსირების პოლიტიკის“ სულისჩამდგმელი და გამტარებელი.

ლი უფლებების მინიჭების შესახებ ამოღებულ იქნა ნატოს წინადადებებიდან.

კონფერენციის მსვლელობისას სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა საბჭოთა კავშირმა, რამაც კონკრეტული ასახვა პოვა საბჭოთა დელეგაციის მიერ 1984 წლის 8 მაისს განსახილველად შეტანილ დოკუმენტში „საბჭოთა კავშირის წინადადებები ნდობის განმტკიცებისა და უშიშროების ზომების შესახებ". ეს იყო გაწონასწორებული და მრავალმხრივი დოკუმენტი — იგი ითვალისწინებდა როგორც მსხვილმასშტაბიან პოლიტიკურ საკითხებს, ასევე სამხედრო მნიშვნელობის ზომებს, რომლებსაც უნდა გაეღრმავებინათ და კონკრეტული ხასიათი მიეცათ ჰელსინკის დასკვნითი აქტის შესაბამისი დებულებებისათვის. საბჭოთა დოკუმენტებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა წინადადება. დაედოთ ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობებში სამხედრო ძალის გამოუყენებლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების ძირითადი არსი და მიმზიდველობა იმაშია, რომ სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, არ გამოიყენონ ერთმანეთის წინააღმდეგ არც ბირთვული და არც ჩვეულებრივი შეიარაღება, ანუ საერთოდ უარი თქვან სამხედრო ძალის გამოყენებაზე ერთმანეთთან ურთიერთობებში. ამ წინადადების გაღრმავებისა და განვითარების მიზნით, საბჭოთა კავშირმა 1985 წლის 29 იანვარს კონფერენციას წარუდგინა სამუშაო დოკუმენტი: „სამხედრო ძალის ურთიერთგამოუყენებლობისა და მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნების ხელშეკრულების ძირითადი დებულებები".

როგორც მოსალოდნელი იყო, ნატოს ქვეყნებმა, უწინარეს ყოვლისა, შეერთებულმა შტატებმა, აშკარად გაილაშქრეს საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ. განსაკუთრებით მწვავე დისკუსიები გაიმართა იმ წინადადების ირგვლივ, რომელიც სამხედრო ძალის გამოუყენებლობას გულისხმობდა. შეერთებული შტატები და მათი მოკავშირეები თავის ოპოზიციას იმით ასაბუთებდნენ, რომ ეს პრინციპი უკვე დაფიქსირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში და მის გამეორებას თითქოს აზრი არა აქვს. აუცილებლობა მოითხოვს ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები სულაც არ გულისხმობდნენ აღნიშნული პრინციპის უბრალო დადასტურე-

ბას. მათ მხედველობაში ჰქონდათ მისი, დაკონკრეტება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების რეალობათა გათვალისწინებით, რომლებიც, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა მიღებული ყოფილიყო მხედველობაში იმ წლებში, როდესაც მუშავდებოდა გაერო-ს წესდება და როდესაც არ არსებობდნენ არც ნატო და არც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი იძლეოდა წინადადებას, ამ პრინციპისთვის ზუსტი ხელშეკრულებითი ფორმა მიეცათ, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება გაერო-ს წესდებას.

დროთა განმავლობაში შეერთებული შტატებისა და ნატოს მიდგომა სამხედრო ძალის გამოუყენებლობის პრინციპისადმი რამდენადმე შეიცვალა. თავდაპირველად პრეზიდენტმა რ. რეიგანმა, ირლანდიის პარლამენტში გამოსვლისას, 1984 წლის 4 ივნისს, გამოთქვა მზადყოფნა განეხილა ეს პრინციპი, თუ საბჭოთა კავშირი გარკვეულ დათმობებზე წავიდოდა. მაგრამ, როგორც მოვლენების განვითარებამ ცხადყო, დასავლეთის ეს მოქნილობა მოჩვენებითი გამოდგა. სინამდვილეში აშშ და ნატო მოითხოვდნენ პრინციპის დადასტურებას პოლიტიკური დეკლარაციის (ე. ი. რაშიც მანამდე ბრალს სდებდნენ საბჭოთა კავშირს), და არა კონკრეტული ხელშეკრულების სახით. გარდა ამისა, დასავლეთის მხრიდან იყო მცდელობა გამოეხატა ეს პრინციპი სამხედრო-ტექნიკური ზომების მიღების გზით და არ განემტკიცებინა იგი იურიდიულად. ასეთი პოზიციის არსი შემდგომში მდგომარეობდა: საბჭოთა კავშირს უნდა მიეღო ნატოს ზომების „პაკეტი“ და თითქოს ეს იქნებოდა ძალის გამოუყენებლობის პრინციპის პრაქტიკული გამოხატულება.

დასავლეთი საერთოდ არ ჩქარობდა ნდობის განმტკიცებისა და უშიშროების პრობლემების სერიოზულ განხილვას — ამერიკული დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯ. გუდბიმ ჯერ კიდევ კონფერენციის პირველ სესიაზე განაცხადა, რომ მისი აზრით, „შეთანხმების კონტურები ალბათ უნდა გამოიკვეთოს 1986 წლის ნოემბრისათვის, როდესაც ვენაში ჰელსინკის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მორიგი შეხვედრა დაიწყება“. ამას მოჰყვა ჯ. გუდბის ყოვლად გაუმართლებელი ცდა. კონფერენციის დღის წესრიგი ადამიანის უფლებების პრობლემისათვის დაეკავშირებინა. შემდეგ ევროპაში იმოგზაურა ამერიკის კონგრესის ევროპაში უშიშროე-

ბისა და თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარემ დ. ფესელმა, რომელიც ასევე შეეცადა კონფერენციის მონაწილეებისათვის თავს მოეხვია სოციალისტურ ქვეყნებში „ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემა". ამგვარმა ნაბიჯებმა თვით ვაშინგტონის მოკავშირეთა უკმაყოფილებაც კი გამოიწვია.

კონფერენციაზე პროგრესის უქონლობის პირობებში საბჭოთა კავშირი შეეცადა პროცედურული საკითხების მეშვეობით ადგილიდან დაეძრა საქმე და 1984 წლის ივლისში შეიტანა წინადადება, კონფერენციის მუშაობა ორ სამუშაო ჯგუფში წარემართათ, რომელთაგან ერთი პოლიტიკურ საკითხებს განიხილავდა, ხოლო მეორე — სამხედრო-ტექნიკურს. აშშ და ნატო არც ამ წინადადებას დაეთანხმნენ, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც პროცედურულ საკითხებზე თავისი თვალსაზრისი გამოთქვეს ნეიტრალურმა და მიუმხრობელმა ქვეყნებმა, დასავლეთმა ვეღარ შეძლო მისი უგულებელყოფა. კონფერენციის სამუშაო სტრუქტურას საფუძვლად დაედო ფინეთის მიერ შემოთავაზებული პროექტი, რომელსაც 1984 წლის 3 დეკემბერს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც დაუჭირეს მხარი. ამ პროექტის თანახმად, კონფერენცია ორ სამუშაო ჯგუფში განაგრძობდა საბოლოო დოკუმენტის შემუშავებას. ჯგუფი „A" განიხილავდა იმ წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ ჰელსინკის დასკვნითი აქტის განვითარებას და არ შედიოდნენ მის შემადგენლობაში. ამ ჯგუფში შემუშავდებოდა პოლიტიკური ხასიათის წინადადებები, აგრეთვე ინფორმაციის და კავშირის საკითხები. შეზღუდვითი ხასიათის ზომები, რომლებიც სახელმწიფოთა სამხედრო მოღვაწეობას ეხება. ჯგუფი „B" განიხილავდა იმ ზომებს, რომლებიც თავის დროზე ჰელსინკის დასკვნით აქტში შევიდა, კერძოდ, სამხედრო მოღვაწეობის შესახებ შეტყობინებასა და სამხედრო სწავლებებზე მეთვალყურეთა მოწვევას. ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების ინიციატივით შემოიღეს სამუშაო ჯგუფებში კოორდინატორთა ფუნქცია. ამ როლს მორიგეობით ასრულებდნენ შვეიცის, ავსტრიის, ფინეთისა და შვეიცარიის (ორი კაცი) წარმომადგენლები. ამრიგად, თითქმის ერთი წელი დასჭირდა კონფერენციის პროცედურული საკითხების გადაწყვეტას და ისინი

საბოლოოდ გადაიჭრა მე-4 სესიაზე, რომელიც 1984 წლის 6 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე გრძელდებოდა.

მომდევნო ოთხი სესია, რომელიც 1985 წლის განმავლობაში გაიმართა, ფაქტობრივად კონფერენციის დღის წესრიგისა და განსახილველი საკითხების განსაზღვრას მოუნდა. ამ შემთხვევაში კვლავ მეტად აქტიური და კონსტრუქციული როლი შეასრულა ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფმა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მადრიდის შეხვედრიდან დაწყებული ეს ჯგუფი თავისებური შუამავლის როლში გამოდის სრულიად ევროპული პროცესის ფარგლებში გამართულ ფორუმებზე, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოზიციების დაახლოებას, კომპრომისული გადაწყვეტილებების გამონახვას. ასე მოხდა სტოკჰოლმშიც, როდესაც 1985 წლის 14 ოქტომბერს ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების მიერ წარმოდგენილი პროექტი მოიწონეს კონფერენციის მონაწილეებმა და საბოლოოდ განსაზღვრეს ხუთი ძირითადი განსახილველი საკითხი: სამხედრო ძალის გამოუყენებლობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში; გარკვეული სამხედრო მოღვაწეობის მასშტაბების განსაზღვრა; შეტყობინება მსხვილი სამხედრო სწავლების შესახებ; სამხედრო მოღვაწეობის წლიური გეგმების წინასწარი გაცვლა სახელმწიფოებს შორის; მეთვალყურეთა მოწვევა სამხედრო სწავლებებზე.

კონფერენციის დღის წესრიგის შეთანხმების მიუხედავად, არ წყდებოდა დავა სამხედრო ძალის გამოუყენებლობის პრინციპის ირგვლივ. ამას აქვს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ჯერ ერთი, აშშ-ს და ნატოს არ სურდათ ამ პრინციპის საბოლოო დოკუმენტში ხელშეკრულების ფორმით დაფიქსირება, ვინაიდან პირველი ბირთვული დარტყმის განხორციელება უკვე დიდი ხანია ნატოს სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია. გარდა ამისა, ნატოს ქვეყნების წარმომადგენლები განაგრძობდნენ იმ აზრის განვითარებას, რომ თითქოს დასაწყისში აუცილებელია ნდობის განმტკიცების ზომების მიღება სამხედრო სფეროში, შემდეგ ამ ზომების ფორმებისა და საშუალებების განსაზღვრა და ბოლოს სამხედრო ძალის გამოუყენებლობის პრინციპის დადასტურება. საკითხის ასე დაყენებას არ შეეძლო წარმატების მოტანა, ვინაიდან ეს ნიშნავდა 1985 წლის 14 ოქტომბრის შეთანხმებებზე უარის თქმას და ფაქ-

ტობრივად კონფერენციის დისკუსიების საწყისი წერტილისაკენ დაბრუნებას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ვარშავის ხელშეკრულებისა და ნატოს სახელმწიფოებს შორის უთანხმოებების ობიექტად იქცა, ეხებოდა ჯარების სახეობებს, კერძოდ კი შეტყობინებას მათი სწავლების შესახებ. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები თვლიდნენ, რომ შეტყობინებას უნდა დაქვემდებარებოდნენ არა მარტო სახმელეთო ჯარები, არამედ სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებიც, აგრეთვე ჯარების გადაადგილებაც (გადასროლა). ასეთ შეხედულებას იზიარებდა კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობა. მეათე სესიაზე (1986 წლის აპრილი-მაისი) კონფერენციის დელეგატები შეუდგნენ კიდეც ამ პრობლემის კონკრეტულ განხილვას, მაგრამ შეერთებული შტატების დესტრუქციულმა პოზიციამ კვლავ დაამუხრუჭა ფორუმის მუშაობა — ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ლ. ჰანსენმა განაცხადა, რომ საქმე უნდა ეხებოდეს მხოლოდ სახმელეთო ჯარებს და რომ არა აქვს აზრი დისკუსიაში სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების ელემენტების შეტანას, რომელთა განხილვასაც თითქოს არ ითვალისწინებდა კონფერენციის მანდატი.

შექმნილ ვითარებაში მოქნილობა და კეთილი ნება გამოავლინა საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაში ჩამოყალიბებულ დებულებათა შესაბამისად მოქმედებდა. საბჭოთა ხელმძღვანელის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა ნდობის განმტკიცების იმ ზომების შესახებ, რომლებიც სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედებას მოიცავს, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალების საკითხის განხილვა შეიძლება გადატანილ იქნას უფრო გვიანდელ სტადიაზე. სწორედ ასეთი მიდგომა დაედო საფუძვლად კონფერენციაზე მიღწეულ კომპრომისს, რომელმაც გზა გაუკვალა სტოკჰოლმში საბოლოო დოკუმენტის მიღებას — სამხედრო-საზღვაო ძალების პრობლემა კონფერენციის მეორე ეტაპზე (რომელიც ვენის შეხვედრის დამთავრების შემდეგ გაიმართება) გადაიტანეს. საბჭოთა კავშირის პოზიციამ მეტად კეთილ-

ისმყოფელი გავლენა იქონია კონფერენციის მსვლელობაზე — ამერიკელთა დელეგაციის ხელმძღვანელი რ. ბარიც კი (მან ჯ. გუდ-ბი შეცვალა ამ პოსტზე) იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მი-სი აზრით, „გორბაჩოვის ზოგიერთმა იდეამ გავლენა იქონია სტოკ-ჰოლმის კონფერენციაზე“.

სტოკჰოლმში მოვლენების განვითარებას კიდევ ერთი ბიძგი მისცა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მი-მართვამ ნატოს წევრი სახელმწიფოებისადმი, ევროპის ყველა ქვე-ყნისადმი ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პროგრამითურთ, რომელიც ბუდაპეშტ-ში იქნა მიღებული 1986 წლის 11 ივნისს. მიმართვაში დასახუ-ლი იყო მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის სამხედრო წვრთნის მოწყობის შეზღუდვა, „ევროპაში წვრთნის პერიოდისა-თვის სხვა რაიონებიდან მოზიდული ძალებისა და საშუალებების რიცხვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის გაცვლა, აგრე-თვე სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ ურთიერთ-ნდობის განმტკიცებას“ [1].

კონფერენციის მანდატის თანახმად, მას მუშაობა უნდა დაეს-რულებინა ვენის შეხვედრის დაწყებამდე. აქედან გამომდინარე, დადგინდა კონკრეტული თარიღიც — 1986 წლის 19 სექტემბერი. ამ დროისათვის კონფერენციაზე დაისახა მხარეთა პოზიციების მნიშვნელოვანი დაახლოება, მაგრამ კიდევ რჩებოდა გადაუწყვე-ტელი პრობლემები. საქმე ეხება შეთანხმებათა შესრულების შე-მოწმებას, კერძოდ კი ადგილებზე ინსპექციას. თავდაპირველად შეერთებულმა შტატებმა შეიტანეს წინადადება ყოველწლიურად განეხორციელებინათ 68 (?!) ინსპექცია სამხედრო სწავლების დროს ყოველი ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს ციფრი იმდე-ნად არარეალური იყო, რომ წინადადებამ ვერავითარი მხარდაჭე-რა ვერ პოვა. გარდა ამისა, ვაშინგტონს სურდა მიეღწია ისეთი შეთანხმებისათვის, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები გადას-ცემდნენ ერთმანეთს დაწვრილებით ინფორმაციას თავიანთი შტაბ-ბინების განლაგების, სამხედრო ქვედანაყოფებისა და სამხედრო ხელმძღვანელობის სტრუქტურის შესახებ. ამასთანავე შეერთებუ-

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1986 წლის 13 ივნისი.

ლი შტატები შეთანხმების ფარგლებს გარეთ რჩებოდა. ცხადია, რომ საბჭოთა კავშირი. სხვა სოციალისტური ქვეყნები ვერ დაუშვებდნენ ასეთი გადაწყვეტილებების მიღებას და. ვაშინგტონი საბოლოო ჯამში იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის მოთხოვნებზე, თუმცა უკვე კონფერენციის დამთავრების შემდეგ ამერიკელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა რ. ბარიმ სინანული გამოთქვა ამის გამო.

ყველა საერთაშორისო შეთანხმება თუ ხელშეკრულება. როგორც წესი, გონიერი კომპრომისის შედეგია. ამ მხრივ არც სტოკჰოლმის კონფერენცია წარმოადგენს გამონაკლისს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1986 წლის 23 სექტემბერს პრესკონფერენციაზე გამოსვლისას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ფ. პეტროვსკიმ, კონფერენციაზე სოციალისტური ქვეყნების განსაკუთრებული როლის შეფასებისას, აღნიშნა, რომ „წარმატება სტოკჰოლმში წარმოუდგენელი იქნებოდა ყველა მონაწილის, მათ შორის ნატოს ქვეყნების შესაბამისი ძალისხმევის გარეშე". მართალია, ვერ მოხერხდა კონფერენციის დასრულება 19 სექტემბერს — ამ დღეს საათები გააჩერეს და დოკუმენტს მხოლოდ 22 სექტემბერს მოაწერეს ხელი, მაგრამ მიღწეულ იქნა დიდი მნიშვნელობის შეთანხმებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას ევროპაში.

პრაქტიკული თვალსაზრისით, სტოკჰოლმის დოკუმენტი პოლიტიკური და სამხედრო ღონისძიებების დეტალურად დამუშავებული კომპლექსია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის საფრთხეს. ჯერ ერთი, სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება 42 დღით ადრე შეატყობინონ ერთმანეთს სახმელეთო ჯარებისა და მათთან დაკავშირებული სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების სწავლების შესახებ. როდესაც მათი რიცხობრიობა აღემატება 13 ათასს კაცს და 300 ტანკს. ავიაციისათვის დადგენილია სპეციალური ქვედონე — 200 თვითმფრინავ-გაფრენა, რის შემდეგაც აუცილებელია ინფორმაციის მიწოდება. სპეციალისტების გაანგარიშებით. ეს მოიცავს ევროპაში სამხედრო-საჰაერო მოქმედების 90 პროცენტს.

წინასწარი შეტყობინება სახელმწიფოებს მიეწოდება არა მხოლოდ სამხედრო სწავლების, არამედ ჯარების გადაადგილების, გა-

დასროლის და თავმოყრის შესახებაც. ეს კი ნიშნავს, რომ აშშ-მა უნდა განახორციელოს შეტყობინება თავისი ჯარების ევროპაში გადასროლის დროს, როდესაც მათი რიცხობრიობა აღნიშნულ პარამეტრს აღემატება. სახელმწიფოები მოახდენენ თავისი სამხედრო მოღვაწეობის ყოველწლიური გეგმების გაცვლას იმ შემთხვევაში, თუ ეს მოღვაწეობა წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება. მთელი სამხედრო მოღვაწეობა, იქნება ეს ჯარების წრთვნა, გადაადგილება თუ გადასროლა, დაწყებული 17 ათასი კაცით, მოითხოვს მეთვალყურეების მოწვევას. ამავე დროს ეს ზომა აუცილებელ ხასიათს ატარებს. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ჰელსინკის დასკვნითი აქტის მიხედვით, შეტყობინებას და მეთვალყურეების მოწვევას ექვემდებარებოდა 25 ათას კაცზე მეტი მასშტაბის სწავლებანი და ეს ზომა ნებაყოფლობითი ხასიათისა იყო.

საბჭოთა კავშირს ხშირად სდებდნენ ბრალს იმაში, რომ იგი თითქოს შეთანხმებათა შესრულების შემოწმების რეალური ზომების წინააღმდეგ გამოდის. სტოკჰოლმის დოკუმენტმა საფუძველი გამოაცალა ამ მცდარ შეხედულებას. შეთანხმების მიხედვით, ყოველი ქვეყანა, რომელიც ნდობის განმტკიცების ზონაში (ე. ი. ატლანტიკიდან — ურალამდე) არის განლაგებული, თავის ტერიტორიაზე ყოველწლიურად დაუშვებს სამ ინსპექციას. ამავე დროს გათვალისწინებულია სახელმწიფოთა უსაფრთხოების კანონიერი ინტერესები — ინსპექცია არ ჩატარდება დახურულ რაიონებში, სამხედრო და თავდაცვით ობიექტებზე. ეს არის ისტორიაში პირველი შეთანხმება სამხედრო საკითხებზე, რომელიც ადგილზე ინსპექციას ითვალისწინებს.

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანია შეთანხმება ყველა სახის ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ყველაზე სახიფათო ფორმასაც — სამხედრო ძალის გამოყენებას. ამრიგად, გადაიდგა სერიოზული ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ ეს ვალდებულება საერთაშორისო ცხოვრების ნამდვილ კანონად იქცეს.

სტოკჰოლმის კონფერენციაზე ვერ მოხერხდა ყველა იმ საკითხის შეთანხმება, რომლებიც ევროპაში ნდობისა და უშიშროების მყარი საფუძვლების გარანტიას შექმნიდა. მაგრამ საბჭოთა კავშირის აქტიურმა მცდელობამ, შეერთებული შტატების ადმინისტრა-

ციის მიერ გამოჩენილმა პოლიტიკურმა რეალიზმმა კონფერენციის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო: 1987 წლის 8 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა ვაშინგტონში ხელი მოაწერეს საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმებას. ამგვარად. დასაბამი მიეცა ბირთვული განიარაღების პროცესს, ევროპა განთავისუფლდა მეტად სახიფათო ტვირთისაგან და შეიქმნა ნაყოფიერი ნიადაგი იმისათვის, რომ სტოკჰოლმის კონფერენციის მეორე ეტაპზე გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები ევროპული კონტინენტის ჩვეულებრივი და სხვა ბირთვული იარაღისაგან განტვირთვის მიმართულებით.

კონსტანტინე ულენტი

იორდანია-პალესტინელთა ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე და მათი როლი არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში

იორდანიის მეფის ჰუსეინის 1986 წლის 20 თებერვლის გამოსვლით, რომელშიც „თავად იგი და იორდანიის მთავრობა აცხადებდნენ, რომ შეუძლებელია შემდგომი პოლიტიკური თანამშრომლობა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის (პგო) ხელმძღვანელობასთან“, დასრულდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ე. წ. პალესტინის პრობლემის ისტორიაში, რომელიც საყოველთაო აღიარებით არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის ძირითად პრობლემას წარმოადგენს.

რადგან არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის სამართლიანი და ყოვლისმომცველი მოწესრიგების გარეშე შეუძლებელია ახლო აღმოსავლეთში წლების განმავლობაში შექმნილი მეტად დაძაბული მდგომარეობის სრული მოწესრიგება, საინტერესოა იმ მოვლენების უფრო ღრმად განხილვა, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ეტაპის დაწყება და ფაქტიურად მისი უშედეგოდ დასრულება.

ჯერ კიდევ 1983 წლის მაისის ნომერში გავლენიანი ფრანგული ჟურნალის „მონდ დიპლომატიკის“ მიმომხილველი ე. ქარი აღნიშნავდა, რომ „მას შემდეგ, რაც 1982 წლის 20 სექტემბერს, იორდანიის მეფე ჰუსეინმა წინადადებით მიმართა პგო-ს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს იასირ არაფატს დაეწყოთ დიალოგი იორდანია-პალესტინის მომავალი კონფედერაციის თაობაზე, არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის სიმძიმის ცენტრმა კაიროდან (ეგვიპტის დედაქალაქიდან) ამანში (იორდანიის დედაქალაქში) გადაინაცვლა“. ეს გადანაცვლება განაპირობა ძირითადად გახმაურებულმა „რეიგანის გეგმამ“ ახლო აღმოსავლეთში მდგომა-

რეობის მოწესრიგების თაობაზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის 70-იანი წლების პოლიტიკის ერთგვარი გაგრძელებაა. 70-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის დიპლომატიაში ძირითადი იყო ე. წ. „მაქოსებრი დიპლომატიისა" და „ნაბიჯ-ნაბიჯ მოწესრიგების" მეთოდები. პირველი მათგანის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ვაშინგტონის აზრით, უპირატესობას აძლევდა მას არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში მონაწილე მხარეთა რეალური პოზიციის „თავისუფალი ინტერპრეტაციის" საშუალებით. აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი მოგზაურობდა ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის და ეკონომიკური დაპირებებით, ზოგჯერ შენიღბული, ზოგჯერ კი აშკარა მუქარით ცდილობდა ამ სახელმწიფოთა მეთაურებისაგან აშშ-ის ინტერესებისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებების მიღებას. ამგვარი პოლიტიკით აშშ ცდილობდა არა მარტო აქტიური როლი შეესრულებინა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში, არამედ წამყვანი პოზიციაც დაეკავებინა, რაც საშუალებას მისცემდა მას პრაქტიკულად გამოეთიშა მოლაპარაკების პროცესიდან საერთაშორისო ორგანოები, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირი.

რაც შეეხება „ნაბიჯ-ნაბიჯ მოწესრიგების" დიპლომატიას, მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტიურად მიიჩქმალოს ახლო აღმოსავლეთში ყოვლისმომცველი და სამართლიანი მოწესრიგების პოლიტიკა და შეიცვალოს ის ისრაელსა და ცალკეულ არაბულ სახელმწიფოებს შორის სეპარატული შეთანხმებების პოლიტიკით.

1978 წლის სექტემბერში, აშშ-ის პრეზიდენტების საზაფხულო რეზიდენციაში, კემპ-დევიდში გამართული შეხვედრის შედეგად (აშშ-ის, ისრაელისა და ეგვიპტის პრეზიდენტების მონაწილეობით), ხელმოწერილ იქნა რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც საფუძვლად დაედო ე. წ. კემპ-დევიდის შეთანხმებას. ამ შეთანხმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გადაუჭრელი დარჩა ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის მოწესრიგების ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ისრაელის მიერ ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიის განთავისუფლება, პალესტინელი არაბი ხალხის კანონიერი ინტერესების გათვალისწინება საკუთარი დამოუკიდებ-

ლი სახელმწიფოს შექმნის უფლებით. რეგიონის ყველა ქვეყნის საიმედო უსაფრთხოების გარანტირება. ასე რომ, კემპ-დევიდის შეთანხმება, რეალურად აშშ-ის „პატრონაჟით", ეგვიპტე-ისრაელის სეპარატულ შეთანხმებად იქცა და იგი დაგმო ფაქტობრივად ყველამ (მონაწილეების გამოკლებით), ვისაც პირდაპირ ეხებოდა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი.

მიუხედავად ამისა, აშშ-ის ადმინისტრაციამ კემპ-დევიდი თავის უმნიშვნელოვანეს საგარეო-პოლიტიკურ მიღწევად ჩათვალა, რადგან ეგვიპტის მაშინდელი პრეზიდენტის ა. სადათის პოლიტიკის მეშვეობით, საფუძველი ჩაუყარა პროცესს, რომლის განმავლობაშიც არა მარტო გამოთიშეს ეგვიპტე ისრაელთან კონფრონტაციისაგან, და იგი რეგიონში აშშ-ის პოლიტიკის ერთ-ერთ დასაყრდენად აქციეს, არამედ მნიშვნელოვნად დაასუსტეს არაბული სახელმწიფოების ანტიისრაელური ფრონტი. 70-იანი წლების მეორე ნახევარში, განსაკუთრებით თეთრ სახლში რეიგანის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, აშშ-ის პოლიტიკაში ახლო აღმოსავლეთში წამყვანი ადგილი დაიკავა სამხედრო ძალის გამოყენების პოლიტიკამ. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ აშშ-მა უარი თქვა, რეგიონში თავისი პოლიტიკის გატარების მიზნით, სხვადასხვა ქვეყნებზე გავლენის გაძლიერების დიპლომატიურ მეთოდებზე. უფრო მართებული იქნება აღვნიშნოთ, რომ ადგილი აქვს ამ ორი პოლიტიკის ერთგვარი შეხამების ცდებს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ამერიკა-ისრაელის პოლიტიკა 80-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე.

როდესაც 1982 წლის ზაფხულში აშშ-მა ფაქტიურად გზა გაუხსნა ისრაელის აგრესიას ლიბანის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ აგრესიაში, ნათელი გახდა, რომ აშშ-მა და ისრაელმა რეგიონში თავიანთი პოლიტიკის ახალი ეტაპი დაიწყეს. ამ აგრესიის მეშვეობით აშშ-სა და ისრაელს სურდათ, ერთი მხრივ, ლიბანიდან პალესტინელთა გაძევება და პგო-ს სამხედრო და პოლიტიკური ინფრასტრუქტურის ჭუსპობა, რადგან ამ გზით, ვაშინგტონის აზრით, თავისთავად მოიხსნებოდა პგო-ს პოლიტიკური ცნობისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების საკითხში მისთვის დამოუკიდებელი როლის მინიჭების აუცილებლობა, მეორე მხრივ, აშშ და ისრაელი იმედოვნებდ-

ნენ ლიბანში ეროვნულ-პატრიოტული ძალების მოსპობას, რაც გამოიწვევდა ქვეყანაში ისეთი რეჟიმის შექმნას, რომელიც მზად იქნებოდა ისრაელთან სეპარატული შეთანხმების დასადებად აშშ-ისრაელის პირობებზე და ამით კიდევ უფრო გააფართოვებდა კემპ-დევიდის პროცესს. ამ პროცესთან ლიბანის დაკავშირებას, ვაშინგტონისა და ტელ-ავივის მმართველი წრეების აზრით, უნდა გამოეწვია ერთგვარი „ჯაჭვური რეაქცია". რომელიც რეგიონის სხვა არაბულ ქვეყნებზე გავრცელდებოდა და ხელს შეუწყობდა ამერიკა-ისრაელის ჰეგემონისტური მიზნების განხორციელებას რეგიონში.

სამხედრო ძალის გამოყენებით ვერც ერთი, ვერც მეორე ზემოთ აღნიშნული მიზნის განხორციელება ვერ მოხერხდა და სწორედ ამ დროს გამოჩნდა ე. წ. „რეიგანის გეგმა", რომელიც მან 1982 წლის 1 სექტემბერს აშშ-ის ტელევიზიით გამოსვლისას ჩამოაყალიბა. შემდგომი სამი წლის განმავლობაში, ე. ი. 1985 წლის ჩათვლით, ვაშინგტონი და ისრაელი ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ გეგმის ცხოვრებაში გატარების მიღწევას, თუმცა მის ძირითად ელემენტებს მცირედი შესწორებებით, ამჟამადაც რეგიონში თავიანთი პოლიტიკის საფუძვლად აცხადებენ.

რეიგანის გეგმა ახლო აღმოსავლეთის ძირითად პრობლემად კვლავ უბადაღებულ „საბჭოთა საფრთხეს" აცხადებდა და ხაზს უსვამდა, რომ „კემპ-დევიდის შეთანხმება ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პოლიტიკის საფუძვლად რჩება. გარდა ამისა გეგმა თითქოსდა შეიცავდა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის ძირითადი, პალესტინის საკითხის მოწესრიგების პროექტს. იგი აყენებდა საკითხს პალესტინელთა „ავტონომიის" თაობაზე და აღიარებდა, რომ „პალესტინის პრობლემა ხალხის პრობლემაა და არა ლტოლვილების". გეგმის პირველი ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში მდინარე იორდანიის დასავლეთ ნაპირის და ღაზას სექტორის პალესტინელები მიიღებდნენ „თვითმმართველობას საკუთარი საქმეების წარმოებაში, ხოლო შემდგომი პერიოდის განმავლობაში განხორციელდებოდა ამ ტერიტორიის „ასოციაცია იორდანიასთან". სინამდვილეში ამ გეგმის უახლოესი მიზანი იყო არაბულ სამყაროში ლიბანის წინააღმდეგ ამერიკა-ისრაელის აგრესიის გამო შექმნილი ანტიამერიკული განწყობილების დაშოშმინება. გათვა-

ლისწინებული იყო ის გარემოება, რომ აშშ-თან დაკავშირებული კონსერვატიული არაბული რეჟიმებისათვის, რომელთაც ფაქტიურად არაფერი გაუკეთებიათ ლიბანის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის თავიდან აცილებისა და შეწყვეტისათვის, საჭირო იყო საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს აშშ დაინტერესებული იყო არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგებით. თეთრი სახლის ანგარიშით, რეიგანის გეგმას არაბული სახელმწიფოებისათვის ისიც უნდა ეჩვენებინა, თითქოს აშშ კონფლიქტში მონაწილეთა შორის „მიუკერძოებელ შუამავლად" გამოდიოდა. გეგმის გამოცხადების წინ აშშ-მა იცოდა, რომ მზადდებოდა არაბული სახელმწიფოების ხელმძღვანელების თათბირი მაროკოს ქალაქ ფესში, და რეიგანის გეგმის კიდევ ერთი მიზანი იყო ზეგავლენა მოეხდინა ამ თათბირის მუშაობასა და მასზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ გეგმის მეშვეობით მეორე, უფრო შორი პერსპექტივის მქონე მიზნის მიღწევას. გეგმა მიმართული იყო ყურადღების გადატანისაკენ პალესტინელთა მწვავე პრობლემიდან. მათი, კონსერვატიული არაბული რეჟიმებისადმი დაქვემდებარების გზით. ვაშინგტონი უარს აცხადებდა პალესტინელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე, ამავე დროს მხარს უჭერდა იორდანია-პალესტინელთა „ასოციაციის" იდეას, რომლის მიზანი იყო ჩამოერთვა პგო-თვის პალესტინელი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენლის უფლება და ისრაელთან მოლაპარაკებისა და პალესტინელთა წარმოდგენის ფუნქცია იორდანიისათვის დაეკისრებინა.

კემპ-დევიდის პროცესის გაფართოების შემდგომ ობიექტად ვაშინგტონმა და ტელ-ავივმა შემთხვევით როდი აირჩია იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო. მათ მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ იორდანიის დასავლეთ ნაპირის და ღაზას სექტორის ანექსია ისრაელის მხრიდან ზრდის პალესტინელი ლტოლვილების რიცხვს, რომლებიც სტოვებენ აღნიშნულ ტერიტორიებს და იორდანიაში გარბიან. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ თვით იორდანიაში პალესტინელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს, ნათელი გახდება, რომ ამერიკა-ისრაელის იმედები ემყარება იორდანიის მეფე ჰუსეინის შიშს პალესტინელთა მოზლ-

ვავების წინაშე. მრავალი სპეციალისტის აზრით, ჰუსეინი შიშობს, რომ პალესტინელთა მოზღვავება ღაარღვევს იორდანიაში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ წონასწორობას. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ ეს შიში გამოიყენეს იმპერიალიზმის და არაბული რეაქციის ძალებმა, როდესაც 1970 წელს შესძლეს გაემწვავებინათ ურთიერთობა იორდანიის მმართველ წრეებსა და პალესტინელებს შორის, რამაც შეიარაღებული შეტაკებების სახეც კი მიიღო.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ისრაელის სიონისტი ლიდერები აცხადებენ, რომ უკვე არსებობს პალესტინელთა სახელმწიფო და ეს სახელმწიფო სწორედ იორდანიაა. მაგალითად, 1982 წლის დასაწყისში ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ოდედ ინონი მსოფლიოს სიონისტური ორგანიზაციის ჟურნალ „კინუვიმში" გამოქვეყნებულ სტატიაში „ისრაელის სტრატეგია 80-იან წლებში", პირდაპირ წერდა, რომ „იორდანია ისრაელის უახლოესი სტრატეგიული მიზანია. ისრაელის როგორც სამხედრო, ასევე დიპლომატიური ტაქტიკა მიზნად უნდა ისახავდეს იორდანიის რეჟიმის ლიკვიდაციას და ძალაუფლების პალესტინელთა უმრავლესობისათვის გადაცემას". ინონის აზრით, რეჟიმის ამგვარი შეცვლა იორდანიაში გადაჭრის დასავლეთ ნაპირისა და ღაზას ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემას, რადგან არაბული მოსახლეობა დეპორტირებული იქნება ამ ტერიტორიებიდან და ისრაელმა რაც შეიძლება უნდა დააჩქაროს ეს პროცესი. დასასრულ ინონი აღნიშნავდა, რომ ამგვარი ცვლილების შედეგად „ქვეყანა (ანუ იორდანია) თავისთავად დაიშლება და აღარ იქნება საშიში ისრაელის მომავლისათვის".

აღნიშნულმა ფაქტორებმა და აშშ-ის მხრიდან გაძლიერებულმა ზემოქმედებამ აიძულეს იორდანიის მონარქი 1982 წლის 20 სექტემბერს, ე. ი. რეიგანის გეგმის გამოცხადებიდან მხოლოდ 20 დღის შემდეგ, წინადადებით მიემართა იასირ არაფატისათვის დაეწყოთ დიალოგი იორდანია-პალესტინის კონფედერაციის შექმნის თაობაზე. იორდანიის მონარქმა პალესტინელთა ხელმძღვანელობა ერთგვარი არჩევანის წინაშე დააყენა: ან პგო განაგრძობს პოლი-

ტიკას, რომლის მიხედვითაც საბოლოო და ძირითადი მიზანი პალესტინელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიღწევაა (ამ შემთხვევაში იორდანია მხოლოდ ფორმალურად დაუჭერს მათ მხარს). ან უპირატესობას მიანიჭებს ერთგვარ „შეზღუდულ დამოუკიდებლობას" იორდანიის დასავლეთ ნაპირსა და ღაზას ტერიტორიებზე და იორდანიასთან ერთად ჩაებმება ისრაელთან მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესში.

პალესტინელებისათვის ასეთი ერთგვარად ულტიმატური წინადადების წაყენების მომენტიც შემთხვევით არ იყო შერჩეული. მართალია, ლიბანში, ისრაელისა და აშშ-ის აგრესიის შედეგად, ვერ მიაღწიეს ძირითად მიზანს — პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ბირთვის სრულ სამხედრო და პოლიტიკურ განადგურებას, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლიბანიდან წასვლის შემდეგ, პალესტინელთა მოძრაობაში გამწვავდა წინააღმდეგობები, რომლებიც გარკვეულწილად ადრეც არსებობდა. ეს წინააღმდეგობები გამწვავდა არა მარტო პგო-ს, არამედ მისი წამყვანი ორგანიზაციის ფათჰ-ის („მოძრაობა პალესტინის განთავისუფლებისათვის") შიგნითაც. ამ წინააღმდეგობებს საფუძვლად დაედო როგორც თვით პალესტინელთა მოძრაობა, ასევე არაბულ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები. პგო-ში შექმნილ კრიზისზე გავლენა იქონია იმ გარემოებამაც, რომ ლიბანიდან წასვლის შემდეგ პალესტინელებმა დაკარგეს თავიანთი „მინი-სახელმწიფოებრივი სტრუქტურები": ფინანსთა, განათლების, ჯანმრთელობის და სხვა „სამინისტროები", ინფორმაციისა და პრობლემათა კვლევის ცენტრები. შეირყა მათი სამხედრო შესაძლებლობებიც, რადგან წინააღმდეგობის მოძრაობაში შემავალი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოები და თვით პალესტინელთა ძალები დაქსაქსული აღმოჩნდნენ სხვადასხვა არაბულ სახელმწიფოებში. პგო მოწყვეტილი აღმოჩნდა პალესტინელთა ძირითადი მასებისაგან.

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობასა და თვით პგო-ში მუდამ არსებობდნენ ძალები, რომლებიც გამორიცხავდნენ პალესტინელთა საქმისათვის ბრძოლის პოლიტიკურ და დიპლომატიურ მეთოდებს. მაგრამ ამგვარი მეთოდების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის არსებული წინააღმდეგობანი პალესტინელთა

მოძრაობაში ფართო დემოკრატიული დისკუსიის საფუძველზე წყდებოდა. პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობისათვის რთულ სიტუაციაში კი ვაშინგტონი, ეგვიპტისა და იორდანიის დახმარებით. შეეცადა გამოეყენებინა ის გარემოება, რომ მოძრაობაში გაერთიანებული არიან სხვადასხვა კლასობრივი და სოციალური ბუნების დაჯგუფებები და კიდევ უფრო მეტი განხეთქილება შეეტანა მასში მერყევი და შემრიგებლური ელემენტებისათვის, პალესტინელი ხალხის ეროვნული მიზნების აშშ-ის დახმარებით მიღწევის შესაძლებლობის ილუზიის შექმნით.

სწორედ პალესტინის ეროვნულ საბჭოში, რომელიც ფაქტიურად პალესტინელთა პარლამენტს წარმოადგენს, მერყევი და შემრიგებლური ელემენტების არსებობით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1983 წელს ალჟირში გამართულმა საბჭოს სესიამ თუმცა აღნიშნა, რომ „რეიგანის გეგმა მიუღებელია პალესტინის პრობლემის გადასაჭრელად". ამავე დროს მიიღო „იორდანიასთან კონფედერაციის" იდეა. აღნიშნული სესიის შემდეგ პგო-ს უდიდესი და წამყვანი ორგანიზაციის ფათჰ-ის რიგებში მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის შეიარაღებული შეტაკებებიც კი მოხდა. იმპერიალიზმის, სიონიზმისა და არაბული რეაქციის ძალებმა კი ეს შეტაკებები პგო-ს შემდგომი დაშლისა და პროგრესულ არაბულ ძალებთან, პირველ რიგში სირიასთან, მისი კავშირის დასუსტების მიზნით გამოიყენეს. აშშ და ისრაელი განსაკუთრებით არიან დაინტერესებული მოვლენების ამგვარი განვითარებით. რადგან იციან, რომ სირია, მტკიცე ანტიიმპერიალისტური და ანტისიონისტური კურსიდან გამომდინარე, მხარს უჭერდა და უჭერს პგო-ს იმ დაჯგუფებებს, რომლებიც კაპიტულანტური შეთანხმებების წინააღმდეგ გამოდიან.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ ფათჰ-ის ხელმძღვანელობის ნაწილმა, ი. არაფატის მეთაურობით. გააგრძელა პალესტინის პრობლემის გადაჭრის გზების ძიება აშშ-ის მხრიდან ისრაელზე გავლენის გაძლიერებისა და კონსერვატიული არაბული რეჟიმების (იორდანია და ეგვიპტე) დახმარებით.

1985 წლის 11 თებერვალს, იორდანიის მეფე ჰუსეინმა და პგო-ს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ იასირ არაფატმა, იორდანიის დედაქალაქ ამანში, ხელი მოაწერეს შეთანხმე-

ბას „ერთობლივი მოქმედების“ თაობაზე, რომელიც სხვაგვარად ამანის შეთანხმების სახელით არის ცნობილი. შეთანხმებაში, რომელიც არაფატმა და მისმა მომხრეებმა პგო-ში და თვით ფათჰ-ში შემავალ სხვა დაჯგუფებებთან წინასწარი განხილვის გარეშე დადეს, დასავლეთში პირველ რიგში ის დაინახეს, რომ მასში, პირველად პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიაში, არაფერი არ არის ნათქვამი შეიარაღებული ბრძოლის შესახებ. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ პგო ცნობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ ყველა რეზოლუციას პალესტინის საკითხზე (ე. ი. № 242 რეზოლუციასაც. რომელიც პალესტინის პრობლემას განიხილავს არა როგორც ხალხის, არამედ როგორც ლტოლვილების პრობლემას, აგრეთვე 1947 წლის რეზოლუციას, რომელმაც დააკანონა პალესტინის გაყოფა და ისრაელის სახელმწიფოს შექმნა) და აქედან გამომდინარე, ცნობს პრინციპს „ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ“. არაბთა ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა შეთანხმების დადებისთანავე აღნიშნეს, რომ მასში იგნორირებულია ორი ძირითადი პრინციპი, რომლებსაც მუდამ ემყარებოდა პგო-ს პოზიცია — პგო-ს სრულუფლებიანი მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოვლისმომცველ გადაჭრაში და პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. შეთანხმებაში ეს პრინციპები შეცვლილია ახლო აღმოსავლეთის. პრობლემის გადაჭრის თაობაზე მოლაპარაკებაში იორდანია-პალესტინის დელეგაციის ერთობლივი მონაწილეობით და იორდანია-პალესტინის კონფედერაციის შექმნით, პალესტინელი არაბი ხალხის უფლებების ნათელი განსაზღვრის გარეშე. არაბთა ანტიიმპერიალისტურმა წრეებმა აღნიშნეს, რომ პრინციპი „ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ“, ფაქტიურად ძირითად პრინციპზე უარის თქმას ნიშნავს, რომლის მიხედვითაც ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრის საკვანძო საკითხი სწორედ პალესტინის პრობლემაა. ამგვარი „დათმობის“ სანაცვლოდ, მრავალი სპეციალისტის აზრით, არაფატსა და ჰუსეინს სურდათ ისრაელზე აშშ-ის დაწოლის საშუალებით მიეღოთ თანხმობა შემდეგი მიზნების განხორციელებაზე — პალესტინელთა თვითგამორკვევაზე მდ. იორდანიის დასავლეთ ნაპირზე, პალესტინელი ლტოლვილების ამ ტერი-

ტორიებზე დაბრუნებაზე გაერო-ს რეზოლუციებით გათვალისწინებული კონპენსაციის გადახდით, საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრის თაობაზე.

პროგრესულმა არაბულმა სახელმწიფოებმა, პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობაში შემავალი ორგანიზაციების უდიდესმა უმრავლესობამ და თვით ფათჰ-ის წევრების ნაწილმაც, არ მიიღეს ამანის შეთანხმება აღნიშნული მიზეზების გამო. ამასთანავე შეთანხმებას მხარი დაუჭირეს ეგვიპტემ, მაროკომ, საუდის არაბეთმა და სხვა კონსერვატიულმა არაბულმა სახელმწიფოებმა, რომელთა პოზიციაც ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრის საკითხში კარგა ხანია გამოიკვეთა — პრობლემის გადაჭრა აშშ-ის ისრაელზე დაწოლის და მათგან გარკვეული დათმობების მიღწევის საფუძველზე. პრობლემის ამგვარი გადაჭრის იმედი კარგა ხანია აქვთ კონსერვატიულ არაბულ რეჟიმებს. მაგრამ მოვლენებმა არაერთხელ დაადასტურეს, რომ ეს შეუძლებელია თვით ისრაელისა და აშშ-ის სტრატეგიული მიზნების გამო ახლო აღმოსავლეთში.

ამჟამადაც აშშ და ისრაელი მტკიცედ დგანან თავიანთი ერთობლივი გეგმის დაცვის პოზიციებზე. ეს გეგმა ძირითადად ხუთ პრინციპს ემყარება: 1. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიქმნას პალესტინელთა დამოუკიდებელი სახელმწიფო; 2. არ უნდა წარმოებდეს ყოვლისმომცველი მოლაპარაკება; 3. საბჭოთა კავშირი არ უნდა მონაწილეობდეს ახლო აღმოსავლეთის პროლემის მოწესრიგებაში; 4. არ უნდა იქნეს ცნობილი პგო; 5. აშშ-მა არ უნდა მოახდინოს ისრაელზე დაწოლა არაბების სასარგებლოდ.

ისრაელსა და აშშ-ს სურდათ, რომ იორდანია-არაფატის შეთანხმება სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით გატარებულიყო ცხოვრებაში, მაგრამ ეს არ მოხერხდა ძირითადად ორი მიზეზის გამო. იორდანიამ, ბევრი ცდის მიუხედავად, ვერ მიიღო პალესტინელების თანხმობა თავად წარმოედგინა ისინი ისრაელთან და აშშ-თან მოლაპარაკებაში და ვერ მიაღწია მათგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის № 242 და № 338 რეზოლუციების ცნობას, ყოველგვარი პირობის ვარეშე, რომლებიც ცნობენ ისრაელის სახელმწიფოს, მაგრამ არ ცნობენ პალესტინელთა უფლებას ნამღვილად დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე.

სწორედ ამიტომ, 1986 წლის თებერვალში იორდანიის მეფე ჰუსეინი გამოვიდა განცხადებით, რომელმაც ფაქტიურად წერტილი დაუსვა იორდანია-არაფატის გეგმის განხორციელებას. თუმცა იორდანიის მეფემ ისიც განაცხადა, რომ იორდანია მარტო არ დატოვებს „პალესტინელ ძმებს“ და „მხარს დაუჭერს მათ ყველა საშუალებებით“.

ასე დამთავრდა კიდევ ერთი ეტაპი პალესტინის პრობლემის ისტორიაში. თუმცა ჰუსეინის განცხადების შემდეგ მომხდარმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ისრაელი და აშშ განაგრძობენ ცდებს, ამჟამად უკვე მხოლოდ იორდანია დაიყოლიონ ისრაელთან სეპარატულ მოლაპარაკებაზე. ჰუსეინის გამოსვლისთანავე ისრაელის პრემიერ-მინისტრი შიმონ პერესი მიესალმა, როგორც თავად აღნიშნა, „იორდანიის გადაწყვეტილებას, თავიდან მოეშორებინა ძირითადი წინააღმდეგობა მშვიდობის დამყარების გზაზე“. ამ წინააღმდეგობაში, რა თქმა უნდა, პალესტინელები იგულისხმებიან. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პალესტინელთა გარეშე შეუძლებელია ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრა. ისრაელი და აშშ იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ამ გარემოებას და ამიტომ ცდილობენ პალესტინელი არაბი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენლის პგო-ს ნაცვლად, იორდანიასთან ერთად სეპარატულ შეთანხმებაში ჩაითრიონ ის გავლენიანი პალესტინელები, რომლებიც დასავლეთ ნაპირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ და მჭიდრო კონტაქტები აქვთ იორდანიასთან.

თუ რა შედეგს გამოიღებს ამგვარი ცდები, დრო გვიჩვენებს, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში მოვლენების განვითარებამ არაერთხელ დაადასტურა, რომ რეგიონში მდგომარეობის ყოვლისმომცველი და სამართლიანი მოწესრიგება შეუძლებელია ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ამის მიღწევა კი შეიძლება საერთაშორისო კონფერენციაზე, მასში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის პირობით. ასეთი კონფერენციის მოწვევის წინადადება არაერთხელ იქნა წამოყენე-

ბული საბჭოთა კავშირის მიერ. ამ წინადადებას მხარს უჭერს პრაქტიკულად ყველა არაბული სახელმწიფო და პგო. აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების უდიდესი უმრავლესობა, რაც არაერთხელ დადასტურდა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიებზე. წინადადების წინააღმდეგ გამოდიან მხოლოდ აშშ და ისრაელი, რომელთა გეოპოლიტიკურ მიზნებს არ პასუხობს მდგომარეობის სამართლიანი და ყოვლისმომცველი მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში.

ვასილ კაჰარავა

ზოგიერთი პარალელის შესახებ რ. რეიგანის ადმინისტრაციისა და XX საუკუნის 20-იანი წლების რესპუბლიკური ადმინისტრაციების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში

1984 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში, რონალდ რეიგანის საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება იმის მანიშნებელია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ საკმაოდაა გავრცელებული კონსერვატიული განწყობილებანი. 1982-83 წლების ეკონომიკური აღმავლობის ტალღაზე, ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ ხოტბა შეასხა რეიგანის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამას. თვით პრეზიდენტიც მისთვის დამახასიათებელი პათოსით ამერიკას რევოლუციური ხასიათისა და მასშტაბის გარდაქმნებს დაპირდა. მაგრამ, ადმინისტრაციის მომხრენი და თვით პრეზიდენტიც ყოველნაირად ჩქმალავენ იმ ფაქტს, რომ დღევანდელი აღმავლობა კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ციკლური პროცესის შემადგენელი ნაწილია. ცნობილია, რომ ეკონომიკური აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდების ცვალებადობა კაპიტალიზმის სწორედ ის თვისებაა, რომელიც განაპირობებს ამ ისტორიული ფორმაციის ერთ-ერთ უდიდეს და გადაულახავ წინააღმდეგობას.

დღეისათვის, უკვე არაერთი ბურჟუაზიული ეკონომისტიც კი იძულებულია აღიაროს, რომ აღმავლობა უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და ახლო მომავალში მოსალოდნელია სერიოზული ეკონომიკური პრობლემები. ასეთი სკეპტიციზმის ერთ-ერთ კონკრეტულ მიზეზად შეერთებული შტატების ბიუჯეტის დეფიციტის ქრონიკულ ხასიათსა და სახელმწიფო ვალის გრანდიოზულ ზრდას მიიჩ-

ნეეენ. 1985 წელს კონგრესის 99-ე მოწვევის I სესია 11 თვეს გაგრძელდა, ანუ დაგეგმილზე ათი კვირით მეტხანს, სწორედ აღნიშნული საკითხების გამო.

მართლაც, უკანასკნელ წლებში მიღწეული ინფლაციის ზრდის ტემპების შენელება, მრეწველობის აღმავლობა და უმუშევრობის ნაწილობრივი შემცირება, დიდხანს ვერ გასტანს, თუ არ გადაწყდება ბიუჯეტის დეფიციტის უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პრობლემა.

რეიგანიც იძულებულია სულ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს ამ საბედისწერო საკითხს, მითუმეტეს რომ დეფიციტის აღმოფხვრას იგი ამერიკელებს 1984 წლისათვის პირდებოდა.

1985 ფინანსური წლის დეფიციტმა 211 მლრდ-ს მიაღწია, სახელმწიფო ვალმა კი 2 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.

სწორედ ამიტომ პრეზიდენტობის მეორე ვადის დასაწყისში რეიგანმა მთავარ ამოცანად დეფიციტის აღმოფხვრა გამოაცხადა. როგორ? რა გზით? საზოგადოების რომელი ფენების ხარჯზე? აი კითხვები, რომლებიც იბადება დღევანდელი ამერიკისათვის ამ ურთულეს პრობლემასთან დაკავშირებით.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ დეფიციტის აღმოსაფხვრელად ორი რამ არის საჭირო: ხაზინის შემოსავლის ზრდა და მისი ხარჯების შემცირება. ისიც ცნობილია, რომ შემოსავალი უმთავრესად შედგება ამერიკელ მოქალაქეთა და კორპორაციათა გადასახადებისაგან.

რაც შეეხება ხარჯებს, აქ გაცილებით მეტი მრავალფეროვნებაა: უპირველეს ყოვლისა, უზარმაზარი სამხედრო ბიუჯეტი, გარდა ამისა მრავალრიცხოვანი ფედერალური სოციალური პროგრამა, უსაზღვროდ გაზრდილი ფედერალური ბიუროკრატიული აპარატის ანაზღაურება, სხვადასხვა სახის ფედერალური მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობა, შეერთებული შტატებისადმი ერთგული პოლიტიკური რეჟიმების დაფინანსება და მრავალი სხვა.

ჯერ განვიხილოთ, თუ რა გზით ცდილობენ რესპუბლიკელები ხაზინის შემოსავლის გაზრდას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად რეიგანი ერთი შეხედვით პარადოქსულ გეზს ირჩევს, კერძოდ კი — გადასახადების შემცირებას.

რეიგანი აღნიშნავს, რომ ძალზე მაღალი გადასახადები ხელს უწყობს გადასახადის გადამხდელთა მიერ სხვადასხვა ხრიკებითა და იურიდიული მაქინაციებით გადასაადის გადახდის თავიდან აცილების ტენდენციას. ეს განცხადება მართებულია, რადგან მსგავსი ადამიანები მის ადმინისტრაციაშიც კი აღმოჩნდნენ. ხოლო პრეზიდენტ ნიქსონის დროს ასეთი საქციელი თვით ვიცე-პრეზიდენტმა ს. აგნიუმ იკადრა.

გარდა ამისა, რეიგანი იძულებულია ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ ამერიკაში საგრძნობლად იზრდება ე. წ. იატაკქვეშა ეკონომიკა, რომელსაც ფედერალური ხელისუფლება ფაქტობრივად ვერ აკონტროლებს.

აღნიშნული მიზეზების გამო, ხაზინა საკმაოდ დიდ თანხებს კარგავს. მაგრამ დასახელებული მოვლენები უფრო რეციდივია და მათი აღმოფხვრა რომ მოხერხდეს კიდეც, ხაზინის მდგომარეობა რადიკალურად ვერ შეიცვლება. ამიტომაც შემოსავლის ზრდის მთავარ წყაროდ რეიგანი დიდი ბიზნესის გააქტიურებასა და ეკონომიკის გამოცოცხლებას მიიჩნევს.

1985 წლის 13 მარტს, ბიზნესმენების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, რ. რეიგანმა განაცხადა: „თუ წარმოებებს შეუძლიათ გაზარდონ შემოსავალი ფასების შემცირებისა და გასაღების ბაზრების გაფართოების ხარჯზე, ასევე შეუძლია მთავრობასაც შემოსავლის გაზრდა გადასახადების შემცირების გზით და, აქედან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელთა ბაზის გაფართოებით.

როგორც ვიცით, რეიგანმა პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს მიაღწია მოქალაქეთათვის გადასახადის შემცირებას 25 პროცენტით, ხოლო კორპორაციებს შემოსავლის 50 პროცენტამდე შეუმცირა გადასახადის მაქსიმალური ოდენობა. პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს რეიგანი ცდილობს ეს რიცხვი 35—38 პროცენტამდე დაიყვანოს და მეფური თუ პრეზიდენტული საჩუქარი გაუკეთოს დიდ ბიზნესს.

მაგრამ ამჯერად იგი გაცილებით უფრო დიდ წინააღმდეგობას აწყდება კონგრესში. რადგან დემოკრატ ოპონენტებს, რესპუბლიკელებიც დაემატნენ: ისინი, პირიქით, გადასახადების ზრდას მოითხოვენ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ რეიგანის გეგმა სასურველ შე-

დეგს არ იძლევა. ამიტომაც 1985 წელს დაწყებული კამათი ამ თემაზე დღემდე გრძელდება.

1986 წლის 11 მარტის პრესკონფერენციაზე, როდესაც პრეზიდენტს ჰკითხეს — ხომ არ შეიძლებოდა, მისი საგადასახადო პროგრამის ხელყოფის გარეშე, შემოსავლის გასაზრდელად დაეწესებინათ გარკვეული გადასახადი ნავთობის იმპორტზე — რეიგანმა კატეგორიული უარი განაცხადა. „როდესაც თქვენ კერძო სექტორს, — თქვა პრეზიდენტმა, — მისი შემოსავლის იმდენ ნაწილს ართმევთ, რამდენიც მისთვის მისაღებ და მიზანშეწონილ ზღვარს სცილდება, თქვენ ამით ამუხრუჭებთ ეკონომიკის განვითარებას“.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ადმინისტრაცია კეთილდღეობას მთელი ქვეყნისათვის დიდი ბიზნესის კეთილდღეობის პოზიციებიდან აღიქვამს. კვლავ პოპულარულია ლოზუნგი „რაც კარგია ჯენერალ მოტორსისათვის, ის კარგია ამერიკისთვისაც“. მართლაც, დღეს ამერიკაში კვლავ მოდაშია ბიზნესმენთა განდიდება.

დიდი ბიზნესი კვლავ ცხადდება ამერიკის კეთილდღეობის საფუძვლად, თანამედროვე კაპიტალიზმის ჰუმანიზმი და საზოგადოების ინტერესებისათვის მისი ბრძოლა თანამედროვე ბურჟუაზიული პროპაგანდის შთაგონების წყაროა. რაც იმისთვის არის საჭირო, რომ გაუზარდონ კაპიტალს ზემოგებანი და ისედაც მნიშვნელოვანი პრივილეგიები კიდევ უფრო გააფართოონ. მაგრამ ეს სახიფათო პოზიციაა. ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე ჯ. უებსტერი კაპიტალის უზომო გაძლიერების შესახებ წერდა, რომ დედამიწაზე ყველაზე უფრო თავისუფალი სახელმწიფოც კი ვერ იარსებებს დიდხანს, თუ კანონებს ექნებათ ...ტენდენცია ერთეულთა ხელში დააგროვონ სიმდიდრე. ხოლო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკეში დატოვონ. ასეთ შემთხვევაში ხალხმა უნდა შეშფოთოს სიმდიდრის ეს პრივილეგენტები, თორემ სიმდიდრის გავლენა შეზღუდავს და კონტროლქვეშ მოაქცევს ხალხის ნება-სურვილის გამოხატვის საშუალებას.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ 20-იანი წლების ამერიკა, ხელისუფლების სათავეში მაშინაც რესპუბლიკელები იყვნენ და ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ აღმავლობას, რესპუბლიკურმა ადმინისტრაციამ რამდენიმეჯერ შეამცირა გადასახადები, უპირველეს

ყოვლისა. იმისათვის, რომ გზა გაეხსნა დიდი ბიზნესისათვის, რომელიც ამერიკას აყვავებას — პროსპერიტის მოუტანდა, ხოლო თუ ქვეყანას გაუჭირდებოდა, ახალი ტიპის კაპიტალისტები, ე. წ. ინდუსტრიის კაპიტნები ბიზნესის თვითდისციპლინის და ორგანიზებულობის საშუალებით გადალახავდნენ კრიზისის სიძნელეებს.

მაგრამ დაიწყო 1929-33 წლების უმძიმესი. შეერთებული შტატების ისტორიაში, ეკონომიკური კრიზისი. კრიზისით გამოწვეულ ქაოსსა და ტრაგედიას თვით ამერიკელი ისტორიკოსები ამერიკის ისტორიის ისეთ მოვლენებს ადარებენ. როგორიც იყო ამერიკული კოლონიების ომი დამოუკიდებლობისათვის და 1861-65 წლების სამოქალაქო ომი სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. ასეთ ვითარებაში რესპუბლიკური ადმინისტრაცია ჰერბერტ ჰუვერის ხელმძღვანელობით, ეყრდნობოდა რა ამერიკული ინდივიდუალიზმის იდეებს. მხოლოდ პროპაგანდისტული და კოორდინაციული ხასიათის მოქმედებით იფარგლებოდა.

რაც შეეხება დიდ ბიზნესს, მან თავისი უსუსურობა გამოამჟღავნა ზოგადეროვნული მასშტაბის ეკონომიკური კატასტროფის წინაშე. ნაქები თვითდისციპლინა და ორგანიზებულობა ყოველი მეწარმის საკუთარი თავის გადარჩენისათვის პანიკურ მოქმედებაში გადაიზარდა. საზოგადოებრივი ინტერესები აღარავის ახსოვდა.

მხოლოდ 1933 წელს, ფრანკლინ რუზველტის მიერ გატარებულმა ე. წ. „ახალმა კურსმა“, რომელმაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა განაპირობა და გადაიყვანა აშშ სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის რელსებზე, გადაარჩინა ამერიკული კაპიტალიზმი კატასტროფისაგან.

რასაკვირველია, არ იქნებოდა მართებული მაშინდელი და დღევანდელი, ურთიერთისაგან საკმაოდ განსხვავებული სიტუაციების მარტივი გაიგივება, მითუმეტეს, რომ დღევანდელი ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა გაცილებით უფრო ძლიერია, ხოლო კავშირი დიდ ბიზნესსა და მთავრობას შორის, ან თუ გნებავთ მათი იდენტურობა, გაცილებით უფრო დახვეწილ ფორმებში გამოიხატება. მაგრამ არც არსებული მსგავსების სრუ-

ლი უგულებელყოფა იქნებოდა სწორი. რა გარანტია აქვს რეიგანის ადმინისტრაციას, რომელიც სულ უფრო დიდ პრივილეგიებს ანიჭებს დიდ ბიზნესს, ზღაპრულად ზრდის მის ეკონომიკურ და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ძალას და რიგ მომენტებში სურს მას გადასცეს ფედერალური ხელისუფლების ფუნქციები, რომ მოსალოდნელი ძნელბედობის ჟამს იგი ისევე, როგორც არაერთხელ, არ გამომაღვავნებს თავის უკიდურეს ეგოცენტრიზმს, თავის ორგანულ ბუნებას და თავის მოგებების გადასარჩენად, უპირველეს ყოვლისა, მასზე დაკისრებულ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას არ გაწირავს (თუნდაც მუშების პროფესიული მომზადების პროგრამებს, რომელნიც, რეიგანის აზრით, კერძო სექტორსა და ადგილობრივ მმართველობას უნდა გადაეცეს).

ეხლა განვიხილოთ ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევის მეორე კომპონენტის — სახელმწიფო ხარჯების შემცირების რეიგანისეული გეგმა, მითუმეტეს რომ ხარჯების შემცირებას იგი სხვადასხვა ფედერალური პროგრამების გაუქმების, შემცირების ან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კერძო სექტორისადმი გადაცემის საშუალებით აპირებს.

აქაც ზოგჯერ რესპუბლიკელთა ახალი მიდგომა კარგად დავიწყებულ ძველს მოგვაგონებს. თუმცა რეიგანი არც მალავს ამას და ამერიკას ძველ, მამაპაპისეულ მორალურ-ეთიკურ ფასეულობათა აღდგენისაკენ მოუწოდებს. აქ ერთმანეთშია გადახლართული ნამდვილი და საყოველთაო, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი და აშკარა პოლიტიკური ანგარიში. ძნელად თუ ვინმე შეედავება რონალდ რეიგანს, როდესაც იგი ოჯახის ინსტიტუტის ავტორიტეტის აღდგენისათვის იბრძვის, რომელიც საკმაოდ შეარყია 60-იანი და 70-იანი წლების საყოველთაო თავისუფლების და სექსუალური რევოლუციის იდეებმა. მაგრამ როცა საუბარი იწყება კონსერვატიული ინდივიდუალიზმის იდეალებზე, აქ აშკარა კავშირი იგრძნობა სოციალური პროგრამების შეკვეცის პოლიტიკასთან.

აღნიშნულ საკითხში რ. რეიგანის რიტორიკა ბალზე წააგავს 20-იან წლების პრეზიდენტების კალვინ კულიჯისა (სხვათა შორის რეიგანს კაბინეტში სწორედ კულიჯის სურათი უკიდია) და ჰერბერტ ჰუვერისის პოზიციას. საქმე ისაა, რომ მაშინდელ ამერიკაში, სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისაგან გან-

სხვავებით, არ არსებობდა კანონი სოციალური დაზღვევის შესახებ და გაჭირვებულთათვის დახმარების რაიმე ფედერალური სოციალური პროგრამები, თუ არ ჩავთვლით დახმარებას ომის ვეტერანებისადმი. მაგრამ ეს ნაკლად კი არა, ამერიკული ცხოვრების წესის მიღწევად მიაჩნდათ. ამერიკული ინდივიდუალიზმის იდეოლოგები აცხადებდნენ, რომ ამერიკის მოქალაქეს თვითონ. სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეეძლო ცხოვრების მაღალი სტანდარტებისათვის მიეღწია და, რაც მთავარია, გადაელახა კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მერყეობა. ეს მაშინ, როდესაც 1928 წელს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი ჰერბერტ ჰუვერისი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ შეერთებულ შტატებში 1800 ათასი უმუშევარი იყო. მაგრამ მმართველ წრეებში მიაჩნდათ, რომ ამ ხალხისათვის სავსებით საკმარისი იყო კერძო ქველმოქმედება და ადგილობრივ ხელისუფალთა დახმარება.

1929-33 წლების უდიდესმა კრიზისმა, 13 მილიონამდე უმუშევრის პროტესტმა, მრავალრიცხოვანმა მშიერთა მარშებმა ვაშინგტონში, ამერიკული პროლეტარიატის საბრძოლო შემართებამ დაადასტურა არსებული ილუზიების სრული უსაფუძვლობა. 1935 წელს მიღებულ იქნა კანონი სოციალური დაზღვევის შესახებ, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ნაწილობრივ მაინც იღებდა პასუხისმგებლობას უმუშევართა ბედ-იღბალზე.

მართალია დღეს ვეღარავინ გააუქმებს ამ კანონს და ამერიკელ მშრომელთა ბევრ სხვა მიღწევას, მაგრამ თეთრი სახლიდან კვლავ ისმის ნაცნობი ფრაზები იმის შესახებ, რომ ფედერალური ხელისუფლების ფართო მასშტაბის დამხმარე ღონისძიებანი ლახავენ ადამიანის პირადი ღირსების გრძნობას, ძირს უთხრიან ამერიკელ მოქალაქეთა თავისუფლებას, იმუშავებენ ადამიანში პარაზიტულ მორალს და ჰკლავენ პირადი ინიციატივის გრძნობას, ანუ სპობენ იმ ძველ მორალურ-ეთიკურ და მოქალაქეობრივი ზნეობის ფასეულობებს, რომელთაც შექმნეს ამერიკის კეთილდღეობა.

ამ მაღალფარდოვან რიტორიკას, ალბათ, მართლაც გააჩნია თავის მომხიბლველობა და იგი, ალბათ, თანაგრძნობას იწვევს უზრუნველყოფილ ბურჟუასა და ე. წ. საშუალო ფენის ბევრი წარმომადგენლის გულში, მაგრამ 35 მილიონ ამერიკელში, რომელიც სიღა-

რიბის ზღვარზე იმყოფება, იგივე ფრაზები მწარე ირონიისა და სოციალური პროტესტის გრძნობას იწვევს.

როდესაც ფედერალურ პროგრამებს აკრიტიკებს. რეიგანი უპირველეს ყოვლისა მათ სიძვირეს უსვამს ხაზს (გავიხსენოთ, რომ მათი შეკვეცის უმთავრეს მიზნად იგი სახელმწიფო ხარჯების ეკონომიას ასახელებს). იგი აცხადებს, რომ მუშის პროფესიული მომზადების ფედერალური ხარჯი ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლების ხარჯის ტოლიაო. შემდეგ არგუმენტად რეიგანი იმას ასახელებს, რომ ფედერალური პროგრამების ურთიერთდუბლირებას აქვს ადგილი, რაც ბუნებრივია ზედმეტ ხარჯებს იწვევსო. გარდა ამისა, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ზოგიერთი მოქალაქე ამ დახმარებას ბოროტად იყენებს და მაშინაც სარგებლობს. როდესაც იგი არ ერგება. მას მიაჩნია, რომ ამ ამოცანებს შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფალნი უკეთ გაარკვევენ, ვინაიდან ადგილზე უკეთ უწყიან. ვის რა უჭირს. ვიდრე შორეულ ვაშინგტონში.

მართლაც. შეიძლება ზოგიერთი ფედერალური პროგრამა არ იყოს სრულყოფილი, ან ზოგიერთი მოქალაქე ბოროტად იყენებდეს მას. მაგრამ ეს ხომ რეციდივებია, რომლებიც პრინციპში ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება წარმოიშვან და არა პროგრამების ნამდვილი არსი. რომლებიც უსათუოდ ძალზე საჭიროა იმ ქვეყანაში. სადაც მილიონობით უმუშევარი და ღარიბია.

რაც შეეხება შტატებისა და ადგილობრივი მმართველობისადმი ამ პროგრამების გადაცემას, უნდა აღინიშნოს. რომ დღესაც. ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, მათ განკარგულებაში არსებული თანხები ვერ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნილებებს.

1985 წელს რეიგანი არაერთხელ მოითხოვდა სოციალური პროგრამების შეკვეცას ისეთ სფეროებში. როგორიცაა მუშათა პროფესიული მომზადება, სტუდენტებისადმი დახმარება. სამედიცინო დახმარება, უფასო საუზმეები მოსწავლეთათვის, უფასო კვება ღატაკებისათვის, პენსიები ხანდაზმულთათვის და სხვა. ამავე დროს კატეგორიული წინააღმდეგი იყო სამხედრო ხარჯების შემცირებისა. ადმინისტრაციის 1986 წლის ფინანსური წლის პროექტმა. რომელიც ასეთ ცალმხრივ შემცირებას ითვალისწინებდა, სენატში რესპუბლიკელთა უმრავლესობის ლიდერის სენატორ რ. დოულის (კანზასი) და სენატის ბიუჯეტის კომიტეტის თავმჯდო-

მარის, აგრეთვე რესპუბლიკელი სენატორის ჰ. დომენიჩის (ნიუ-მექსიკა) უკმაყოფილებაც კი გამოიწვია.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ მიმოხილველის აზრით, კონგრესის ორივე პალატის 535 წევრიდან მხოლოდ 35 თუ დათანხმდებოდა პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ პროექტს. იგი ითვალისწინებდა სამხედრო ხარჯების ზრდას, ამავე დროს უარს ამბობდა გადასახადების გაზრდაზე და ამცირებდა სოციალურ პროგრამებს, რომლებიც არა მარტო ღარიბებს, არამედ საშუალო ფენებსაც ეხებოდა.

საბოლოოდ რეიგანმა მაინც გაიმარჯვა ამ საკითხში, მან გადაარჩინა გადასახადების საკუთარი პროგრამა, მაგრამ მინიმალური უპირატესობით.

ასეთი ურჩობით გაღიზიანებულმა პრეზიდენტმა კონგრესს უპასუხისმგებლო მფლანგველი უწოდა. არავითარი ეკონომიკა არ იზრდება ისე სწრაფად, როგორც კონგრესის ხარჯები. — განაცხადა მან. მისი თქმით, ბოლო წლებში შემოსავალი 42 პროცენტით გაიზარდა, სამაგიეროდ, კონგრესის ხარჯებმა 62 პროცენტით იმატა.

ამ სერიოზულ ბრალდებას რეიგანი კონგრესში არსებულ ე. წ. დაინტერესებულ ჯგუფებს, ლობისტებს უყენებს. მაგრამ თუ ფერმერთა ან პროფკავშირთა ინტერესების დამცველი ჯგუფები საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის სახელით გამოდიან, ამას ვერ ვიტყვით მონოპოლისტური დაჯგუფებების ინტერესთა დამცველებზე, რომელთაც კონგრესისათვის არაერთი დოტაცია და პრივილეგია გამოუძალავთ.

სარგებლობს რა დაბალი და საშუალო ფენების ანტიპატიით დიდი ბიზნესისადმი, რეიგანი ახერხებს საზოგადოების უკმაყოფილების განზოგადებას საერთოდ ყველა სახის დაინტერესებულ ჯგუფზე და მოითხოვს მათი გავლენისა და მათთან დაკავშირებული ხარჯების შეზღუდვას. ამით რეიგანი აპირებს, ერთი მხრივ, შეამციროს ხარჯები, მეორე მხრივ, დაიმკვიდროს ობიექტური პოლიტიკოსის სახელი, რომელიც, თუ საჭიროა, დიდ ბიზნესსაც კი შეუტევს. მაგრამ მონოპოლიებმა, რეიგანის საგადასახადო პოლიტიკის სახით, ისეთი ზღაპრული პრივილეგიები მოიპოვეს, რომ, ალბათ, ადვილად აპატიებენ მას მსგავს ნაბიჯს.

აღნიშნულის საფუძველზე. პრეზიდენტი სულ უფრო დაჟინებით მოითხოვს ფედერალური ბიუჯეტის გარკვეულ მუხლებზე ვეტოს დადების უფლებას, მითუმეტეს, რომ ეს უფლება უკვე 43 შტატის გუბერნატორს გააჩნია. ადვილი მისახვედრია, რომ ვეტოს ძალა, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ პროგრამებს დაატყდება თავს.

1985 წლის დეკემბერში რესპუბლიკელმა სენატორებმა ფ. გრეხემმა (ტეხასი), უ. რედმენმა (ნიუ-ჰემფშირი) და დემოკრატმა ე. ჰოლინგსმა (სამხრეთი კაროლინა) მიიღებინეს კონგრესს კანონი ბიუჯეტის დეფიციტის შესახებ, რომელიც ამიერიდან ავალდებულებს თეთრ სახლს და კონგრესს ყოველნაირად იბრძოლონ დეფიციტის ლიკვიდაციისათვის. ამ კანონის მიხედვით, დეფიციტის ყოველწლიური შემცირების შედეგად, იგი საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას 1991 წლისათვის. კანონი ითვალისწინებს რიგ ასპექტებში ხარჯების თანაბარ ავტომატურ შემცირებას როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ხაზით.

თავის დროზე რეიგანი დიდი ენერგიით ეწეოდა ამ კანონპროექტის პროპაგანდას, მაგრამ ახლა, ზოგი ამერიკელი მიმომხილველის აზრით, ეს კანონი თვით პრეზიდენტსა და მის მემკვიდრესაც ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. იგი შეიძლება თავისებურ პროკრუსტეს სარეცელად იქცეს. ერთი მხრივ, რეიგანი უნდა შეეცადოს, მისი მილიტარისტული პოზიციიდან გამომდინარე, არ დაუშვას სამხედრო ხარჯების შემცირება, მეორე მხრივ კი მაქსიმალურად შეამციროს სოციალური პროგრამები, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დღეისათვის ძალზე რთულ ამოცანად იქცა.

პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. თეთრმა სახლმა წარადგინა 1987 ფინანსური წლის პროექტი. სავარაუდოა, რომ 182-მილიარდიანი დეფიციტი შემცირდება 34 მილიარდით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ 34 მილიარდიდან 22 მილიარდი სოციალური პროგრამების შემცირებაზე მოდის, დავრწმუნდებით, რომ რეიგანი ამჯერადაც არ ღალატობს თავის პოლიტიკურ კრედოს.

მისი კრედო კი, როგორც ვხედავთ, ასეთია — მაქსიმალური პრივილეგიები დიდ ბიზნესს, გარკვეული მეორეხარისხოვანი დათმობანი ე. წ. საშუალო ფენას და მინიმალური ყურადღება მათ, ვინც ჩამორჩა წარმატებისათვის ბრძოლის მარათონში.

სოსო ცინცაძე

კოსმოსი — მომავალი ომის ველი?

„უაღრესად საჭიროა, სანამ გვიან არ არის, გამოვძებნოთ რეალური გადაწყვეტა, რომელიც მოგვცემს კოსმოსში გამალებული შეიარაღების გაუვრცელებლობის გარანტიას. ვერ დავუშვებთ, რომ „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამას იყენებდნენ შემდგომი გამალებული შეიარაღების სტიმულადაც და რადიკალური განიარაღების გზაზე დაბრკოლებადაც" [1].

მეცნიერ-ფანტასტთა ერთ-ერთ უკანასკნელ მსოფლიო კონგრესზე, რადიოელექტრონიკის სიახლეთა შთამბეჭდავ გამოფენაზე, მსურველებს შეეძლოთ გასცნობოდნენ თანამედროვე კავშირგაბმულობის შექმნის ტექნოლოგიას. სპეციალური კონსტრუქციის კომპიუტერის გიგანტურ დისპლეიზე ციმციმებდა და პატარ-პატარა ნამსხვრევებად იფანტებოდა ცისფერი ბურთულა, რომელზეც გამოხატული იყო სკოლის მერხიდან კარგად ნაცნობი მატერიკების კონტურები. კომპიუტერი, რომელშიც დაპროგრამირებული იყო ინფორმაცია ჩვენს პლანეტაზე, ალუმინოთერმიის უმარტივესი რეაქციის მონაცემებთან ერთად, დამოუკიდებლივ ახდენდა განზოგადებულ მოვლენათა სინთეზს. ამიტომაც გამოიყურებოდა ასე ნატურალურად კოსმოსიდან აფეთქებული დედამიწა. ელექტრონიკის სპეციალისტები თანმიმდევრობით უხსნიდნენ დამსწრეთ, თუ როგორ იქმნებოდა ყველაზე თავსატეხი ტრიუკები ფანტასტიკური ფილმებისათვის. ყველაფერი ეს საინტერესო იყო, თუმცა გავარ-

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობას, თბ., 1986, გვ. 115.

ვარებული და გამდნარი ბიოსფერო და წამში აორთქლებული ოკეანეები დამთრგუნავ გავლენას ახდენდა მაყურებელზე.

კარგა ხანია, რაც კაცობრიობა თავის მომავალს უკავშირებს სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას, მის მიღწევებსა და უკიდეგანო პერსპექტივებს. საბოლოო ჯამში, ასეთი ოპტიმიზმი ალბათ საფუძვლიანიცაა და გამართლებულიც, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ჯერჯერობით „აპოლონის" პროგრამის წარმატებამ და პირველი გენის სინთეზმა დღის წესრიგიდან ვერ მოხსნა ისეთი მწვავე პრობლემა, როგორიცაა სიღატაკე და ბავშვთა სიკვდილიანობა. ვერც მეოთხე და მეხუთე თაობის ელექტრონულ-გამომთვლელმა მანქანებმა ისსნა კაპიტალისტური სამყაროს სავალუტო სისტემა მწვავე კრიზისებისაგან. ახლა დასავლეთის მეცნიერთა (და შეიძლება ყველაზე კვალიფიციური) ნაწილი კიდევ ერთ მეცნიერულ-ტექნიკურ საოცრებაზე მუშაობს — მათ გადაწყვეტილი აქვთ რეალობად აქციონ „ვარსკვლავეთის ომების" ფანტასტიკური სცენარები.

ჯერ კიდევ კოსმონავტიკის მამამთავარი ციოლკოვსკი ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც ადამიანის „შეჭრა" კოსმოსში მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად იქცეოდა: „რეაქტიულ ხელსაწყოებზე მუშაობისას მე სამშვიდობო და მაღალი მიზანი მქონდა: გარე სამყაროს დაპყრობა ადამიანის საკეთილდღეოდ" — წერდა იგი. 1934 წელს კი, შემდგომში მთავარი კონსტრუქტორი სერგეი კოროლიოვი წიგნში — „რაკეტის გაფრენა სტრატოსფეროში" — მომავალ თაობას აფრთხილებდა მოსალოდნელ საფრთხეზე: „გასაგებია, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებში რაკეტა ნაკლებად იქნება გამოყენებული მეცნიერული კვლევის მიზნებისათვის. მისი მთავარი დანიშნულება იქნება სამხედრო გამოყენება" [1]. ცოტა მოგვიანებით კი კოსმონავტიკის ცნობილი გერმანელი თეორეტიკოსი გერმან ობერტი, ჰიტლერულ ვერმახტს უკვე სთავაზობს სამხედრო-კოსმოსურ პროექტს. იგი ითვალისწინებდა ორბიტაზე გიგანტური სარკის გატანას. მისი საშუალებით ფოკუსირებული მზის სხივის წარმართვას მოწინააღმდეგისაკენ და მთელი ქალაქების, შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო

[1] Известия, 11. 1. 1987

ტექნიკის განადგურებას. პროექტის იდეასა და დღევანდელი „ვარსკვლავეთის ომების" სტრატეგიას შორის აშკარად ივრძნობა საერთო მომენტები.

...ამერიკის შეერთებული შტატები. კოლორადოს შტატი. ქალაქი ფოკონი, სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა. აქ, კოლორადოს თვალუწვდენელ პრერიებში დაკარგულ პატარა ტერიტორიაზე, სადაც პოკერით კლავდნენ დროს ადგილობრივი კოვბოები. 1985 წლის ოქტომბერში, ბაზის უფანჯრო სამსართულიანი პეტონის შენობები პირველმა ტექნიკურმა სპეციალისტებმა დაიკავეს.

92 მილიონი დოლარი დაუჯდება ამერიკელ გადასახადის გადამხდელს კოსმოსურ ოპერაციათა გაერთიანებული ცენტრის პირველი რიგის მშენებლობა ფოკონში. კომპლექსის ნაწილი უკვე აგებულია; ქვიშისფერი დაბალი შენობები კარგად ინიღბება ადგილობრივ ლანდშაფტში და თვითმფინავიდან ძნელი გასარჩევია. კომპლექსს პროექტორებით გაკაშკაშებული, მართულხაზოვანი და ტელეკამერებით აღჭურვილი ორმაგი ღობე აოტყავს. მიწაში ჩამალული ულტრამგრძნობიარე მიმღებები უმნიშვნელო მოძრაობაზეც რეაგირებს, ხოლო მთელ რაიონს შეიარაღებული დაცვა უწევს პატრულირებას. ობიექტზე შესვლა შეუძლიათ სპეციალური ელექტროსაშვების მფლობელებს. გათვალისწინებულია ობიექტის საგანგებო დაცვა ტერორისტთა თავდასხმის შემთხვევაშიც კი. ამიტომაც არის, რომ მთლიანად ცენტრის მშენებლობა 1,2 მილიარდი დოლარი დაჯდება, ხოლო მისი მოვლა-პატრონობა 302 მილიონი დოლარი ყოველწლიურად.

მართალია, დღეს პენტაგონი და თეთრი სახლი ჯიუტად ცდილობს ყველას დაჯერებას, რომ თითქოს როგორც ხსენებული ცენტრი. ასევე პროგრამა მთლიანობაში, მხოლოდ თავდაცვითი მნიშვნელობისაა, მაგრამ კვლევის ძირითადი მიმართულებანი საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ამიტომაც ამტკიცებს ბევრი დასავლელი სპეციალისტი, რომ უკვე დადგა კოსმოსური ომების ერაო. საინტერესოა, რომ ასეთი კატეგორიული განცხადების დამადასტურებელ არგუმენტად მათ პენტაგონის კონკრეტული საქმიანობა მოჰყავთ. კერძოდ, პენტაგონი უკვე შეუდგა პრაქტიკულად ისეთ ამოცანათა განხორციელებას, როგორიცაა ჯაშუშ-თანამგზავრთა დაცვითი სისტემის შექმნა, თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის გან-

ლაგება, სამხედრო ასტრონავტთა (ასე უწოდებენ ამერიკაში კოსმონავტებს) პირველი ჯგუფის მომზადება, ერთიანი კოსმოსური სარდლობის შექმნა და სხვა.

ჯერ კიდევ 1985 წლის დასაწყისში, „დისკავერზე" იმყოფებოდა პირველი სამხედრო კოსმონავტი, რომელმაც 26 თავის კოლეგასთან ერთად სპეციალური წვრთნა გაიარა სამხედრო-საჰაერო ძალების საიდუმლო ბაზაზე. სწორედ ამ სამხედრო კოსმონავტთა გამოჩენას მიიჩნევენ დასავლეთში ახალი ერის დასაწყისად, როდესაც სამხედროები მთლიანად თავიანთ ხელში აიღებენ ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსურ პროგრამებს.

სამხედრო-კოსმოსური ძალები ექსპერიმენტის სახით 1983 წელს შექმნა პენტაგონმა. ძირითადად სამხედრო-საჰაერო ძალთა ოფიცრებისაგან, მომავალში ნავარაუდებია მათი შევსება შეიარაღებული ძალების ოთხივე სახეობით, 1989 წლამდე სამხედრო კოსმონავტებმა (მათ პენტაგონი „სასარგებლო წონის სპეციალისტებს" უწოდებს) მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის 16 გაფრენაში უნდა მიიღონ მონაწილეობა, თუმცა აქ ალბათ თავის კორექტივებს შეიტანს „ჩელინჯერის" ტრაგედია. მართალია, გაურკვეველი დროით გადაიდო მთელი რიგი პროგრამები, მაგრამ ადმინისტრაციამ და პენტაგონმა შესძლო მთლიანობაში ხელუხლებელი დაეტოვებინა „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" ეგიდით დაგეგმილი სამუშაოები.

„სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა" უკვე განუყოფელია პრეზიდენტ რეიგანის სახელთან და ალბათ ასეც შევა ისტორიაში, მაგრამ ზერთული სამხედრო კონცეფცია, რომელიც დღესაც კი ფანტაზიისა და მეცნიერულ-ტექნიკური გენიის ზღვარზე ბალანსირებს, არ შეიძლება დილეტანტი ადამიანის გონებაში დაბადებულიყო. მაშ ვინ იყო „ინიციატივის" ნამდვილი ავტორი? ამ საკითხზე საინტერესო წერილი გამოაქვეყნა 1985 წლის 18 ნოემბრის ნომერში ამერიკულმა „ფილადელფია ინკუაიერმა". გაზეთის ვერსიით, თვით სახელმწიფო მდივანმა შულცმაც კი ორი დღით ადრე გაიგო, რომ პრეზიდენტი რადიოგამოსვლით აუწყებდა მთელ მსოფლიოს ქვეყნის პოლიტიკის შეცვლას ბირთვული იარაღის საკითხში. შულცს ისე გადასცეს „გასაცნობად" პრეზიდენტის სიტყვა, რომ უფლებაც არ ჰქონდა იგი გაეცნო შეიარაღებაზე

კონტროლის სფეროში პრეზიდენტის თანაშემწე პოლ ნიტცესათვის. უკანასკნელმა „ინიციატივის" შესახებ 1983 წლის 23 მარტს დილით, რადიოგამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე გაიგო. ასევე ხსენებულ აქციამდე მხოლოდ ერთი დღით ადრე აცნობეს მის შესახებ პენტაგონის მთავარ ბირთვულ სტრატეგს რიჩარდ პერლსაც. კიდევ უფრო მოგვიანებით ჩააყენეს საქმის კურსში პენტაგონის მთავარი მეცნიერი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე დელლერი და მისი კოლეგა პოლიტიკურ საკითხებში იკლე.

რამდენად სარწმუნოა გაზეთის მტკიცება, რომ საჯაროდ გამოქვეყნებამდე „ვარსკვლავეთის ომების" გეგმის შესახებ საქმის კურსში იყვნენ მხოლოდ პრეზიდენტი და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს რამდენიმე წევრი? ნუთუ კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმა პენტაგონის კედლებს მიღმა დაიბადა? ძნელია გადაჭრით რაიმეს მტკიცება, მაგრამ ერთი რამ კი ფაქტია; ჯერ კიდევ 1980 წელს. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, კანდიდატ რეიგანის მთელ რიგ საჯარო გამოსვლებში, უკვე შეიმჩნეოდა ახალი ბირთვული სტრატეგიის მკრთალი მოსახახები. 1980 წლის ნოემბრის შემდეგ კიდევ უფრო ძლიერდება პრეზიდენტისა და მისი უახლოესი მრჩევლების ინტერესი კოსმოსის, როგორც ბრძოლის ველისადმი. საკირო იყო მხოლოდ ერთი რამ —ახალი იდეის შესახებ დროზე ადრე არ გაეგო პრესას, კონგრესსა და ფართო საზოგადოებრიობას. აქედან გამომდინარე, მართლაც დასაშვებია, რომ ადმინისტრაციის ბევრმა წევრმაც კი მხოლოდ მაშინ გაიგო „ვარსკვლავეთის ომების" გეგმის არსებობა, როდესაც სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა პრეზიდენტისათვის მხარის დაჭერისა. 1983 წლის მარტის შემდეგ საკითხი უკვე ასე იდგა — თუ შენ მხარს უჭერ პრეზიდენტს, მის იდეასაც უნდა დაუჭირო მხარი.

როგორც შემდგომი პერიოდის ამერიკული პუბლიკაციებიდან ირკვევა. ბევრ კომპეტენტურ სპეციალისტსა და უწყებას, მათ შორის შტაბების უფროსთა კომიტეტს (რომელიც ორჯერ მოიხსენია თავის სიტყვაში პრეზიდენტმა როგორც იდეის მომხრე), მთელი რიგი შენიშვნები ჰქონდათ პროექტის ტექნოლოგიური მხარის, ვადებისა და ხარჯების საკითხში. პრეზიდენტის თითქმის ყველა ოფიციალური მრჩეველი თვლიდა, რომ იდეალურ შემთხვევაშიც კი ახალი კოსმოსური ტექნოლოგია „მოძველებულ უაზრობად"

ვერ აქცევდა ბირთვულ იარაღს, როგორც ამას თვით პრეზიდენტი ამტკიცებდა (და დღემდის ამტკიცებს).

დღეს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის მომხრენიცა და მოწინააღმდეგენიც აღიარებენ, რომ იდეა არ ყოფილა საფუძვლიანად გაანალიზებული. ერთი ასეთი საინტერესო დეტალი: ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი, პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი მეცნიერების დარგში კიუორტი ხუთი დღით ადრე გააფრთხილეს, რომ პრეზიდენტი დიდმნიშვნელოვანი სიტყვით უნდა გამოსულიყო. როგორც ამერიკის პრესა იუწყება, 1983 წლის 19 მარტს იგი გამოიძახა ეროვნული უსაფრთხოების დარგში პრეზიდენტის თანაშემწის მოადგილემ მაკფარლეინმა და ერთი კითხვა დაუსვა — დაუჭერდა თუ არა იგი მხარს აქტიურ მეცნიერულ კვლევებს სტრატეგიული თავდაცვის სფეროში? მხოლოდ მას შემდეგ, რაც კიუორტმა განაცხადა, რომ დაუჭერდა მხარს ამგვარ კვლევას, მას შესთავაზეს შეედგინა პრეზიდენტის სიტყვის პროექტი და უზრუნველეყო მეცნიერული წრეების მხარდაჭერა. როგორც მოგვიანებით ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა კიუორტმა, მისი პირველი რეაქცია ასეთი იყო — „მომეცით დრო. ეს ძალზედ სერიოზული საქმეა. მომეცით საფუძვლიანი მოფიქრების საშუალება. მოდით ვიფიქროთ მოკავშირეების პოზიციაზე. ვიფიქროთ იმაზე, თუ რას იფიქრებენ რუსები. ვიფიქროთ იმაზე, თუ რა არის ტექნიკურად შესაძლებელი“. ამდენი ფიქრის საშუალება მას არ მისცეს. პრობლემები კი მართლაც კოლოსალურია; თანახმად იდეისა, მოწინააღმდეგის პირველი დარტყმის შემთხვევაში, სისტემამ ათასობით ბირთვული მუხტი უნდა მოსპოს მათი გაშვებიდან ნახევარი საათის ვადაში, ბევრი მათგანი — პირველსავე წუთებში. თითოეულ შემთხვევაში სხივის დამიზნება მაქსიმალურად ზუსტი უნდა იყოს. როგორც დელოური ამბობს, ეს იგივეა, რომ დედამიწიდან შეეცადო პროექტორით გაანათო მთვარეზე კალათბურთის ბურთი, როგორც შემდეგ აღიარეს პრეზიდენტის უახლოესმა მრჩევლებმა, „ინიციატივასთან“ დაკავშირებული არც ერთი ტექნიკური თუ პოლიტიკური პრობლემა არ ყოფილა საფუძვლიანად შესწავლილი; ადმინისტრაციის მიზანი იყო გადაწყვეტილების მიღება და შემდეგ მისი განხორციელებისათვის ბრძოლა.

განსაკუთრებული (უკვე საერთაშორისო თვალსაზრისით) მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ კოსმოსური სამხედრო სისტემის შექმნის რაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვაშინგტონში არავის გახსენებია ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული 1972 წლის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება; „ინიციატივის“ თვით იდეაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ხელშეკრულების ძირითად მუხლებს. როგორ შეიძლება ყოველივე ეს მომხდარიყო? თვითონ ამერიკელი მეცნიერები ასეთი სახით აღადგენენ იმდროინდელ სიტუაციას; მეცნიერებასთან დაკავშირებულ საკითხებში რიგითი ობივატელის დონეზე მდგარ პრეზიდენტისაგან არც იყო გასაკვირი მთელი რიგი სტრატეგიული ფაქტების იგნორირება; ერთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მან არ იცოდა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირი თავის სახმელეთო ბაზირების რაკეტებს, მეორე შემთხვევაში მან პირველი დარტყმის პოტენციალად ჩასთვალა მოწინააღმდეგის თავდასხმის შემთხვევაში გადარჩენილი მობილური რაკეტები.

ამავე დროს, როგორც ერთხმად აღნიშნავენ იგივე ამერიკელი მეცნიერები, რეიგანი მუდამ მზადაა თვალდახუჭულმა აღიაროს მეცნიერულ აღმოჩენათა თვით ფანტასტიკური შედეგებიც კი. თეთრი სახლის ადმინისტრაციაში რეიგანს ყველაზე მეტად სჯერა, რომ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს შეუძლია გადაჭრას ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა.

როდესაც ჯერ კიდევ 1980 წლის ზაფხულში, კანდიდატი რეიგანი ჩრდილოეთ ამერიკის აეროკოსმოსური თავდაცვის გაერთიანებულ შტაბს (ნორადს) ეწვია, იგი აღტაცებაში მოიყვანა რადიოლოკატორების მუშაობამ, რომელნიც ზუსტად ადევნებდნენ თვალს ათასობით ობიექტს კოსმოსში (მათ შორის, როგორც შემდეგ იხსენებდა პრეზიდენტი, ამერიკელი კოსმონავტის ხელთათმანსაც კი). მაშინ რეიგანი შეეკითხა ნორადის იმდროინდელ სარდალს, გენერალ ჰილის — „რა შეიძლება მოიმოქმედოს ნორადმა უკვე კოსმოსში გასული საბჭოთა რაკეტების შესაჩერებლად?“ — „არაფერი“, უპასუხა გენერალმა. წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ ექსპერტს, ანდერსონს, სასწრაფოდ დაევალა შეედგინა ე. წ. სამახსოვრო ბარათი, სადაც ნათქვამი იქნებოდა, რომ კანდიდატი რეიგანი ამომრჩევლებს სთავაზობს საბჭოთა საკონტინენტთაშო-

რისო ბალისტიკური რაკეტებისაგან თავდაცვითი ფარის შექმნას, შესაძლოა ლაზერის სხივის გამოყენებით. ამგვარი სამახსოვრო ბარათის იდეას ბოლო მოუღო რეიგანის წინასაარჩევნო კამპანიის უფროსმა მრჩეველმა (შემდგომში თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელის მოადგილემ) დივერმა. დიეერი არასდროს ყოფილა „ვარსკვლავეთის ომების" მოწინააღმდეგე, უბრალოდ, წინასაარჩევნო კამპანიის ფრთხილი სტრატეგი შიშობდა, რომ ამომრჩევლები რადიკალურ „ქორად" ჩასთვლიდნენ კანდიდატს. რომელიც ტრადიციული ბირთვული დოქტრინის მკვეთრ შეცვლას მოითხოვდა.

საქმე ის გახლდათ, რომ ამერიკელთა (და არა მარტო ამერიკელთა) დიდი უმრავლესობა შეეგუა გარანტირებული ურთიერგანადგურების დოქტრინას, რომელიც მათ ბირთვული მშვიდობის მთავარ გარანტიად მიაჩნიათ. თეორიის არსი ხომ იმაში მდგომარეობს. რომ სწორედ საპასუხო დარტმის შიში უზრუნველყოფს შეკავებას, ე. ი. მშვიდობას. რეიგანს არასდროს მოსწონდა მშვიდობის ასეთი იდეა და ირონიულად მას „მექსიკურ ყაიმს" უწოდებდა (როდესაც ორი მოწინააღმდეგე ერთდროულად გამოჰკრავს თითს პისტოლეტის ჩახმახს).

1980 წლის არჩევნების უშუალოდ წინა პერიოდში, კოსმოსური ბაზირების იარაღის იდეით უკვე საფუძვლიანადაა დაკავებული სამხედრო-საჰაერო ძალების თადარიგის გენერალი, პენტაგონის დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი, რეიგანის მრჩეველი სამხედრო საკითხებში, გრემი. აი, რას ეუბნება იგი 1980 წლის ოქტომბერში ჟურნალ „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტის" კორესპონდენტს: „ჩვენ გვესაჭიროება ტექნიკური უპირატესობა. ე. ი. ლაპარაკია იმაზე, რომ სამხედრო პოტენციალი გაგვაჩნდეს რომელიმე სფეროში, სადაც რუსები ვერ გაგვიტოლდებიან... მაგალითად, კოსმოსური ბაზირების ელემენტებიან თავდაცვით სისტემაში".

1980 წლის არჩევნების შემდეგ გრემი ქმნის „მაღალ ზღუდეს" — ვაშინგტონში ბაზირებულ გონებრივ ტრესტს, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს კოსმოსური ბაზირების თავდაცვითი სისტემის შექმნას. ახლადარჩეული პრეზიდენტის „სამზარეულოს კა-

ბინეტის“ ოთხმა წევრმა იკისრა „მაღალი ზღუდის“ დაფინანსება. ესენია: 68 წლის ლუდის მაგნატი ჯოზეფ კურსი, 78 წლის ქაღალდის წარმოების მაგნატი ბენდეტსენი, 71 წლის ინვესტორი იულიამ უილსონი, და 80 წლის კვების პროდუქტთა წარმოების მაგნატი ჟაკლინ ჰიუმი. ყველა ესენი არა მარტო რეიგანის გავლენიანი მომხრე იყვნენ. არამედ ქვეყნის მთავარი კონსერვატიული კვლევითი ორგანიზაციის — სტანფორდის უნივერსიტეტთან არსებული ომის, რევოლუციისა და მშვიდობის ჰუვერის ინსტიტუტის დონორებათაც ითვლებოდნენ.

1981 წელს სწორედ ჰუვერის ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი პრეზიდენტის თანაშემწეს მეცნიერების დარგში კიუორტს ატყობინებს, რომ სურს თავისი ტექნიკური ცოდნა შესთავაზოს პრეზიდენტის მეგობრებს. ხსენებული მეცნიერი გახლდათ მსოფლიოში უკვე კარგად ცნობილი ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი, 77 წლის ედვარდ ტელერი. ყველაფერთან ერთად ტელერი კიუორტის მასწავლებელიც იყო და სწორედ მან „გაქაჩა“ იგი პრეზიდენტის თანაშემწის გავლენიან პოსტზე. ამიტომაც უწოდებს კიუორტი საჯაროდ ტელერს „ჩემს მამას“.

ისევე როგორც რეიგანს, ტელერსაც მოსვენებას უკარგავს საბჭოთა ბალისტიკური რაკეტები და მასაც შეცდომად მიაჩნია 1972 წლის ხელშეკრულება, რომელიც „ძიროს უთხრის ამერიკის უსაფრთხოებას“. ტელერს მიაჩნია, რომ გარანტირებული ურთიერთგანადგურების ძველი თეორია სისულელეა. იგი უკვე გაბანკროტდა მორალურად და სწრაფად ბანკროტდება ტექნიკურადაც.

1981—1983 წლებში. პრეზიდენტის ცნობილ რადიოგამოსვლამდე, ზემოხსენებული „სამზარეულოს კაბინეტის“ წევრების დახმარებით. ტელერი ოთხჯერ შეხვდა პრეზიდენტს.

ტელერი რენდგენული ლაზერის შექმნის წინადადებას აყენებს, რომელსაც კვების წყაროდ ბირთვული აფეთქების ენერგია ექნება. მოწყობილობა. რომელსაც თვითონ ტელერმა „ექსკალიბრი“ უწოდა, კოსმოსში. „დაიჭერს“ საბჭოთა რაკეტებს და მოსპობს მძლავრი რენდგენული სხივებით.

როგორც „ფილადელფია ინკუაიერი“ წერს. ტელერთან შეხვედრებით „დამუხტული“ პრეზიდენტი იოლად დაჰყვა ბენდეტსენის წინადადებას საჯარო გამოსვლით ემცნო ქვეყნისათვის „მან-

ჰეტენის პროექტის" მასშტაბის კვლევითი სამუშაოს შესახებ. შემდეგ პრეზიდენტი საკითხის არსს ზოგად ფორმებში აცნობს შტაბების უფროსთა კომიტეტს და ასევე ზოგად რეკომენდაციებს მოითხოვს მათგან. მოგვიანებით ჟურნალისტებთან საუბარში კომიტეტის ზოგიერთი იმდროინდელი წევრი იგონებდა, რომ ზერთული ტექნოლოგიის გამოყენებით, სტრატეგიული თავდაცვითი სისტემის შექმნის იდეით. ყველაზე ძლიერ ადმირალი უოტკინსი იყო გატაცებული: მას მტკიცედ სწამდა. რომ დადგა დრო, როდესაც ამერიკამ სამხედრო მიზნებით უნდე გამოიყენოს მისი ,ტექნიკური უპირატესობა. საინტერესოა. რომ მორწმუნე კათოლიკი უოტკინსი იმ პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბირთვულ ეთიკაზე გამართულ საეკლესიო დებატებში. სწორედ მას ეკუთვნის ფრაზა, რომელსაც შემდგომში არაერთხელ გაიმეორებს პრეზიდენტი — „განა უკეთესი არ არის სიცოცხლეთა შენარჩუნება. ვიდრე შურისძიება?" მხოლოდ დამთხვევაა, რომ იმ პერიოდში ადმირალი უოტკინსი სისტემატურად ხვდებოდა ფიზიკოს ტელერს?

პრეზიდენტი რეიგანი სხვა კონტექსტში იხსენებს „ინიციატივის" დაბადებას: მისი ვერსიით იდეას მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როდესაც შტაბების უფროსთა კომიტეტთან ერთ-ერთ შეხვედრაზე მან დამსწრეთ შეახსენა, რომ ბირთვული იარაღი პირველი იარაღია კაცობრიობის ისტორიაში. რომლის შექმნას არ მოჰყვა მისგან თავდაცვის საშუალებათა შექმნა. პრეზიდენტი დამსწრეთ შეეკითხა — შესაძლებელია თუ არა ბირთვული იარაღისაგან რაიმე სახის თავდაცვის შექმნა? მან დადებითი პასუხი მიიღო და პროგრამაც ასე დაიბადა.

რატომ მაინცდამაინც 1983 წლის ზაფხული შეარჩია პრეზიდენტმა თავისი სენსაციური „ინიციატივის" გამოსაქვეყნებლად? ამ რიტორიკულ კითხვაზე შეიძლება მეტ-ნაკლებად სრული პასუხი მოგვცეს იმდროინდელმა ქრონიკებმა; ქვეყანაში ცხარე დისპუტები გაჩაღდა რაკეტა „მექსის" ბედზე. ასევე გაურკვეველი იყო „პერშინგ-2"-ისა და ფრთოსანი რაკეტების საკითხი — ამერიკელი კათოლიკე ეპისკოპოსები, რომელთაც ამორალურად გამოაცხადეს ბირთვული იარაღი. იმუქრებოდნენ. რომ ნამდვილ ჯვაროსნულ ლაშქრობად აქცევდნენ ანტიბირთვულ მოძრაობას, და რაც ყვე-

ლაზე საშიში იყო, კონგრესი მზად იყო ორჯერ შეემცირებინა პენტაგონის ბიუჯეტი. გარდა ამისა, ჰორიზონტზე ნათლად გამოიკვეთა ბირთვული იარაღის გაყინვის პოპულარული რეზოლუცია.

ასეთ ვითარებაში, 1983 წლის რვა მარტს, პრეზიდენტი ერცელი სიტყვით გამოდის ფლორიდის შტატში, ქალაქ ორლანდოში. სწორედ ორლანდოში უწოდა პრეზიდენტმა ჩვენს ქვეყანას პირველად „ბოროტების იმპერია“. ორლანდოში გამოსვლის შემდეგ ახალ ინსტრუქციებს ღებულობენ „ვარსკვლავეთის ომების“ კონცეფციაზე მომუშავე სპეციალისტები; მათ უნდა შეედგინათ 23 მარტისათვის დაგეგმილი პრეზიდენტის სიტყვის ბოლო ხუთი წუთის ტექსტი. სწორედ ეს დასკვნითი ნაწილი უნდა დახმარებოდა ადმინისტრაციას პენტაგონის ბიუჯეტის ათპროცენტიან ზრდაში.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ზემოხსენებული სპეციალისტები აბსოლუტური საიდუმლოების პირობებში მუშაობდნენ. გამორიცხული იყო ყოველგვარი კონტაქტი სიტყვის ძირითადი ნაწილის ავტორებთან, მათ შორის პენტაგონის სპეციალისტებთანაც კი. ბუნებრივია, რომ ტექსტის მთავარი, დასკვნითი ნაწილის შედგენაში არცერთი მეცნიერი არ ღებულობდა მონაწილეობას, ვინაიდან ჯერ კიდევ 1983 წლის იანვარში თეთრი სახლის სამეცნიერო საბჭოს სპეციალისტთა კომისიამ კიუორტს წარუდგინა სავსებით საიდუმლო მოხსენება პრინციპულად ახალი იარაღის ტექნოლოგიის თაობაზე. მოხსენებაში ყველაზე პერსპექტიულ მომენტად აღიარებული იყო ტელერის მიერ შემოთავაზებული რენტგენული ლაზერი, მაგრამ ისიც კი დახასიათებული იყო როგორც ძალზედ პრობლემური და მაინც, მიუხედავად ასეთი ზესაიდუმლო ვითარებისა, ზოგიერთი დეტალი მაინც გახმაურდა; კერძოდ, გაზეთები წერდნენ, რომ პერლმა მაინც შეძლო სტრატეგიული თავდაცვის სპექტრი მხოლოდ მოწინააღმდეგის რაკეტებისაგან თავდაცვით შემოეფარგლა. სიტყვის პირველი ვარიანტი კი გულისხმობდა ბომბდამშენებსაც და ფრთოსან რაკეტებსაც. უკანასკნელი გარემოება კი ძალზედ გაართულებდა კონცეფციას. თუმცა მისი უძლურება მტრის ბომბდამშენებისა და ფრთოსანი რაკეტების წინაშე. ხშირად გამოიყენება რეიგანის მთავარი არგუმენ-

ტის წინააღმდეგ, რომ სტრატეგიული თავდაცვა მოძველებულსა და უძლურს გახდის ბირთვულ იარაღს.

საბოლოო სახითაც კი „ინიციატივა" ძალზედ „პროვოკაციულად" მიაჩნდა შულცს. იგი შიშობდა, რომ ასეთი სიტყვა საბჭოთა კავშირის „დაუყოვნებელ რეაქციას" გამოიწვევდა, ვინაიდან უკანასკნელი ჩათვლიდა, რომ ამერიკა შეძლებდა პირველი დარტყმით მოესპო მისი რაკეტების უმრავლესობა, ხოლო სტრატეგიული თავდაცვით შეუიღლებელს გახდიდა საპასუხო დარტყმას. სწორედ ასეთი არგუმენტის „გასანეიტრალებლად" განაცხადა პრეზიდენტმა: „მე ნათლად მესმის, რომ თავდაცვითი სისტემები შეზღუდულია და გარკვეულ გაუგებრობას ბადებს. ხოლო თუ მათ გავაერთიანეთ შეტევით სისტემასთან, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იგი ხელს უწყობს აგრესიულ პოლიტიკას, ეს კი არავის არ სურს".

პერლს კი უფრო მოკავშირეთა რეაქცია აწუხებდა; იგი კარგად იცოდა ტექსტის ერთ-ერთ ძირითად ხარვეზს — მის ავტორებს მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ დასავლეთ ევროპამდე მხოლოდ 6 წუთი ესაჭიროებათ საბჭოთა რაკეტებს და ეს კი სულ სხვა კუთხით აყენებს სტრატეგიული თავდაცვის საკითხს დასავლეთ ევროპელთათვის. ბოლო მომენტში, პერლის არგუმენტის გათვალისწინებით, პრეზიდენტის სიტყვაში შეიტანეს დასავლეთ ევროპელთა „დამამშვიდებელი" პასაჟი — „დღეს საღამოს, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისა და მოკავშირეებთან უფრო მჭიდრო კონსულტაციების აუცილებლობის გათვალისწინებით, მე პირველმნიშვნელოვან ნაბიჯს ვდგამ". ცოტა ქვემოთ პრეზიდენტი თვითონ ხსნიდა, თუ რას წარმოადგენდა ეს „პირველი ნაბიჯი": „სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ხანგრძლივი პროგრამის განსაზღვრის ყოვლისმომცველი და ენერგიული ცდა, რათა მივაღწიოთ სტრატეგიული ბირთვული რაკეტების საფრთხის ლიკვიდაციის საბოლოო მიზანს". ფორმულირების აშკარა ბუნდოვნება ზუსტად ასახავდა მრჩეველთა და სიტყვის ავტორთა შორის არსებულ არაერთსულოვნებას. სიტყვაში აგრეთვე აისახა შტაბების უფროსთა კომიტეტის შეშფოთება, რომ „ინიციატივა" გაართულებდა ახალი შეტევითი ბირთვული და ჩვეულებრივი ია-

რაღის შეძენის გეგმების რეალიზაციას. სწორედ ამ შეშფოთების რეზულტატი იყო თეთრი სახლის განმარტება, რომელიც პრეზიდენტის სიტყვას მოჰყვა მეორე დღეს. განმარტებაში აღნიშნული იყო, რომ „ინიციატივა" უკვე მიმდინარე კვლევით პროგრამათა კონსოლიდაციაა და არა ახალი „მანჰეტენი", რომ 1983 და 1984 წლებში არავითარი დამატებითი სახსრები არ იყო გათვალისწინებული.

ადმინისტრაციის ოფიციალურ პირთაგან მხოლოდ უაინბერგერმა დაუჭირა მხარი „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამას უყოყმანოდ და პირველსავე წუთებიდან. მოგვიანებით არც უაინბერგერს ასცდა უსიამოვნო განცდები — როდესაც 1984 წლის დამლევს იგი დელოერთან ერთად კონგრესში მიდიოდა „ინიციატივის" დასაცავად. სხვათაშორის შეეკითხა დილოერს რენტგენულ ლაზერზე — „ეს ხომ ბომბი არ არის?" „მე იძულებული ვიყავი მისთვის ამეხსნა, რომ სწორედ ამ გზით შეიძლება რენტგენის სხივების მიღება, — განუცხადა დელოერმა. — ჩვენ მოგვიწევს ბირთვული ბომბი ავაფეთქოთ კოსმოსში", როგორც დილოერი იგონებს, პენტაგონის შეფი ნირწამხდარი იყო, იგი აშკარად არ ელოდა ასეთ პასუხს, თუმცა უკვე აღარაფერს შეეძლო მისი პოზიციის შეცვლა. ამიტომაც გვევლინება დღეს უაინბერგერი „ვარსკვლავეთის ომების" ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ აპოლოგეტად.

ყოველთვის, როდესაც კი საკითხი ეხება ახალი იარაღის, მით უმეტეს ისეთის შექმნას, რომელსაც შეიძლება საბედისწერო შედეგები მოჰყვეს მთელი კაცობრიობისათვის, განხილვისა და დებატების თემად იქცევა ხოლმე მისი სიმძლავრე, ღირებულება, პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობის მომენტები და სხვა მრავალი ასპექტი. რაც შეეხება უშუალოდ იმ მეცნიერ-სპეციალისტებს, რომელთა გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა და იქნება ნებისმიერი პროგრესი შეიარაღების სფეროში, მათ ეთიკურ-ზნეობრივ მოვალეობას, იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც მათ ეკისრებათ როგორც საკუთარი ოჯახის, ასევე მთელი კაცობრიობის წინაშე, ყოველივე ამაზე რატომღაც ჯერ კიდევ ნაკლებად იწერება და ითქმება. მაინც ვინ არიან ეს მეცნიერები, როგორია მათი პოლიტიკური მრწამსი? ერთ-ერთ ასეთ კოლექტივზე, კერძოდ ლივერმორის ცნობილი ლაბორატორიის თანა-

მშრომლებზე (სწორედ აქ მიმდინარეობს ყველაზე ინტენსიურად „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები), გამოქვეყნებულ წერილში, ამავე ლაბორატორიის ყოფილი მეცნიერი, დოქტორი დე ვითი წერს, რომ ისინი შორს დგანან პოლიტიკური და სოციალური სინამდვილისაგან. მათი ცხოვრების სტილს განსაზღვრავს მაღალი ხელფასები, მტკიცე ოჯახური დამოკიდებულებები, ურბანისტული ცენტრებისაგან მოშორებით პატარა ქალაქებში ცხოვრება, აქტიური მონაწილეობა ადგილობრივი კომუნების საქმეებში. დე ვითის აზრით, ისინი პატიოსანი, წესიერი ხალხია, მაგრამ ნამდვილად ვერ ერკვევიან ბირთვული იარაღის გამოყენებასა და თავდაცვით იდეოლოგიაში. მათი სამუშაოები წმინდა ტექნიკურია და უშუალოდ ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა აინტერესებთ. ისინი მხოლოდ სამუშაოთი არიან დაკავშირებული ბირთვული ომის შედეგებთან.

არსებობს აზრი, რომ ლაბორატორიის თანამშრომლები ექსპერტები არიან, რადგან მათ იციან როგორ შექმნან ბირთვული იარაღი, თითქოს პოლიტიკაშიც ერკვევიან, სწამთ რომ იციან, თუ როგორ მოატყუებს საბჭოეთი მათ სამშობლოს ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვასთან დაკავშირებით, თუკი იარსებებს ამგვარი შეთანხმება, ისინი რეკომენდაციებს უგზავნიან კონგრესს და შედეგსაც ღებულობენ. ამავე დროს ძალზედ შეზღუდულია მათი მსოფლმხედველობა; ჩვეულებრივ მათ აღელვებთ წმინდა ტექნიკური და არა ადამიანური, სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემები. დე ვითის აზრით, ორი გარემოება განსაზღვრავს ამ კატეგორიის მეცნიერთა მაღალ პოლიტიკურ წონას: ჯერ ერთი ის, რომ როგორც დე ვითი ამბობს, „ფიზიკის დოქტორობას რაღაც ჯადო აქვს“. ისინი არიან ადამიანები, რომელნიც ქმნიან ზესაიდუმლო და ურთულეს იარაღს, რაც ყოვლად გაუგებარია ჩვეულებრივი ადამიანისათვის. ესაა ხალხი, რომლებმაც იციან, თუ როგორ შექმნან უდიდესი დამანგრეველი ძალის იარაღი და თვით კონგრესის წევრებიც დიდი პატივისცემითა და აღფრთოვანებით უცქერენ მათ. ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე ისაა, რომ იარაღის ლაბორატორიებს საკმაოდ დიდი ავტონომია გააჩნიათ. მათ იშვიათად ამოწმებენ. ამავე დროს მათ აქვთ უფლება გზა გაუკაფონ

თავის ნაწარმს და აქტიურად დაამუშაონ იარაღის ახალი სისტემები. ასე გაუკაფეს გზა მეცნიერებმა ნეიტრონის ყუმბარას.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერთა დიდ ნაწილს იტაცებს დამოუკიდებელი და კარგად დაფინანსებული კვლევის პერსპექტივა, რისი უზრუნველყოფაც მეტწილად სამხედრო უწყებებს შეუძლიათ. „იარაღზე შეხედულება შეიცვალა. 80-იან წლებამდე არ მსურდა რაიმე საერთო მქონოდა ბირთვულ იარაღთან. იმ დროს ვფიქრობდი, რომ ეს ბოროტება იყო. ახლა ეს ფიზიკის ერთ-ერთ საინტერესო პრობლემად მიმაჩნია", — ეს სიტყვები ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საქვეყნოდ ცნობილ ფიზიკოსს. პიტერ ჰაგელსტანს ეკუთვნის, რომლის შრომებმაც რენტგენულ ლაზერებზე, ამერიკის პრესის მტკიცებით, გადატრიალება მოახდინა ბირთვულ სტრატეგიაში.

ფაქტია, რომ უკანასკნელ წლებში მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში—მეცნიერების, ექიმების, იურისტების, სხვა მრავალი პროფესიის ადამიანთა, რომელთაც სწორად ესმით ბირთვული საფრთხე და ძალონეს არ ზოგავენ, რათა ფართო საზოგადოებრიობას სრული და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ ბირთვულ საფრთხესთან დაკავშირებულ ყოველ საკითხზე. ისიც ფაქტია, რომ ასეთმა ორგანიზაციებმა უკვე ბევრის გაკეთება შესძლეს, მაგრამ საბოლოო შედეგზე ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი. ჯერ კიდევ სასურველზე გაცილებით დიდია იმ მეცნიერთა რიცხვი, რომელნიც ენთუზიაზმით იღვწიან მომავალი იარაღის შესაქმნელად. ჯერ კიდევ დიდი აუდიტორია გააჩნია იგივე ტელერს, ჯერ კიდევ ბევრი ამერიკელი (და არა მარტო ამერიკელი) ბიბლიურ ჭეშმარიტებად მიიჩნევს მის „არგუმენტებს". მაინც რა „არგუმენტებს" იშველიებს წყალბადის ბომბის „მამა" „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამის დასაცავად? „თავდაცვითი საშუალებები უნდა იქმნებოდეს არა მარტო ტექნიკური უპირატესობის, არამედ ეკონომიკური რენტაბელობის გათვალისწინებითაც. უაზრობაა თავდაცვა, თუ მის მოსასპობად შესაძლებელია თავდასხმის პოტენციალის ორჯერ გაძლიერება"[2]. — აცხადებს იგი და ამაში ალბათ არის აზრი. მაშ,

---

[2] Литературная газета, 1986. № 15, გვ. 14.

რატომ გამორიცხავს ტელერი სიტუაციას, როდესაც საბჭოთა კავშირი გაცილებით ნაკლები ხარჯებით (ვინაიდან ტექნოლოგია უკვე დამუშავებულია) საგრძნობლად გაზრდიდა თავისი ბალისტიკური რაკეტების რაოდენობას და ამით კიდევ უფრო არასაიმედოდ აქცევდა ამერიკის კოსმოსურ „ფარს“?

ტელერი, ისევე როგორც მის კოლეგათა დიდი უმრავლესობა, თაყვანს სცემს კომპიუტერის კულტს — „არსებობს სფერო, სადაც შეერთებულ შტატებს ბუნებრივი უპირატესობა აქვს. ესაა კომპიუტერები. კომპიუტერებს შეუძლია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს თავდაცვით სისტემაში, როდესაც მოწინააღმდეგის რაკეტების რაოდენობა რამდენიმე ათასს მიაღწევს“[3] — აცხადებს იგი და მართლაც, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ერაში ვერავინ უარყოფს ტექნიკის ამ საოცრების როლსა და მნიშვნელობას. ამავე დროს რამდენად გამართლებულია კომპიუტერთა ფეტიშიზირება და მათზე ბრმად მინდობა ისეთ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საკითხში, როგორიც არის ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება ან მისი პროვოცირება, რაც შეიძლება მოჰყვეს კომპიუტერის იშვიათ, მაგრამ მაინც დასაშვებ შეცდომას? ვინაიდან ითვლება, რომ ამერიკელი მეცნიერები სხვებზე კომპეტენტურნი არიან ამ სფეროში, ვენდოთ მათ აზრს; 1986 წლის მარტში, კალიფორნიაში კომპიუტერული ტექნიკის საკითხებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის 61 მონაწილიდან 36-მა მოაწერა ხელი განცხადებას, სადაც ვკითხულობთ — „ამერიკელი ხალხის სიცოცხლისა და ქონების ეფექტური დაცვა ბირთვული განადგურებისაგან, რასაც ითვალისწინებს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, მოითხოვს უპრეცედენტო სირთულის განსაკუთრებით საიმედო კომპიუტერულ სისტემას. როგორც გამოთვლით მანქანათა სპეციალისტებს, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ სისტემის შექმნა, რომელიც ამ მოთხოვნებს უპასუხებს, ტექნიკურად შეუძლებელია“[4].

საერთოდ ცნობილია, რომ მათემატიკურ უზრუნველყოფას განსაკუთრებული ადგილი უკავია პენტაგონის სამხედრო გეგმებში.

---

[3] Литературная газета, 1986, № 15, стр. 14.

[4] Новое время. 1987, № 9. стр. 18.

ამერიკული წყაროების მონაცემებით. ყველა სახეობის ახალი იარაღის 80 პროცენტი სწორედ ამაზეა დამოკიდებული. მარტო ერთ — 1984 წელს სამხედრო დანიშნულების კომპიუტერულ სისტემებზე 11 მილიარდი დოლარი დაიხარჯა, აქედან 8,5 მილიარდი — პროგრამულ უზრუნველყოფაზე. 1985 წელს კი მხოლოდ პროგრამულმა უზრუნველყოფამ შთანთქა 11 მილიარდი დოლარი. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ელექტრონული მრეწველობის ასოციაცია ვარაუდობს, 1990 წლისათვის ეს თანხა უკვე გაორკეცდება. მეორე მხრივ, სწორედ „ინიციატივის" პროგრამული უზრუნველყოფა ზრდის შემთხვევითი ბირთვული ომის საფრთხეს.

ტელერი კატეგორიული წინააღმდეგია გარანტირებული ურთიერთგანადგურების თეორიის, იგი შეცდომად მიიჩნევს იმ გარემოებასაც. რომ 50-იანი წლებიდან ამერიკა უარს ამბობს თავდაცვით სისტემათა შექმნაზე და კურსს იღებს ე. წ. შეკავების თეორიაზე — საპასუხო დარტყმის შიშით პოტენციური აგრესორი ომს ვერ დაიწყებს. დღეს სხვადასხვა აზრი არსებობს შეკავების თეორიის ავ-კარგზე. ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ ასეთ ხანგრძლივ მშვიდობიან პერიოდს. რამდენად მიზანშეწონილი იქნება დღეს, რომ კაცობრიობამ აღიაროს ტრადიციული ბირთვული შეკავების სტრატეგიის უაზრობა და კოსმოსური შეკავების იდეა მოიწონოს?

როგორც მოსალოდნელი იყო, რეიგანის „ინიციატივის" ირგვლივ კამათმა განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო უმაღლეს დონეზე რეიკიავიკის შეხვედრის შემდეგ. თუ რეიკიავიკამდე, ძირითადათ, ზოგად, თეორიულ ასპექტში განიხილებოდა კოსმოსის მილიტარიზაციის მოსალოდნელი შედეგები, შეხვედრის შემდეგ უკვე დილეტანტისათვისაც კი ცხადი შეიქნა, რომ სწორედ პრეზიდენტის „ინიციატივაა" მთავარი და ყველაზე ძნელად დასაძლევი ზღუდე შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში.

სპეციალისტები კვლავ დაუბრუნდნენ „ვარსკვლავეთის ომების" მომხრეთა „არგუმენტების" კრიტიკულ შესწავლას და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს მისი მეცნიერული უსუსურობა. როგორც 1986 წლის დეკემბერში „მონდ დიპლომატიკში" წერდა პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი ფილიპ ანდერსენი (ამ წელს მან ნო-

ბელის პრემია მიიღო ფიზიკის დარგში), ასეთი „არგუმენტები“ დაფუძნებულია იმედებსა და ემოციებზე.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ რაც დრო გადის, მით უფრო რეალურ ფორმებს ღებულობს „ინიციატივის“ კიდევ ერთი საფრთხე — საბოლოო ჯამში იგი ძირს გამოუთხრის 1972 წლის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საწინააღმდეგო ხელშეკრულებას. ახლა, როდესაც უკანასკნელი უკვე ისტორიის საკუთრებად იქცა. შესაძლებელია დროის გადასახედიდან, ემოციებისა და ვნებათა ღელვის გარეშე, მის მნიშვნელობაზე მშვიდი საუბარი: რატომ ჩათვალეს 70-იანი წლების დასაწყისში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა უსარგებლოდ და სახიფათოდაც კი? იგივე ანდერსენის აზრით, სამმა ფაქტორმა შეუწყო ამას ხელი; პირველი — პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს ავტორიტეტული სპეციალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იდეალურ პირობებშიც კი ვერ იმუშავებს სისტემა სრული ეფექტით. მეორე — ომის შემთხვევაში იგი მხარეებს ჩააყენებდა კოვბოის მდგომარეობაში, რომელმაც პისტოლეტი მოიმარჯვა. მაგრამ დარწმუნებული არ არის, რომ იგი გატენილია. მესამე — ყოველი თავდაცვითი სისტემა, როგორც წესი, ათჯერ ძვირი ჯდება იმ შეტევით სისტემასთან შედარებით, რომლის წინააღმდეგაც იგი იქმნება.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მეორე მხარე (რომელმაც ხელი აიღო თავდაცვითი სისტემის შექმნის ცდაზე) დაინტერესებულია მანამდის ზარდოს თავისი შეტევითი არსენალი, სანამ მოწინააღმდეგე ბოლომდის არ ამოწურავს თავის სახსრებს და დამარცხებულად არ აღიარებს თავს. საბოლოო ჯამში, ყოველივე ამის პირდაპირი შედეგი იქნება სამხედრო არსენალების ზრდა და, ბუნებრივია, კიდევ უფრო საშიში სიტუაციის შექმნა თავდაცვის თვალსაზრისით ყოველგვარი პროგრესის გარეშე.

რეიკიავიკის შემდეგ სპეციალისტებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზეც, რომ პრეზიდენტის 1983 წლის მარტის სიტყვას წინ არ უსწრებდა პრობლემის სერიოზული მეცნიერული ანალიზი. უფრო მეტიც, უარყოფითი შედეგებით დამთავრდა პენტაგონის ყველა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის გამოკვლევები.

უკანასკნელ პერიოდში სპეციალისტები რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) ურთულეს

პრობლემად განიხილავენ მის მასას: საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოსმოსში გასაყვანი თავდაცვითი სისტემის მასა უნდა უტოლდებოდეს შეტევითი სისტემის მასას. ამავე დროს იგი გაცილებით რთულიც უნდა იყოს, ეს კი მას უფრო არასაიმედოს გახდის. მთავარი მაინც ის არის, რომ სისტემის საკვანძო კომპონენტები მუდმივად უნდა იმყოფებოდეს კოსმოსში, რაც მოწინააღმდეგეს კოსმოსური ნაღმებით მისი მოსპობის ცდუნებას შეუქმნის. ყველაფერი ერთად აღებული კი ქმნის შემთხვევით დაწყებული ბირთვული ომის ყველაზე საშიშ მექანიზმს.

რათა „ვარსკვლავეთის ომების" მომხრეთა იმედგაცრუება არ გამოიწვიონ, დროდადრო პენტაგონი, ადმინისტრაციის ცალკეული წარმომადგენლები და პროექტით დაკავებული მეცნიერები ფართო საზოგადოებრიობას ამცნობენ „მორიგ ბრწყინვალე მიღწევებზე" კოსმოსური ტექნოლოგიის (რასაკვირველია სამხედრო დანიშნულების) სფეროში. 1987 წლის გაზაფხულზე, პროექტის დირექტორმა, გენერალმა აბრაჰამსონმა, ისიც კი განაცხადა, რომ შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბაო. მას ნახეველობაში ჰქონდა გამოკვლევები ლაზერის სფეროში. ფაქტია, რომ უკანასკნელ წლებში სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს ლაზერის კვლევის დარგში, მაგრამ არა მარტო ჩვენთვის, არამედ მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთათვისაც კი ძნელად წარმოსადგენია გადამწყვეტი მიღწევები იგივე რენტგენული ლაზერის სფეროში, კოსმოსში წყალბადის ბომბების საცდელი აფეთქებების გარეშე. უკანასკნელი კი, გარდა იმისა, რომ გარემო სფეროს საშინელ დაბუჭყიანებას გამოიწვევს, ვაშინგტონის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებათა ცინიკური და საჯარო დარღვევა იქნება, რაც თვით უაინბერგერსაც კი ეხამუშებოდა.

ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასასრულს ცნობილი ინგლისელი მეცნიერი და მწერალი არტურ კლარკი წერდა: „მომავალი იარაღისაგან თავდაცვის ერთადერთი საშუალებაა საერთოდ არ დაეუშვათ მისი გამოყენება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს სამხედრო კი არა, პოლიტიკური პრობლემაა. არ შეუძლიათ შეიარაღებულ ძალებს დაიცვან ცალკეული ქვეყნები; საუკეთესო შემთხვევაში მათ შეიძლება აგრესორი გაანადგურონ". ეს ჭეშმარიტება დღეს

კიდევ უფრო თვალნათლივია; ერთადერთი გამოსავალი ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციაა. რათა კოსმოსური და მიწიური „ფარები" აღარავის არ სჭირდებოდეს. ამიტომაც არის, რომ, როგორც სამართლიანად აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეებისადმი თავის მისასალმებელ სიტყვაში, „საბჭოთა კავშირი, რომელიც ახალი აზროვნებით ხელმძღვანელობს. თავის საგარეო პოლიტიკას ისე წარმართავს, რომ შეაჩეროს გამალებული შეიარაღება, აღკვეთოს ბირთვული საფრთხე და გააჯანსაღოს ვითარება".

ნანა ჯედია

ვაშინგტონი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების კონსერვატიული წრეების მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) წინააღმდეგ წამოწყებულმა კომპანიამ თავის კულმინაციას მიაღწია 80-იანი წლების შუახანებში.

„მსოფლიო ბევრად უკეთესი იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეშე" — „ჰერიტიჯ ფაუნდიშნის" ამერიკელ ულტრაკონსერვატორთა „გონებრივი ტრესტის" ეს ფრთოსანი თეზისი სრულად ასახავს ოფიციალური ვაშინგტონის არაოფიციალურ პოზიციასაც. სწორედ „ჰერიტიჯ ფაუნდიშნის" წვლილითაა განპირობებული ისიც, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ დატოვა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიცაა გაერო-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (გაერგანმეკო), 1983 წელს. გაერგანმეკოზე დაწყებული თავდასხმები გაერო-ს წინააღმდეგ ფართოდ გაშლილი კამპანიის მხოლოდ დასაწყისი იყო. როგორც „ფორინ პოლისის" მთავარი რედაქტორი ჩარლზ მეინსი წერდა, „მათ მიზანში ყველაზე სუსტი, ყველაზე პატარა ორგანიზაცია „გაერგანმეკო" ამოიღეს. ეს კი იგივე კუნძული გრენადაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში".

გაერო-ს მოღვაწეობა, თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, ძირითადად საერთაშორისო პოლიტიკის ორი მიმართულების დაძაბული ორთაბრძოლით განისაზღვრება. აქედან გამომდინარეობს ორი პრინციპულად განსხვავებული მიდგომა ამ ორგანიზაციისადმი, მისი დანიშნულებისა და ყოველდღიური საქმიანობისადმი.

წესდებაში ხორცშესხმული სახელმწიფოთა საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფის ერთობლივი მოქმედების იდეა, რომელიც რაკეტულ-ბირთვული საუკუნის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, მთლიანად შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპებს. ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინს ეკუთვნოდა სახელმწიფოთა მსოფლიო სტრუქტურაში საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის იდეა. რომლის ფუძემდებელი პოსტულატი იქნებოდა თანასწორუფლებიანობა, მიუხედავად სოციალური და პოლიტიკური ორიენტაციისა, გეოგრაფიული სიდიდისა.

გაერო-ს წესდებაში, რომელიც ძალაში შევიდა 1945 წ. 24 ოქტომბერს, საერთაშორისო სამართლის ენით ჩამოყალიბებულია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კონცეფცია. მისი მნიშვნელოვანი ელემენტია იდეოლოგიური ბრძოლა, რომელიც თანამედროვე ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობის, განსაკუთრებით კი, სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობის განუყოფელი ნაწილი გახდა. ჭეშმარიტ მშვიდობიან თანაარსებობას კაპიტალისტური სახელმწიფო მოღვაწენი უპირისპირებენ „მშვიდობიანი თანაარსებობის დასავლურ ფორმას“ — იდეოლოგიურ თანაარსებობას. ამ კონცეფციას საფუძვლად უდევს სუბიექტივისტურ-იდეალისტური წარმოდგენა, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა განისაზღვრება არა სოციალურ-ისტორიული კანონზომიერებით, არამედ ცალკეული მთავრობებისა და მოღვაწეების კეთილი თუ ბოროტი ნებით. ამიტომ მშვიდობიანი თანაარსებობის „იდეოლოგიური“ კონცეფციები წარმოდგენილია როგორც იდეოლოგიური ბრძოლის შეწყვეტის შესახებ „საყოველთაო შეთანხმების“ შედეგი. სოციალისტური ქვეყნებისადმი წამოყენებულ მოთხოვნას. შეწყვიტონ იდეოლოგიური ბრძოლა. „როგორც მშვიდობიანი თანაარსებობის პირობა“, გარკვეული პოლიტიკური სარჩული უდევს — მიაღწიონ კომუნიზმის იდეურ განიარაღებას და ბოლო მოუღონ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ კონცეფციას. გაეროს-ს მთელ სისტემას ახასიათებს ერთი საერთო ნიშანი — სახელმწიფოთაშორისობა, რაც მასში წარმოდგენილ სახელმწიფოთა იდეოლოგიურ განსხვავებაში მდგომარეობს. უკანასკნელი გარემოება გამორიცხავს ბრალდებას მათი მხრიდან, ვინც თავიანთ იდეოლოგიურ აქციებს გაერო-ს წინააღ-

მდეგ ნიღბავს „სპეციალიზირებულ დაწესებულებათა პოლიტიზაციის“ საბაბით.

კლასობრივ-სოციალური პრობლემების კავშირი ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთან, ორ სისტემას შორის არსებული წინააღმდეგობის გადახლართვა ეკოლოგიურ პრობლემებსა და სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობებთან, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციიდან გამომდინარე შესაძლებლობების შერწყმა მის მიერ შექმნილ საშიშროებასთან — ყველაფერი ეს არ შეიძლება არ აისახოს გაერო-ს საქმიანობაში საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე ეტაპზე. ეს ის ეპოქაა, სადაც გარდამავალი ხასიათის შესაბამისად ხდება სხვადასხვა იდეოლოგიების, სხვადასხვა პრინციპების, სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური კურსის დაპირისპირება.

იმპერიალისტური ქვეყნები იძულებულნი გახდნენ საჯაროდ ელიარებინათ ეს ობიექტური აუცილებლობა გაერო-ს წესდებაში. „ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხებმა მტკიცედ გადავწყვიტეთ გამოვიჩინოთ შემწყნარებლობა და ვიცხოვროთ ერთად, ეოთმანეთთან მშვიდობიანად, როგორც კეთილმა მეზობლებმა“ — ნათქვამია ორგანიზაციის წესდების პრეამბულაში.

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტში მშვიდობიანი თანაარსებობის დეკლარაცია გაერო-ს წესდების შემდგომ განვითარებად იქცა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ „მწვავე წინააღმდეგობით აღსავსე მსოფლიოში, კარსმომდგარი კატასტროფის წინაშე არის ერთადერთი გონივრული, ერთადერთი მისაღები გამოსავალი — სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ არ იყოს ომები. ეს არის ისეთი საერთაშორისო წყობა, რომლის დროსაც იქნება არა სამხედრო ძალის, არამედ კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის სუფევა, მოხდება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა. კულტურის ღირებულებათა ფართო გაზიარება ყველა ხალხის სასიკეთოდ..... მშვიდობიანი თანაარსებობა ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება“.

ამრიგად, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიკური სისტემების განსხვავებისა, დღეს არა მარტო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური მოთხოვნაა, არამედ თანამედროვე საერთაშორისო სიმართლის საყოველთაოდ აღიარებულ ქვაკუთხედად უნდა იქცეს.

გაერო-ს შექმნა ანტიჰიტლერული კოალიციის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პოლიტიკური აქცია იყო. ამავე დროს გზა სან-ფრანცისკომდე იოლი არ ყოფილა. აშშ-ის მმართველი წრეების სურვილითა და რწმენით, მათ ქვეყანას შეუზღუდველი ერთპიროვნული მოქმედების შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა ომისშემდგომ მსოფლიოში. ამ რწმენას ემყარებოდა მათი ჰეგემონისტური გეგმები. ომმა კიდევ უფრო გაამდიდრა აშშ და ამავე დროს როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად დააუძლურა მისი ტრადიციული კონკურენტები, სსრ კავშირს, რომელშაც საკუთარ თავზე გადაიტანა ფაშიზმთან ბრძოლის მთავარი ტვირთი, გარკვეული დრო სჭირდებოდა სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ამერიკელი ისტორიკოსი გ. კოლტი გაერო-ში ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელი გეგმების შესახებ წერდა: „ამერიკის შეერთებული შტატები გაერო-ს განიხილავდნენ, როგორც თავისი პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტს ევროპასა და აზიაში, როგორც საკუთარი კონტროლის შენარჩუნებისა და გაძლიერების საშუალებას დასავლეთ ნახევარსფეროში“. ვაშინგტონმა შეძლო საერთაშორისო ურთიერთობათა თვისებრივად ახალი სისტემის შექმნა დასავლეთში, რომელსაც საფუძვლად ედო სიმძიმის ცენტრის გადაწევა ოკეანის მიღმა. ის ითვალისწინებდა ამერიკული კაპიტალისათვის გლობალური ექსპანსიის განხორციელების ოპტიმალური გზების უზრუნველყოფას. მეორე მხრივ, ვაშინგტონელი სტრატეგების ანგარიშით, ახალ ფინანსურ-ეკონომიკურ სტრუქტურას უნდა უზრუნველეყო არა მარტო კაპიტალისტური სისტემის შენარჩუნება, არამედ იგი უნდა გამხდარიყო მთელი სოციალისტური ბანაკის საწინააღმდეგო იარაღი. ამერიკის იმპერიალიზმის ამ ამოცანების გადაწყვეტა უნდა დაკისრებოდა გაერო-ს.

განაგებდა რა იმდროინდელ ორგანიზაციაში დასავლეთის სა-

ხელმწიფოებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას. აშშ-მა ჩაფოყალიბა კენჭისყრის მანქანა, რომელსაც ავტომატურად უნდა უზრუნველეყო ვაშინგტონისათვის მისაღები რეზოლუცია ნებისმიერ საკითხზე.

გაერო-ს თითქმის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში ცალკე თავად შეიძლება გამოიყოს დრო ვაშინგტონის სისტემატური უპირატესობისა უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის სხდომებზე. ამ ორგანოთა ეფექტურობის ნიველირება „კენჭისყრის მანქანის" მეშვეობით, რაც მას უშიშროების საბჭოს იგნორირების საშუალებას აძლევდა. ამიტომაც არის, რომ 50-იან წლებში გაერო-ს საქმიანობის მრავალ სფეროს 1947 წლის „ცივი ომის" დაღი აზის. ასე იყო, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში 1948 წლის არჩევნების შედეგად, სოციალისტური წყობილების დაარსების „კანონიერების", ადამიანის ძირითადი თავისუფლებისა და უფლებების „საკითხის" დარღვევების განხილვისას, რომლებსაც თითქოს ადგილი ჰქონდა ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ვაშინგტონის მილიტარისტული აქციის დროს კორეაში.

50-იანი წლების შუახანებიდან სიტუაცია მსოფლიოში არსებითად იცვლება. საერთაშორისო ასპარეზზე, სოციალიზმის განმტკიცებისა და კოლონიური სისტემის რღვევის პროცესის შედეგად, იცვლება ძალთა თანაფარდობა ორგანიზაციის შიგნითაც. ეს უკანასკნელი ფაქტორი დადებით როლს ასრულებს გაერო-ს ეფექტურობისა და საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდის თვალსაზრისით. ორგანიზაცია, მისი ფუნქციონირება და მექანიზმი, თანდათანობით უახლოვდებოდა მის ფუძემდებელ მიზნებსა და ამოცანებს. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თუ არა ეს, იგი ვერ აცდებოდა ადრე თუ გვიან ერთა ლიგის ხვედრს. ახალი სიტუაციის პირველი და მთავარი შედეგი იყო „კენჭისყრის მანქანის" ეფექტის ლიკვიდაცია.

აშშ-ის გაღიზიანებას, უპირველეს ყოვლისა, ის აძლიერებდა, რომ ამერიკული დიპლომატიის „ყოვლისშემძლე" ათწლეულის შემდეგ მას საქმე ჰქონდა „ახალ" გაერო-სთან, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო ნაკლებ მორჩილებას იჩენდა. კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქვეყნების მიღებამ შეცვალა ძალთა თანაფარდობა გენერალურ ასამბლეაში.

1975 წელს გაერო 51 წევრს ითვლიდა. დღეს კი ისტ-რივერზე აღმართულ ფლაგშტოკებზე 161 სუვერენული სახელმწიფოს ალამი ფრიალებს. ვაშინგტონი უკვე ვეღარ მალავს თავის გაღიზიანებას იმის გამო, რომ დაკარგა ხმების მექანიკური უმრავლესობა. გაერო-ს ნამდვილი სიძლიერე მის დაუწერელ სტატუსში მდგომარეობს, რომელმაც იგი სხვადასხვა ქვეყნების მორალური კანონიერების უნივერსალურ ინსტანციად გადააქცია. აქ აშშ თავისივე იდეოლოგიის ბორკილებულ მახეში გაება. იდეოლოგიისა, რომლის ფესვები მითიურ ეთიკაშია გადგმული და რომელიც უნივერსალობის პრეტენზიას აცხადებს. ვინაიდან ყოფილი „ლიდერი" ვეღარ უწევს კონტროლს სუვერენულ ახალგაზრდა სახელმწიფოებს, ამიტომ ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსის აზრით, გაერო-დან მისი გამოსვლა მესამე სამყაროს თვალში (რომლის იგნორირება სულ უფრო ძნელი ხდება). დამარცხებად ჩაითვლებოდა, თუმცა შემდგომ იქ დარჩენა მუდმივი საყვედურების ტოლფასი იქნებოდა. ამ მიზეზის გამო ჯორჯტაუნის უნივერსიტეტთან არსებული სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრის თანამშრომელი პატრიკ მარიტი თვლის, რომ „გაერო-ს როლი მომავალში ნაკლებ ეფექტური იქნება. ამიტომ დაუჭერს თუ არა რეიგანის ადმინისტრაცია გაერო-ს არსებობას მხარს, მან უნდა გამოძებნოს მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების სხვა საშუალებები".

გაერო-სა და მისი სისტემის (თერთმეტი სპეციალიზებული ორგანიზაციის) კრიტიკის გამწვავება მეტყველებს ნაციონალიზმის აღორძინებაზე აშშ-ში, რომელმაც რეიგანის არჩევის შემდეგ იწყო გამოვლინება. აქედან გამომდინარე, თეთრი სახლის ადმინისტრაცია, ითვალისწინებდა რა გაერო-ს ავტორიტეტს, რომელიც მისი ნება-სურვილის მიუხედავად არსებობს, შემდეგ მიზნებს ისახავდა:

— ჯერ ერთი არ დაუშვას ისეთი რეზოლუციების მიღება, რომლებიც ეწინააღმდეგება აშშ-ის ინტერესებს განიარაღების, დეკოლონიზაციის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, აპართეიდისა და რასიზმის ლიკვიდაციის საკითხებში. რეზოლუციებისა, რომლებიც გმობენ აშშ-სა და მისი მოკავშირეების აგრესიულ აქციებს განვითარებადი ქვეყნების წინააღმდეგ; არ დაუშვას

მოთხოვნა ისრაელის გარიცხვისა ან წევრობის დროებით შეჩერებისა გაერო-ში;

— შეცვალოს ძალთა თანაფარდობა გაერო-ში სსრ კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების და განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობის პოლიტიკური კურსის დისკრედიტაციის საშუალებით მიუმხრობელი ქვეყნებისა და გაერო-ს ორგანოებში ახალგაზრდა სახელმწიფოების დაჯგუფებაში განხეთქილების შეტანით.

უკანასკნელ პერიოდში რეიგანის ადმინისტრაციის პოზიცია განვითარებადი სამყაროს მიმართ საგრძნობლად უხეში გახდა. მოითხოვს რა ორგანიზაციის პოლიტიზაციის პროცესის შეწყვეტას, ვაშინგტონი ცდილობს წმინდა ფუნქციური ასპექტით შემოფარგლოს მისი მოღვაწეობა. გაერო-ს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციასა და გაერო-ს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის მიმართ ამგვარ პრეტენზიათა მიზანია. არ დაუშვას მათი გადაქცევა გაერო-ს სპეციალიზებულ დაწესებულებებად, რაც გაზრდიდა ამ ორგანიზაციების ეფექტიანობას ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგისათვის ბრძოლაში. აშშ ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს გაერო-ს ეკონომიკური ორგანიზაციები და დაწესებულებები განთავისუფლებული ქვეყნების ეროვნული განვითარების გეგმებისა და სოციალური პროგრამების შესაკვეცად. კერძო სექტორის გასაძლიერებლად და სახელმწიფო სექტორის შესასუსტებლად. ყოველივე ამან ხელსაყრელი პირობები უნდა შეუქმნას ამერიკული ტრანსეროვნული კომპანიების ექსპანსიას.

გაერო-ში აშშ პოლიტიკის ერთ-ერთი ასპექტია მისი ბრძოლა მრავალმხრივი ეკონომიკური შეთანხმებებისა და თანამშრომლობის პროგრამათა წინააღმდეგ. იგი არ ერიდება ნებისმიერი შეთანხმების ბლოკირებას, რომელიც ოდნავ მაინც ზღუდავს ტრანსეროვნულ კომპანიათა დიქტატს საერთაშორისო მასშტაბით.

ვაშინგტონის კურსისათვის დამახასიათებელ მომენტად იქცა ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობასთან სტაბილური კონფრონტაცია. სენატის ერთ-ერთ რეზოლუციაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ გაერო-ს ფილოსოფია ეკონომიკის დარგში მტრულია „თავისუფალი წარმოების მიმართ, იგი თითქმის მთლიანად უარყოფს საბაზრო ეკონომიკას. არ უნდა დავუშვათ მტრუ-

ლი განწყობილების გავრცელება თვით კერძო საკუთრების კონ-ცეფციაზე, უფრო ზუსტად ტრანსეროვნული კომპანიების მოღვა-წეობაზე".

აშშ-ის ანაბრების შემცირება გამოიყენება როგორც გაერო-ს ზოგიერთ დაწესებულებებზე დაწოლის საშუალება, რომელთა მოღვაწეობა არ შეესატყვისება აშშ-ის საგარეო-პოლიტიკურ მიზ-ნებს. ჯერ კიდევ 1984 წლის 8 მარტს აშშ-ის მუდმივმა წარმო-მადგენელმა გაერო-ში ჯინ კირკ-პატრიკმა განაცხადა, რომ შეერ-თებული შტატების ანაბრების მოცულობა უნდა განისაზღვროს გაერო-ს წევრ სახელმწიფოთა ქცევის შესაბამისადო. ფინანსურ დაწოლასთან ერთად რეიგანის ადმინისტრაციამ მკვეთრად გააძლი-ერა ორგანიზაციული დაწოლაც საერთაშორისო დაწესებულებებ-ში. ვაშინგტონი ცდილობს, აღადგინოს თავისი ხელმძღვანელი როლი საერთაშორისო ორგანიზაციებში, უზრუნველყოს აშშ-ის პრივილეგირებული წარმომადგენლობა მათ სამდივნოებში. ამის დამადასტურებელია თუნდაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენ-ტის უპრეცედენტო მოთხოვნა 40 პროცენტით შემცირდეს სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ მუდმივი წარმომად-გენლობის დიპლომატიური პერსონალი გაერო-ში. გაერო-ს წევრ-თა აზრით, ეს წარმოადგენს ვაშინგტონის მიერ აღებული ვალ-დებულებების დარღვევას და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

განაგრძობდა რა ფინანსური შანტაჟის პოლიტიკას, ვაშინგტონმა გამოაცხადა, რომ 1986 წელს იგი 70 მლნ. დოლარით შეამცირებდა საწევრო გადასახადს (ადრე იხდიდა 210 მლნ. დოლარს, რაც ორგანიზაციის მთელი ბიუჯეტის 25 პროცენტს შეადგენდა) და დაბეჯითებით მოითხოვა მიეღოთ ახალი წესი, რომლის მიხედვი-თაც გაერო-ში წევრთა გავლენა უნდა განსაზღვროს საწევრო ანაბ-რის მოცულობამ. ე. ი. ვინც მეტს იხდის, მას მეტი გავლენა უნდა ჰქონდეს. ცხადია, რომ ეს გამოიწვევს ორგანიზაციის ფუძემდე-ბელი პრინციპის — სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის დარ-ღვევას.

აშშ-ის ასეთის დამოკიდებულება გაერო-სა და მის წევრ სახელ-მწიფოთა ოფიციალური წარმომადგენლების მიმართ ვერ აღწევს მიზანს — გაერო-ს წევრ სახელმწიფოთა ოთხმოცი პროცენტი

გმობს აშშ რეაქციული წრეების აგრესიულ-ექსპანსიონისტურ პოლიტიკას. ასე მაგალითად, გენერალური ასამბლეის მე-40 სესიაზე მიღებულ რეზოლუციათა 86% მიღებული იქნა აშშ-ის უარყოფითი პოზიციის მიუხედავად.

ანალოგიურ შანტაჟს ვაშინგტონი არც ადრე თაკილობდა. სიახლეს ის წარმოადგენს, რომ ამჯერად, როგორც ჩანს, რეიგანის ადმინისტრაციას გადაწყვეტილი აქვს სიტყვა საქმედ აქციოს, როგორც ამ რამდენიმე წლის წინ ოფიციალურად განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, მალე ვაშინგტონი გაერო-ს კიდევ რამდენიმე სპეციალიზებულ ორგანიზაციას დატოვებს.

აშშ-ის ამგვარი ინტენსიური, აგრესიული და ყოვლისმომცველი ბრძოლა „უმრავლესობის ტირანიის" წინააღმდეგ უპრეცედენტოა ორგანიზაციის არსებობის ისტორიაში და იგი რესპუბლიკური ადმინისტრაციის „მოღვაწეობის" შედეგია. 1983 წლიდან მოყოლებული, კონგრესის რეკომენდაციის საფუძველზე, სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველწლიურად სწავლობს გაერო-ში კენჭისყრის საერთო ტენდენციას. 1985 წლის მაისში კონგრესს წინა წლის შედეგები სპეციალური მოხსენებით გააცნო სენატორმა რობერტ კესტენმა.

როგორც ზემოხსენებული მოხსენებიდან ირკვევა, ისევე როგორც ადრე, გაერო-ში ვაშინგტონის ყველაზე „ერთგულ" მოკავშირედ ისრაელი რჩებოდა, რომელმაც 91,5 პროცენტით დაუჭირა მხარი აშშ-ის პოზიციას. კესტენის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ კენჭისყრის 40 პროცენტი აშშ-ის პოზიციის საწინააღმდეგო სურათს იძლევა. ორგანიზაციის 159 წევრიდან მხოლოდ 19 აძლევდა ხმას ვაშინგტონის პოზიციას 50 პროცენტზე მეტ შემთხვევაში. კონგრესმენთა გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ ის ქვეყნებიც კი, რომელნიც ამერიკის დახმარებას ღებულობენ, კენჭისყრის 80 პროცენტით ვაშინგტონის საწინააღმდეგო პოზიციებზე აღმოჩნდნენ.

კესტენმა სინანულით აღნიშნა, რომ ბევრი განვითარებადი ქვეყანა, რომელიც დახმარებას იღებს ამერიკისაგან და მის მფარველობას ეძებს, საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას გაერო-ში. მოხსენებაში მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული ფილიპინები და ტაი-

ლანდიც კი, რომლებიც ყოველი ხუთი კენჭისყრიდან ოთხჯერ ანტიამერიკულ რეზოლუციებს აძლევდნენ ხმას.

როგორც ვხედავთ, აშშ-ის მხარდამჭერად გაერო-ში ძირითადად გამოდიან მისი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეები, რომელნიც უკვე ველარ ქმნიან ამინდს ორგანიზაციის შიგნით. ამით აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, ვაშინგტონის მტრული დამოკიდებულება გაერო-ს მიმართ.

„ტოტალური წინააღმდეგობის, სამხედრო კონფრონტაციის პოლიტიკას დიდი დღე არ უწერია: წარსულში გაქცევა — ეს არის არა პასუხი მომავლის გამოწვევაზე, არამედ სასოწარკვეთილების აქტი უფროა, მაგრამ ეს ნაკლებად საშიშს როდი ხდის ასეთ პოზიციას. როდის და რამდენად შეიგნებს ამას ვაშინგტონი, საქმე გვიჩვენებს. ჩვენი მხრივ, მზად ვართ ყველაფერი ვიღონოთ, რათა რადიკალურად გავაუმჯობესოთ საერთაშორისო სიტუაცია. ამისათვის სოციალიზმს არ დასჭირდება ხელი აიღოს თავის პრინციპებსა თუ იდეალებზე. იგი ნიადაგ უჭერდა და უჭერს მხარს იმ სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემას ეკუთვნიან“ — ხაზგასმითაა აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე.

დავით გეგეშიძე

საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ბურჟუაზიულ-კლერიკალური ფალსიფიკაციის კრიტიკა

იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავება ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა. „საერთაშორისო ასპარეზზე ორი მსოფლმხედველობის უმწვავესი ბრძოლა, — ნათქვამია სკკპ ახალ პროგრამაში, — გამოხატავს ორი მსოფლიო სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის დაპირისპირებას"[1].

მტრული ბურჟუაზიული პროპაგანდა ყოველნაირად ცდილობს ანტიკომუნისტური, ანტისოციალისტური შეხედულებების ფართო გავრცელებას. ამ მიზნისათვის მრუდე სარკეში წარმოსახავენ საბჭოთა სინამდვილის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, მორალურ და სხვა მხარეებს. მეტიც, ფაქტების დამახინჯებისა და მათი არასწორი, ტენდენციური ინტერპრეტაციისათვის მიმდინარეობს ერთგვარი სპეციალიზაცია თითოეული დარგის მიხედვით. თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიური სკოლების და ჯგუფების („ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების", „პოსტინდუსტრიული საზოგადოების", ორი სისტემის „კონვერგენციის", „სოციალური მოქმედების" და ა. შ.) მრავალფეროვნება სწორედ ამ უკანასკნელი გარემოებით არის განსაზღვრული. სოციოლოგიური თეორიების მიზანია ერთ სიბრტყეში განიხილონ კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოებები, იმსჯელონ საერთოდ საზოგადოების აუცილებელი დაღუპვის კანონზომიერებათა შესახებ.

თანამედროვე იდეოლოგიურ ბრძოლაში გარკვეულ ადგილს რელიგია იჭერს. აღწერენ რა საბჭოთა კავშირში რელიგიისა და ეკ-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1986, გვ. 82.

ლესიის მდგომარეობას. ბურჟუაზიულ-კლერიკალური წრეები ყოველნაირად ცდილობენ დასავლეთის მკითხველსა და მსმენელს დაუმალონ ჩვენს ქვეყანაში რელიგიური რწმენის სრული თავისუფლების მიღწევის ისტორიული ფაქტები. ამ მიზნით განიხილება შექმნილი რელიგიური მდგომარეობის არა მნიშვნელოვანი მოვლენები, არა არსებითი ხასიათის საკითხები, არამედ მოვლენის ზოგიერთი ცალკეული მხარეების ანალიზის საფუძვლებზე ხდება მათი არასწორი. მეტაფიზიკური შეფასება და ითხზვება მითი საბჭოთა კავშირში რელიგიური პრობლემის არსებობის შესახებ. ასე მაგალითად, დასავლეთელი ავტორების მტკიცებით. სოციალისტურ საზოგადოებაში რელიგიური შეხედულებების დაძლევა, მასობრივი ათეიზმის გავრცელება, ეკლესიების, ძონასტრების. სამლოცველო სახლებისა და სხვა სახის საკულტო დაწესებულებების რაოდენობის შემცირება „წმინდა საბჭოთა მოვლენაა“ და მხოლოდ და მხოლოდ რელიგიის წინააღმდეგ ადმინისტრაციული საშუალებებით ბრძოლის შედეგია.

სინამდვილეში, დასაბუთებულია, რომ სეკულარიზაცია — რელიგიისაგან ადამიანთა შეხედულებების, ქცევის და ყოფის განთავისუფლება — საყოველთაო, მსოფლიო პროცესია. თანამედროვე პირობებში რელიგია ღრმა იდეოლოგიურ კრიზისს განიცდის, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველაზე რეაქციულ დამახინჯებულ ფორმებს იღებს. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პირობებში ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური გარდაქმნების. კულტურული რევოლუციის შედეგად ადამიანთა ფართო მასების ცნობიერება განთავისუფლდა რელიგიური ცრურწმენებისაგან, ე. ი. ბურჟუაზიულ-კლერიკალური წრეები ამახინჯებენ ობიექტურ სინამდვილეს, მეტაფიზიკურად უდგებიან ისტორიული პროცესის შეფასებას. ყოველივე ეს კეთდება წინასწარდადგენილი მიზნისათვის: როგორმე ჩირქი მოსცხონ სოციალისტური ცხოვრების წესს, დაამახინჯონ საბჭოთა სინამდვილე. ანტიკომუნიზმი, ანტისოციალიზმი თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის ძირითადი თავისებურებაა.

ამასთან, მტრული ბურჟუაზიული პროპაგანდისტული მანქანა კიდევ ერთ დაკვეთას ასრულებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ცდილობენ ყოველნაირად შეაქონ ცხოვრების ბურჟუაზიული წესი.

მათი მტკიცების თანახმად, სოციალისტური წყობილება ვერ უზრუნველყოფს პიროვნების რელიგიურ, მორალურ და პოლიტიკურ თავისუფლებას, ყოველივე ეს თითქოსდა შესაძლებელია მარტოოდენ კაპიტალისტურ სამყაროში. აქედან გამომდინარე, რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ფალსიფიკაციის დროს „მარქსოლოგები" და „სოვეტოლოგები" თავიანთ „შრომებსა" და „გამოკვლევებში" დიდ ადგილს უთმობენ პოლიტიკური, ფილოსოფიური საკითხების განხილვას. რელიგია ამ მიმართებით ბურჟუაზიული ცხოვრების წესის პროპაგანდის საშუალებად გამოიყენება. ამიტომ არის, რომ ერთი შეხედვით, წმინდა რელიგიური ხასიათის „შრომებში" დიდი ადგილი უჭირავს სოციალისტური წყობილების კრიტიკას, ბურჟუაზიული ყოფის ქება-დიდებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მტრული ბურჟუაზიული პროპაგანდისტული ცენტრების ხელმძღვანელები, მასობრივი პროპაგანდის საშუალებანი გაზრდილ ყურადღებას უთმობენ საქართველოს სსრ-ში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შეფასებას, კერძოდ, საგრძნობლად შეიმჩნევა მათი ინტერესი რესპუბლიკაში არსებული რელიგიური მდგომარეობისადმი, მაგრამ, რასაკვირველია, ხდება ამ მდგომარეობის არა ობიექტური ასახვა. არამედ დამახინჯებული წარმოსახვა. ამ მიზნით, ისინი ცდილობენ რესპუბლიკის მოსახლეობის რელიგიურობის მოტივების სრულიად გაუმართლებელ ინტერპრეტაციას, ქართველი ხალხის თითქოსდა ბუნებით რელიგიურობის მითის გავრცელებას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალურ და პოლიტიკურ პლატფორმაში მომხდარი ცვლილებების ტენდეციურ ახსნას, ამ ეკლესიის საგარეო-სამშვიდობო პოლიტიკის არასწორ შეფასებას, ჩატარებული მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის მიზნებისა და ამოცანების გაყალბებას, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური სექტების თემთა საქმიანობის გაუკეთებულ განმარტებას, ერთეული კულტის მსახურთა სისხლის სამართლის დასჯის შემთხვევების ფალსიფიკაციას და ა. შ. არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხებით, მისი თანამედროვე მდგომარეობით, ეკუმენისტურ მოძრაობაში ამ ეკლესიის მონაწილეობით დაინტერესებას იჩენენ საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთების რე-

დაქციები. უკანასკნელ წლებში კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-თან ვიზიტად იყვნენ: დანიის გაზეთ „აქტუელტის“ თანამშრომლები, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სპეციალური კორესპონდენტი, კანადის გაზეთ „ტორონტო სტარის“ რედაქტორი, გაზეთ „ლოს-ანჟელეს ტაიმსის“ სპეციალური კორესპონდენტი, გფრ-ის გაზეთ „რაინიშე პოსტ საარბრიუკენის“ წარმომადგენლები, ამერიკული გაზეთ „ბელტიმორ რანდის“ კორესპონდენტები და სხვები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელებისადმი მათ მიერ დასმული კითხვების ნაწილი პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა.

ბურჟუაზიულ-პროპაგანდისტული მანქანა ხვეწს მუშაობის მეთოდებსა და საშუალებებს, ითვალისწინებს აუდიტორიის განწყობილებას, ცდილობს მიზანდასახული დიფერენცირებული ხასიათი მისცეს გადაცემულ მასალას. სწორედ ამ მიზნით, ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის მიერ გამოყოფილია საკმაოდ დიდი მოცულობის საშუალებანი. ამ ფალსიფიკაციას ემსახურება სხვადასხვა გამომცემლობა, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, სპეციალური ინსტიტუტების განყოფილებები. ფალსიფიცირებული მასალის პროპაგანდას დიდ ადგილს უთმობენ რადიო და ტელეგადაცემები, პრესა.

რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ფალსიფიკაციისათვის სხვადასხვა რელიგიური და პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან გაერთიანებული, კერძოდ, ამ დაკვეთის შესრულებაში ჩაბმულნი არიან მეცნიერი ნეოთომისტები, ემიგრანტული ორგანიზაციების წევრები და მათი ხელმძღვანელები, თანამედროვე რევიზიონიზმის ლიდერები, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელები, სოვეტოლოგები, საბჭოთა კავშირის შემსწავლელი სპეციალური ინსტიტუტების „მეცნიერ მუშაკები“, ჟურნალისტები და სხვა.

დასახელებული ფალსიფიკატორები საქართველოში რელიგიისა და ათეიზმის საკითხების დამახინჯებულად ახსნას, რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის არასწორ, ტენდენციურ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საშუალებებით ცდილობენ. ამ საშუალებების ერთი ნაწილი შედარებით შენიღბულია. მეორე აშკარა ხასიათს ატარებს, ხოლო მესამე მეცნიერულ სამოსელშია გახვეული. ასე მა-

გალითად: 1980 წელს ვატიკანში ერთმანეთს შეხვდნენ რომის პაპი იოანე პავლე II და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი ილია II. ეკლესიების ისტორიაში ამ ორი ეკლესიის ხელმძღვანელთა პირველი შეხვედრა ფართოდ გაშუქა ვატიკანის ოფიციალურმა გაზეთმა „ოსსერვატორე რომანომ“ (1980 წლის 27 ივნისის ნომერი). თითქოსდა კეთილგანწყობილურად დაწერილ სტატიებში და მახვილგონივრულად შერჩეულ პუბლიკაციაში გაშუქებულია ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ასახულია მისი თანამედროვე მდგომარეობა, დახასიათებულია ამ ეკლესიის მეთაური და ა. შ. მაგრამ სინამდვილეში დამახინჯებულად არის წარმოდგენილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტი (1917 წლის 12 (25) მარტი), ამ ეკლესიისა და რუსული ეკლესიის თანამედროვე ურთიერთობა. წინა პლანზე არის გამოტანილი ის საკითხები, რომლებიც, გაზეთის ნომრის შემდგენლების აზრით, ეროვნული გრძნობების გაღვივებას შეუწყობდა ხელს, რაც მთავარია, ეს მიზანი შენიღბულად არის გატარებული.

საერთოდ, „ოსსერვატორე რომანოს“ ეს ნომერი ერთი განწყობილებით არის „შეკრული“ — ეს არის პესიმიზმი, წარსულისადმი წუხილი, უკეთესი მომავლისადმი უიმედობის დასადგურება, შექმნილი მძიმე სიტუაციიდან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად რელიგიის აღიარების აუცილებლობა. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ისიც, რომ გაზეთის ამ ნომერშივე გერმანულ, ინგლისურ და ქართულ ენებზე მოთავსებულია პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსის „სინანული“ ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია წარმავლობაზე, ყოფნა-არყოფნის რთულ პრობლემაზე.

„ოსსერვატორე რომანოს“ აღნიშნულ ნომერში მოთავსებული სტატიების ერთგვარი ფარული მიზნებისაგან დიამეტრულად განსხვავდებოდა ფრანგული გაზეთის „კრუას“ სენსაციური ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოსდა სოხუმიდან 60 კმ-ის დაშორებით ვერტმფრინავიდან დახოცეს იატაქვეშეთში ფარულად არსებული მონაზონთა მონასტრის 18 წევრი მონაზონი მამაკაცი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის რელიგიური პრესის ძირითადი ორგანოები, ისეთები როგორებიცაა: „სერვის ორტოდოქს

დე პრესსი“, „ტებლიტი“, „ფრენდი“, „ევანგელიშე პრესს დინსტი“ და სხვები, თავიანთ ფურცლებზე საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის შესახებ სტამბავენ ისეთი სახის ფალსიფიცირებულ სტატიებსა და ინფორმაციებს, რომელთა ნაწილი ობიექტურობის პრეტენზიას აცხადებს, ნაწილი რეალისტურად უდგება საკითხს, ხოლო ნაწილი აშკარა, თავშეუკავებელი ჭორის სახით იღვრება ყვითელი პრესის გვერდებზე.

საშუალებებისა და ხერხების განსხვავების მიუხედავად, კალმოსანთა ამქარს, ბურჟუაზიული იდეოლოგიური სამსახურის ხელოსნებს, ბურჟუაზიულ-კლერიკალურ წრეებს ერთი საერთო მიზანი აერთიანებთ — რადაც არ უნდა დაუჯდეთ, არასწორად, ტენდენციურად გააშუქონ საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობა, დამახინჯებულად განმარტონ ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის მიზნები და ხასიათი.

1914 წელს სოციალისტური შეხედულებების ფართოდ გავრცელებისათვის ხელი რომ შეეშალა, ბურჟუაზია ყოველგვარ ხერხს —სიცრუეს, ცილისწამებას, ჭორს, დაშინებას, ტერორს და ა. შ. მიმართავდა. სტატიაში „მუშების წინააღმდეგ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ბრძოლის ხერხები“ ვ. ი. ლენინი წერდა: „როდესაც ბურჟუაზიის იდეური გავლენა მუშებზე კლებულობს, ირყევა, სუსტდება, ბურჟუაზია ყველგან და ყოველთვის მიმართავდა და კვლავაც მიმართავს ყოვლად უკანასკნელ სიცრუეს და ცილისწამებას“[1]. ვ. ი. ლენინის აღნიშნული მეთოდოლოგიური ხასიათის მითითება მთლიანად ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში — როდესაც იმპერიალიზმის სამსახურში ამგვარი ბურჟუაზიული პროპაგანდისტული მანქანა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ როგორმე ხელი შეუშალოს სოციალიზმის წინსვლას, მსოფლიოს მაშტაბით სოციალისტური მოძრაობის გაფართოებას.

რა ძირითადი მიმართულებები არის ჩამოყალიბებული საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ფალსიფიკაციის დროს და როგორ უნდა იქნას ისინი შეფასებულნი?

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20. გვ. 601.

XX საუკუნის 60-იან წლებში ინგლისელმა სოვეტოლოგმა ვ. კოლარცმა წიგნში „რელიგია საბჭოთა კავშირში“ (ლონდონი, 1961) სიცრუის ერთი მოდელი შეიმუშავა. მისი მტკიცებით, რუსი ხალხი თავისი ბუნებით რელიგიურია, მორწმუნეა, ამ თვისების შეცვლას კი ვერც სოციალისტური სახელმწიფო ვერ შესძლებს. კოლარცის აზრით, ამას ის მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირში დღემდე არსებობენ მორწმუნეები და მოქმედებენ რელიგიური გაერთიანებები.

კოლარცის მოდელს საბჭოთა ქვეყანაში რელიგიურობის დაუძლევლობის შესახებ ფართოდ იყენებენ სხვა ავტორებიც. საბჭოთა წყობილების პირწავარდნილი მტრის პეტრე სტრუვეს შვილიშვილი, ფაქტობრივად დაცარიელებული, ეგრეთ წოდებულ, რუს ემიგრანტ სტუდენტთა კავშირის ლიდერი და ამ კავშირის პერიოდული ჟურნალის „ვესტნიკ რუსკოგო სტუდენჩესკოგო დვიჟენიას“ ერთ-ერთი დამაარსებლის ნიკიტა სტრუვეს განმარტებით, რელიგიურობამ საბჭოთა სინამდვილეში რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა განიცადა. სამშობლოს მოღალატის ალექსანდრე ბოგოლეპოვის მტკიცებით, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურება საბჭოთა ადამიანების რელიგიურობის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს.

ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში“ დასტამბულ საკმაოდ დიდი მოცულობის სტატიაში: „საქართველო სსრ კავშირის ანტიკონფორმისტული რესპუბლიკაა“ დენე ლეგრე ცდილობს განმარტოს ქართული ეთნოსისათვის დამახასიათებელი ნიშნები და ქართველობის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად რელიგიურობას წარმოადგენს. იგივეს დამტკიცებას ცდილობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაზეთ „მანხაიმერ მორგენში“ დასტამბული სტატიის ავტორი, სოვეტოლოგი ვალტერ ბაუერი. მისი განმარტებით, ქართველები ყოველთვის იყვნენ და დღესაც რჩებიან ღრმად მორწმუნეებად.

საბჭოთა ხალხის რელიგიურობის დასამტკიცებლად ზოგიერთი ავტორი რელიგიურობის, როგორც ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი თვისების, „თეორიულ“ არგუმენტს იშველიებს. ბურჟუაზიული იდეოლოგიის დამცველების აღნიშნული თეზისების მიუღებლობის ნათელსაყოფად უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჯერ

ერთი, რელიგიურობის აუცილებლობის საკითხი მეცნიერებაში სრულყოფილად არის გარკვეული. კერძოდ, დასაბუთებულია, რომ რელიგიური შეხედულებები არ არის თანდაყოლილი ან ადამიანის ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი. ისინი ადამიანის წარმოშობის, საერთოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ, განსაზღვრულ საფეხურზე ჩამოყალიბდნენ, მათ წარმოშობას შესაბამისი მიზეზები განაპირობებდნენ. საზოგადოების არსებობის ისტორიაში აღნიშნულია, ეგრეთ წოდებული, ურელიგიო პერიოდები. ასევე დადგება დრო და სოციალისტური საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე რელიგია აღარ იარსებებს, იგი მოისპობა. ე. ი. რელიგიურობის გარეშე საზოგადოებას შეეძლო და შეეძლება არსებობა.

მეორეს მხრივ, საბჭოთა ქვეყანაში ისტორიულად უმოკლეს დროში მასობრივი ათეიზმის გამარჯვება, მოსახლეობის შეგნებიდან რელიგიური ცრურწმენების აღმოფხვრა, მათი ყოფიდან რელიგიური ტრადიციების განდევნა იმის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს, რომ რუსი და ქართველი ხალხის რელიგიურობის მტკიცება სრულიად უსაფუძვლოა.

ჯერ კიდევ წინა საუკუნეში რუსული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა გააცამტვერეს მითი რუსი ხალხის მორწმუნეობის შესახებ. საკმარისია აღვნიშნოთ დიდი რუსი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის ცნობილი „წერილი გოგოლს“. ამ წერილში ბ. ბელინსკიმ მთელი სიცხადით დაასაბუთა რუსი ადამიანის მორწმუნეობის ნამდვილი მიზეზები, სარკაზმულ ფორმაში დაგმო შეხედულება ამ ხალხის ბუნებით მორწმუნეობის შესახებ, დაამტკიცა რუსეთში თავისუფლად მოაზროვნეობის ისტორიული ძირები და იწინასწარმეტყველა მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

„მართლმადიდებელი რუსეთის“, „ღრმადმორწმუნე რუსი ადამიანის“ ცნებები ისტორიას, რუს ხალხს არ შეუქმნია, ისინი არ ასახავენ ობიექტურ სინამდვილეს. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებმა თვითონ შეთხზეს მითი „მართლმადიდებელი რუსეთის“ შესახებ.

ქართველი ხალხის მორწმუნეობის საღვთისმეტყველო მითი, ამ ხალხის რელიგიასთან — ქრისტიანობასთან — ქართველ მართლმადიდებლობასთან ისტორიული დამოკიდებულების არასწორი,

მეტაფიზიკური ახსნის საფუძველზე არის შეთხზული. დასავლეთელი იდეოლოგების მტკიცებათა თანახმად, რადგან საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ერთადერთ იდეოლოგიად რელიგიური იდეოლოგია იყო გაბატონებული, ამიტომ ქართველი ხალხი რელიგიურია თავისი ბუნებით.

ამ შემთხვევაში მთლიანად უგულებელყოფილია ის ანტიკლერიკალური ნაწარმოებები და თავისუფლადმოაზროვნეობის ნიმუშები, რომლითაც ასე მდიდარია ქართული ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა დარგები, უგულებელყოფილია ის ქართული საერო ლიტერატურა, რომლის სიმაღლეები მსოფლიო სტანდარტებს უტოლდებიან, უგულებელყოფილია ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ როგორც საქართველოს მემატიანეები, ასევე საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქის აღმწერელი ავტორები არ წარმოადგენენ ქართველ ხალხს როგორც ფანატიკოს, ღრმადმორწმუნე ერს, უგულებელყოფილია ქართველი ხალხის გასაოცარი რჯულთშემწყნარებლობა, უგულებელყოფილია მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ქრისტიანობამ არსებითი ხასიათის ცვლილებები განიცადა, ჩამოყალიბდა გარკვეული სინკრეტული ხასიათის იდეოლოგია — ქართული მართლმადიდებლობა, რომელშიც მართალია შენარჩუნებული იყო (სხვაგვარად წარმოუდგენელიც კი იყო) ორთოდოქსალური ქრისტიანობის ძირითადი კრედო, რომელსაც, და ესეც არსებითია, ქართველ ხალხში არ ჰქონია პოპულარობა, მაგრამ მასში შეეიდა ბევრი ისეთ შეხედულებათა შრეები, რომლებიც ორთოდოქსალური ქრისტიანობისათვის უცხო, ზოგიერთ შემთხვევაში საპირისპიროც კი იყო. საქართველოს ეკლესიის მამამთავრები იძულებულნი იყვნენ ეს შრეები შეენარჩუნებიათ, რადგან საწინააღმდეგო შემთხვევაში ქართველი ხალხის ფართო წრეები არ დაუჭერდნენ მათ მხარს. ასე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში „ქართული ქრისტიანობა“ გადაიტვირთა ეროვნული მოტივებით, ეროვნული გმირების ისტორიით, იგი, თამამად შეიძლება ითქვას, გაეროვნულდა. მასში აირეკლა ქართული ყოფის, ქართველი ხალხის ყველა დამახასიათებელი ნიშან-თვისება.

როგორ შეიძლება ღრმადმორწმუნედ გამოაცხადო ის ეთნოსი, რომელმაც რელიგიის ბურუსით მოცულ შუა საუკუნეებში წმინდა

სანთელი აუნთო ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეებს, თამამად, შეიძლება ითქვას გმირულად. დაარღვია რელიგიური აკრძალვები. თვით ჯვართმკეთებლობასა და ტაძართმშენებლობაში, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, ჰომილეტიკასა და კანონიკაში.

ასე უხეშად ილახება ისტორიული სინამდვილე, ტენდენციურად მახინჯდება ისტორიული მოვლენები, ხდება მათი მცდარი, ყოვლადმიუღებელი და უსაფუძვლო ინტერპრეტაცია.

საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ფალსიფიკაციისათვის შექმნილ „მაკულატურაში" საკითხის ყველა ასპექტი არის განხილული, ამდენად, მისი ყოვლისმომცველი შესწავლის პრეტენზია ცხადდება.

ბურჟუაზიულ-კლერიკალურ ჟურნალ-გაზეთებში დასტამბული მასალის ავტორები დ. ფიშერი (აშშ), ე. პონდი (აშშ), დ. სატორი (აშშ), ნ. ყაიდი (ინგლისი), ბ. ბაუერი (გფრ), ზოგიერთ სოვეტოლოგთან ერთად (ინგლისელი კლიფორდ ლონგი და ლიტერ როდვეი), ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ: ა) საქართველოში ჭოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიაა პრივილეგირებული, სხვა რელიგიური კონფესიები კი დევნას და შევიწროვებას განიცდიან, რადგან მათი მრევლის წევრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან; ბ) საქართველოს ეკლესიის პოლიტიკურ და სოციალურ პლატფორმაში მომხდარი ცვლილებები იძულებითი ხასიათისაა და ისინი მორწმუნეთა ნება-სურვილით კი არ მოხდა, არამედ საეკლესიო იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე მყოფი, სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ღვთისმსახურების მოქმედების შედეგია.

აღნიშნულ მტკიცებათა უსაფუძვლობას ასაბუთებს მათი ობიექტურ სინამდვილესთან სრული შეუსაბამისობა, კონკრეტული მასალები, თანამედროვე ქართული მართლმადიდებლობის ევოლუციის ანალიზი, მეცნიერული ახსნა.

საქართველოში რელიგიურმა ორგანიზაციებმა სრული თავისუფლება მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მოიპოვეს. რევოლუციამდე კანონით იდევნებოდა, აკრძალული იყო რელიგიური სექტებისა და მთელი რიგი სხვა რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა. გაუქმებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. რელიგიები დაყოფილი იყო პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულად. სინ-

დისის თავისუფლების ლენინური პრინციპების გატარების შედეგად. ყველა რელიგიური მიმდინარეობის ერთუფლიანობა საკანონმდებლო ხასიათს ატარებს და განმტკიცებულია კონსტიტუციით. ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად მოქმედებს სრულიად სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა გაერთიანებები. კათოლიკური კასტიოლები, მეჩეთები, სინაგოგები, ბაპტისტთა სამლოცველო სახლები და სხვა საკულტო დაწესებულებები. ამასთანავე, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ დაიკმაყოფილონ რელიგიური მოთხოვნები. მეტიც, ზოგიერთ ეკლესიაში და სამლოცველო სახლში სხვადასხვა ეროვნული შემადგენლობის რელიგიური თემები არსებობენ. ქაშვეთის ეკლესიაში არსებობს ქართველი და რუსი მრევლის სატრაპეზოები. თბილისის ბაპტისტთა სამლოცველო სახლში მოქმედებენ ქართველ, რუს, სომეხ და ოს მორწმუნეთა თემები.

ბურჟუაზიულ-კლერიკალურ წრეებს განსაკუთრებით აღელვებთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკურ და სოციალურ პოზიციებში მომხდარი ცვლილებები, ამიტომ მათ არასწორ ინტერპრეტაციას ახდენენ.

როგორც ფაქტი, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკურ პლატფორმაში ცვლილებები მოხდა და იგი გარკვეული სახით ჩამოყალიბდა. ამ ეკლესიის სოციალური პოზიციის მთელი რიგი ასპექტები ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, მაგრამ მისი ძირითადი მიმართულება უკვე გამოკვეთილია. საქართველოში სოციალისტური წყობილების გამარჯვებას ქართველი მღვდელმთავრები მტრულად შეხვდნენ.

რევოლუციის მტრებთან ერთად ისინი აქტიურად იბრძოდნენ ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, მონაწილეობდნენ ანტისახალხო და ანტისახელმწიფოებრივი მიზნით ჩატარებულ სხვადასხვა აქციებში. ამასთან ერთად მორწმუნე ადამიანები ეკლესიის ასეთი სახის საქმიანობას არ უარყოფდნენ.

სოციალისტური მშენებლობის გარკვეულ ეტაპზე (ძირითადად 1927—1930 წლებიდან) საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელებმა, შეიგნეს რა რესპუბლიკაში სინდისის თავისუფლების პრინცი-

პების განხორციელება, შეცვალეს სოციალისტური წყობილებისადმი დამოკიდებულება. თავდაპირველად შემუშავდა საბჭოთა სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების აპოლიტიკურობის (პოლიტიკაში ეკლესიის ჩაურევლობა) პრინციპი. შემდგომში იგი შეიცვალა ლოიალური დამოკიდებულებით.

რესპუბლიკაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შემდეგ, თვით მორწმუნე ადამიანების პოლიტიკურ შეხედულებებში მომხდარი არსებითი ხასიათის ცვლილებების შედეგად, სახელმწიფოსადმი საქართველოს ეკლესიის ლოიალურმა დამოკიდებულებამ შემდგომი განვითარება პოვა. იგი კეთილგანწყობილებაში გადაიზარდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკურ პოზიციაში მომხდარი ცვლილებების პარალელურად შეიცვალა ამ ეკლესიის მთელი რიგი სოციალური პრინციპები. ასე მაგალითად: გარკვეული ძვრები აღინიშნება შრომისადმი დამოკიდებულების საღვთისმეტყველო გაგებაში. ადამიანის უფლება-მოვალეობის საკითხზე ტრადიციულ საეკლესიო კონცეფციაში და ა. შ. აღნიშნული და სხვა სახის ცვლილებები განპირობებული არის, უპირველეს ყოვლისა, საერთოდ ადამიანთა და კერძოდ მორწმუნეთა შეგნებაში მომხდარი რევოლუციური სახის გარდაქმნებით. ეკლესია იძულებულია გაითვალისწინოს ყოველივე ეს.

მაშასადამე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკურ და სოციალურ პოზიციებში მომხდარი ცვლილებები ობიექტური ხასიათის ფაქტორებით არის განსაზღვრული და ისინი არ არიან სოციალისტური სახელმწიფოს მხრიდან საეკლესიო წრეებისადმი დაძალების შედეგი, როგორც ამის დასაბუთებას საზღვარგარეთელი სპეციალისტები ცდილობენ.

ბურჟუაზიულ-კლერიკალური პრესა — „ოსსერვატორე რომანო" (ვატიკანი), „შახაუზენ ნახრიხენი" (გფრ), „ორთოდოქს ჩერჩი" და სხვები ყოველნაირად ცდილობენ მრუდე სარკეში წარმოსახონ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამშვიდობო პოლიტიკა. მათი განმარტებით, ეს პოლიტიკა დაქირავებული, „წითელი" მღვდლების საქმიანობის შედეგია. საზღვარგარეთელი რელიგიათმკვლევრების მტკიცებით, საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, „სახელმწიფო ათე-

იზმი“ არსებობს, ადამიანები იძულებულნი არიან ათეიზმი აღიარონ. სინამდვილეში ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა მორწმუნეები არიანო. რაც შეეხება მორწმუნეებს და კულტის მსახურებს, მათი მტკიცების თანახმად, ისინი იმას აკეთებენ, რასაც სახელმწიფო სპეციალური ორგანოები ავალებენო.

აღნიშნული მტკიცებანიც უსაფუძვლოა. ისინი ლოგიკურად აგრძელებენ ბურჟუაზიულ-კლერიკალური წრეების მოსაზრებებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი დამოუკიდებელი საქმიანობისათვის, რასაც საქართველოში სტუმრად მყოფი მსოფლიო საეკლესიო გაერთიანებათა წარმომადგენლებიც აღნიშნავენ. აღნიშნულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე მდგომარეობა ნათელყოფს. ეს ეკლესია უშვებს სისტემატურ ჟურნალს „ჯვარი ვაზისა“, სტამბავს „საქართველოს ეკლესიის კალენდარს“, „საღვთისმეტყველო კრებულებს“, მცხეთის სასულიერო სემინარიის ბაზაზე ამზადებს ღვთისმსახურებს და ა. შ.

რაც შეეხება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო სამშვიდობო პოლიტიკის პრინციპებს, იგი არ არის არც ნაძალადევი აქტი და არც მხოლოდ უკანასკნელი წლების დროს მოხდენილი რელიგიური მოდერნიზმის შედეგი. ეს პრინციპები დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩამოყალიბდა. ეკლესიის ხელმძღვანელები აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ ომში დაღუპულ მეომართა ნათელი ხსოვნის უკვდავსაყოფად, მტერზე გამარჯვების რწმენის დანერგვისათვის, ეკლესია აგროვებდა თანხებს ფრონტის დასახმარებლად და ა. შ.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები განაგრძობდნენ ომის მომხრეთა წინააღმდეგ ჩატარებულ შეკრებებში მონაწილეობას. თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკლესია მხარს უჭერს სკკპ და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას, იგი აქტიურად მოღვაწეობს მშვიდობისათვის გაშლილ მოძრაობაში, კერძოდ, სხვადასხვა სახის სამშვიდობო მოთხოვნებთან დაკავშირებით მებრძოლი დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ მოწყობილ მსოფლიო და საკავშირო კონფერენციებში. მსოფლიო საეკლესიო საბჭოს (საქართველოს ეკლესია ამ საბჭოს წევრია

1962 წლიდან) განყოფილებების, დეპარტამენტებისა და კომისიების მუშაობაში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლების აქტიურმა მონაწილეობამ განსაზღვრა ეკლესიის საგარეო საქმიანობის მრავალფეროვნება. კერძოდ, თუ წინა პერიოდში ეს საქმიანობა მხოლოდ მშვიდობისათვის ბრძოლით შემოიფარგლებოდა, შემდგომ წლებში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური პრობლემების განხილვაში, რეგიონალური თუ ინტერკონფესიონალური მასშტაბით მოწყობილ სამშვიდობო შეკრებებსა და დისკუსიებში, სადაც სათანადო ადგილს იჭერს მიგრაციის, ხალხთა შორის სამართლიანი ურთიერთობის დამკვიდრების, რასიზმთან და აპარტეიდთან ბრძოლის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ კონკრეტული ხასიათის ღონისძიებების დასახვისათვის ჩასატარებელი დიალოგების აუცილებლობის და სხვა საკითხები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობას კავშირურთიერთობა აქვს საზღვარგარეთელ და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედ თითქმის ყველა რელიგიური მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. ეკლესიას ამჟამად შემუშავებული აქვს ეკუმენიკური მოძრაობის გარკვეული სტატუსი.

აღნიშნული და ანალოგიური ხასიათის მასალის საფუძველზე აშკარაა დასავლეთელი „მოაზროვნეების" იმ მტკიცებების უსაფუძვლობა, რომელთა თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობა, კერძოდ, საგარეო-სამშვიდობო პოლიტიკა იძულებითი ხასიათის აქტია.

ზოგიერთი საზღვარგარეთელი ავტორი (ნ. სტრუვე. ა. ბოგოლეპოვი, დ. კონსტანტინოვი და სხვები) ყოველგვარი პასუხისმგებლობისა და კონკრეტული ფაქტების გარეშე პირდაპირ აცხადებს, თითქოს საბჭოთა კავშირში დღემდე წარმოებს ეკლესიების შენობათა დანგრევა, რელიგიური რწმენისათვის მორწმუნეთა და კულტის მსახურთა დაპატიმრება, ტარდება მკაცრი რეპრესიები მათ მიმართ. ამ ბრალდების დასამტკიცებლად მათ არასწორად, მთლიანი დამახინჯებით მოჰყავთ ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული მასალები ზოგიერთი კულტის მსახურისა და მორწმუნის დასჯის შესახებ. ისინი მკითხველს უმალავენ მათი დასჯის ნამდვილ მიზეზებს,

აღნიშნავენ მხოლოდ დასჯის ფაქტს და საქმეს ისე წარმოადგენენ, თითქოს დასჯა მათი რელიგიური რწმენისათვის მოხდა.

სინამდვილეში მორწმუნეები და კულტის მსახურნი სარგებლობენ სრული უფლებით აღიარონ, რომელიც მათ უნდათ. რელიგია, ასრულებდნენ რელიგიურ კულტებს. კონსტიტუციით, შუღლისა და სიძულვილის გაღვივება რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებით აკრძალულია. მეტიც, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს დებულების თანახმად. კულტების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის დამნაშავე პირებს ეკისრებათ დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

კულტის მსახურებისა და მორწმუნეების ერთი ნაწილის დასჯის ყველა შემთხვევა, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სინამდვილეში აღინიშნა, დაკავშირებულია მათ მიერ საბჭოთა კანონების დარღვევასთან. ისინი დაისაჯენ ისევე, როგორც დანაშაულის შემთხვევაში ისჯებიან არამორწმუნე მოქალაქეები. საბჭოთა კავშირში კანონი ყველა მოქალაქისათვის სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, მორწმუნე იქნება იგი თუ არა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ უხეშად ამახინჯებენ საზღვარგარეთელი ავტორები ზოგიერთი კულტის მსახურის და მორწმუნის დასჯასთან დაკავშირებულ ფაქტებს, მოვიტანთ კონკრეტულ შემთხვევას: რამდენიმე წლის წინათ სახალხო სასამართლოს წინაშე წადგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკმაოდ მაღალი რეგალიის მიტროპოლიტი — გაიოზ კერატიშვილი. იგი კანონიერად იქნა დასჯილი ქართველ ერის კუთვნილების — ხელოვნების სამუზეუმო ნიმუშების სპეკულაციისათვის, სამართლიანი განაჩენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ მთლიანად მოიწონა. საზღვარგარეთის რეაქციულმა პრესამ კი გ. კერატიშვილი რელიგიისათვის წამებულ პირად გამოაცხადა და იმის საილუსტრაციოდ გამოიყენა, რომ დაესაბუთებია საქართველოში კულტის მსახურთა დევნის ფაქტი.

ბურჟუაზიული პროპაგანდისათვის დამახასიათებელი თვისების — სიცრუის, ფაქტების აშკარა დამახინჯების ერთ-ერთი მაგალითია თბილისში მყოფი შვეიცის პრესის მუშაკთა ერთი ჯგუფის მიერ თბილისის ბაპტისტთა სამლოცველო სახლის საქმიანობის

დამახინჯებულად წარმოდგენა. შვეიცის რეაქციული პარტიის გაზეთში გამოქვეყნებულ მრავლისმეტყველ სათაურიან წერილში: „არა მხოლოდ ბაპტისტები წარსდგებიან სასამართლოს წინაშე“ ავტორები იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, რომ სახალხო სასამართლო მორწმუნეებთან ერთად იმ პატარა ბავშვებსაც დასჯის, რომლებიც. მათ მიერ ამ სახლის დათვალიერების დროს, ცნობისმოყვარეობის გამო, თვალყურს ადევნებენ სამლოცველო სახლში ჩატარებულ ღმერთმსახურებას.

უკანასკნელ წლებში, პანისლამიზმის იდეების ფართო პროპაგანდის პირობებში, საზღვარგარეთის მტრული ცენტრები ყურადღებას ამახვილებენ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ისლამის რელიგიის მიმდევრებს შორის ეროვნული გრძნობების გაღვივებაზე. ისინი ცდილობენ მორწმუნეებს განუმტკიცონ ისლამის მოთხოვნებისადმი ბრმა რწმენა, ამ რელიგიის საყოველთაობა და ა. შ. ამ პროპაგანდაში გარკვეულ ადგილს იჭერს ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრაციის გარეშე მოქმედ მოლებისადმი მხარდაჭერა.

მაშასადამე, ბურჟუაზიული, კლერიკალური წრეების მიერ საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოში, კულტის მსახურთა და მორწმუნეთა კონსტიტუციური გარანტიების დამახინჯებულად წარმოსახვა არა თუ არ შეესაბამისება ობიექტურად არსებულ სინამდვილეს, არამედ იგი უკიდურესად ტენდენციური, რეაქციული ხასიათისაა.

უკანასკნელ დროს საზღვარგარეთის პრესა და ოფიციალური რელიგიური ორგანიზაციები განსაკუთრებული მძვინვარებით ესხმებიან თავს ჩვენს ქვეყანაში აკრძალული ზოგიერთი რელიგიური სექტის თემთა წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს. ამ უკანასკნელს ისინი საბჭოთა კავშირში სინდისის თავისუფლების არარსებობის აშკარა გამოხატულებად და რელიგიის ადმინისტრაციული საშუალებებით ლიკვიდაციის დამადასტურებელ ფაქტებად მიიჩნევენ. აღნიშნული საკითხი დასავლეთელი პუბლიცისტებისა და რელიგიური გაზეთების კორენსპონდენტების ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ზოგიერთი ავტორი სპეციალიზდება კიდეც ამ მიმართულებით, მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია უ. ფლეტჩერი, მ. ბურდო, ი. სან-ფრანცისკოელი და სხვები. რადიოსადგურები

„გოლოს ამერიკი“, „ბი-ბი-სი“, „თავისუფლება“, „გოლოს ანდ“, „ეკვადორი“, „გოლოს მონტე კარლო“ სპეციალურ გადაცემებს აწყობენ აკრძალული რელიგიური სექტების მხარდასაჭერად, ცდილობენ მათი ხელმძღვანელების და აქტიური წევრების დაცვას.

ბურჟუაზიული ყალბისმქნელები უმალავენ საზღვარგარეთელ მკითხველს, რომ საბჭოთა კავშირში ზოგიერთი რელიგიური სექტა არ არის რეგისტრირებული არა რელიგიური მოტივის, არამედ მათი საქმიანობის ანტისაზოგადოებრივი, ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის გამო. ბურჟუაზიულ-კლერიკალურ წრეებს სურთ, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებელ სახელმწიფოში ექსტრემისტული ორგანიზაციები არსებობდნენ.

ჩვენს ქვეყანაში რეგისტრაციას არ ექვემდებარება ეგრეთწოდებული „ბაპტისტი ინიციატივისტები“. აღნიშნული ჯგუფები ორი ათეული წლის წინათ გამოეყვნენ ოფიციალურად არსებულ ბაპტისტთა რელიგიურ თემებს და მოკლე დროში შეაკოწიწეს ორგანიზაციულად მტკიცე, ექსტრემისტული თემები. მათი ხელმძღვანელები და აქტიური წევრები მოითხოვენ რელიგიური სკოლების ჩამოყალიბებას, საზოგადოების შეკრების ადგილებში რელიგიის პროპაგანდის თავისუფლებას და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ორგანოებმა არაერთხელ მოუწოდეს „ბაპტისტ-ინიციატივისტებს“ დაეცვათ რელიგიური კულტების შესახებ არსებული დებულებები და ინსტრუქციები, ისინი განაგრძობენ ანტისახელმწიფოებრივ და ანტისახალხო ხასიათის საქმიანობას. სწორედ ამის გამო არის აკრძალული ამ ურჯუკული რელიგიური სექტის არსებობა.

ოკეანესგაღმელი ჰორიკანების, გადამთიელი პარანოიკების მსჯელობების უსაფუძვლობას ასაბუთებს ის, რომ საქართველოს რესპუბლიკაში არსებობს და თავისუფლად მოქმედებს რეგისტრირებული რელიგიური სექტების მეტად ფართო გაერთიანებანი, კერძოდ: ბაპტისტთა, მალაკანთა, ორმოცდაათიანელთა, მეშვიდე დღის ადვენტისტთა რელიგიური სექტების თემები. ბაპტისტთა თბილისის სამლოცველო სახლი ერთდროულად წარმოადგენს ამიერკავკასიაში მოქმედ ბაპტისტთა გაერთიანების ცენტრს. რომელიც შედის ევანგელ-ქრისტიან ბაპტისტთა საკავშირო (ქ. მოსკოვში)

საბჭოს შემადგენლობაში. ბაპტისტები უშვებენ ყოველთვიურ ჟურნალს „ბრატსკი ვესტნიკს". იწვევენ ყრილობებს და ა. შ.

მაშასადამე, სსრ კავშირში რელიგიურობის შემსწავლელი საზღვარგარეთული ცენტრების მიერ ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთი რელიგიური სექტის საქმიანობის მრუდე სარკეში წარმოსახვით რელიგიური რწმენის თავისუფლების დასაბუთებისათვის შეთხზული მტკიცებანი და მოყვანილი მაგალითები ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. ამჯერადაც დამასინჯებულია ფაქტები და მოვლენები.

საქართველოში ჩატარებული მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის მიზნებისა და ამოცანების სრული გაყალბება საზღვარგარეთელი კალმოსნების ერთ-ერთი საყვარელი თემაა. ამ საკითხზე მსჯელობის დროს ისინი, უპირველესად ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებენ ზოგიერთ იმ შეცდომაზე, რომელიც ათეისტურ მუშაობაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში აღინიშნებოდა (ადმინისტრაციული წესით ეკლესიების დახურვა, კულტის მსახურთა დევნის ერთეული შემთხვევები და ა. შ.).

სინამდვილეში საქართველოს კომპარტია შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდა რელიგიის დასაძლევად ჩატარებული მუშაობის დროს ადმინისტრაციული საშუალებების გამოყენების წინააღმდეგ. ამ მიზნით მიღებული იყო არაერთი დოკუმენტი, დადგენილება, გადაწყვეტილება, გამოცემული იყო ცირკულარები, ბრძანებები და ა. შ.

ბურჟუაზიულ-კლერიკალური წრეები ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარებული მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის ძირითად მიზნად ეკლესიების დანგრევას, რელიგიის ლიკვიდაციას აცხადებენ. აღნიშნულის დასამტკიცებლადაც მათ ფალსიფიცირებული, მიკერძოებული მასალები მოჰყავთ.

მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის შედეგები რომ უარყონ, ამიტომ საზღვარგარეთის რელიგიური და ბურჟუაზიული პრესა საქმეს ისე წარმოადგენს, თითქოსდა საბჭოთა ქვეყანაში იზრდებოდეს მორწმუნეების რიცხვი. ასე მაგალითად: იმის დასამტკიცებლად, თითქოს თანამედროვე პირობებში შეიმჩნეოდეს საქართველოს ახალგაზრდობის მასობრივი ლტოლვა რელიგიისა და

ეკლესიისადმი, შვეიცარიული გაზეთის „დერბუნდისა“ და კათოლიკური ყოველკვირეულის „ტებლიტის“ მესვეურებმა გამოიყენეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოხსენებაში მითითებული მასალა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობის. კერძოდ, სტუდენტი ახალგაზრდობის ერთი. მართალია მცირე, მაგრამ გარკვეული ნაწილი, დაინტერესდა რელიგიური მოდერნიზმით. ამ გაზეთების მესვეურებმა მეტად მცირე ნაწილი აბსოლუტურ უმრავლესობად წარმოადგინეს. რასაკვირველია, არაფერი თქვეს იმავე მოხსენების აღნიშნულ განმარტებაზე, სადაც მითითებული იყო, რომ იმ ახალგაზრდების უმრავლესობამ, რომელიც გაეცნო რა საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებს, არ გაიზიარა ისინი, ზურგი შეაქცია ეკლესიას. მაგრამ ყოველივე ის. რაც მტრული პროპაგანდისტული მანქანის წისქვილზე არ ასხამს წყალს. მათთვის მიუღებელია. საქართველოს პრესაში ათეისტურ თემებზე დაწერილი წერილებიდან და სტატიებიდან ერთეული ადგილების ამოგლეჯის საფუძველზე საზღვარგარეთელ მკითხველს სთავაზობენ ისეთ შეთხზულ, შეკაზმულ მასალას, რომელსაც ობიექტურ სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ზაზა მენთეშაშვილი

ისლამის როლი თანამედროვე არაბულ საზოგადოებაში

(მაროკოს მაგალითზე)

მაღრიბის ქვეყნებიდან მაროკო ყველაზე უფრო ტრადიციული სახელმწიფოა. იგი ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მონარქიული წყობა შემორჩა. მაროკოელების 99% სუნიტი მუსლიმები არიან. გარდა ამისა ქვეყანაში ცხოვრობს 100 ათასზე მეტი იუდაიზმის რელიგიის მიმდევარი. ებრაელების თემი მაროკოში ისრაელში მათ მასობრივ გადასახლებამდე, მაღრიბს და სხვა არაბულ ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. ქრისტიანების რიცხვი დაახლოებით 60 ათასს შეადგენს. ზოგიერთი მათგანი უცხოელია, რომელსაც მაროკოს ქვეშევრდომობა აქვს მიღებული. მაროკოს მოსახლეობა ძირითადად არაბებისა და ბერბერებისგან შედგება. აქედან ბერბერები მოსახლეობის 55% შეადგენენ. მუსლიმთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ სუფისტი ძმები, რომელთა რელიგიური ორგანიზაციაც სამხედრო-რელიგიური ორდენების სახით ჯერ კიდევ XIII საუკუნეებში არსებობდა. ბოლო ხანებამდე ყველაზე გავლენიანი ძმობა იყო თიჯანია, შადილია, დერკავია და სხვები. სულ მათი რიცხვი 23-ს აღწევდა. 70-იანი წლების მიწურულს მაროკოში აღინიშნება ახალი ისლამური ორგანიზაციების, ძმობის, სექტებისა და კავშირების წარმოქმნა. 1984 წლისათვის 30 ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. სულ ძველ და ახალ რელიგიურ ორგანიზაციებში ქვეყნის მუსლიმთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი არის გაერთიანებული. ყველა ეს ორგანიზაცია წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან შედარებით მორწმუნეებში უფრო მეტი ავტორი-

ტეტით სარგებლობს. 1972 წელს მიღებული კონსტიტუციით. ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. კონსტიტუცია მაროკოს მეფეს ჰასან II-ს, როგორც ალავიტების დინასტიის მეთაურს. ანიჭებს ამირ ალ-მუმინის — მართლმორწმუნეთა მბრძანებლის განსაკუთრებულ ტიტულს.

მაროკოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან (1956 წ.) მოყოლებული, ქვეყნის პირველი მონარქი მუჰამედ V და შემდგომში მისი შვილი ჰასან II გულმოდგინედ შეუდგნენ ქვეყნის მაროკანიზაციისა და არაბიზაციის განხორციელებას. სამართალწარმოება არაბულ ენაზე დაწესდა, სწავლა უმაღლეს სასწავლებლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არაბულ ენაზე დაიწყო. ამ მიზნით გატარდა ე. წ. „ყურანის სკოლების" ღონისძიება. ყველაფერი ეს ორთოდოქსალურ ისლამს ერთგვარად ასუსტებდა. მაგრამ მისი გავლენა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე აშკარა იყო. თანამედროვე მაროკოში საკანონმდებლო ფუნქციებს პარლამენტი და წარმომადგენელთა პალატა ასრულებს. სახელმწიფო წარმოადგენს კონსტიტუციურ დემოკრატიულ და სოციალურ მონარქიას. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინსტიტუტები აქ უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა მონარქიულ არაბულ ქვეყნებში. მაროკოში ნებადართულია პარტიული პლურალიზმი, რაც კონსტიტუციური პარლამენტარიზმის გამოხატულებად ითვლება, მეფეს უფლება აქვს შეაჩეროს, გააუქმოს ან მოიწონოს მთავრობის ესა თუ ის გადაწყვეტილება. პოლიტიკური პარტიების საქმიანობას „დემოკრატიულ კონტროლს" უწევს თვით მონარქი, რომელიც ასრულებს რა არბიტრის როლს, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ არ დაუშვას რომელიმე პოლიტიკური პარტიის ზომაზე მეტად გაძლიერება. გარდა ამისა, მეფე. როგორც ქვეყნის სასულიერო ლიდერი, ზღუდავს რელიგიურ ოპოზიციას. გასაქანს არ აძლევს მას, რომ პოლიტიკურად მომძლავრდეს და ორგანიზაციული სახე მიიღოს. რელიგიური ინსტიტუტები, მოლები, ღვთის მსახურები. იმამები და ულემები მეფის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ყველა რელიგიური ორგანიზაცია გაერთიანებულია რეგიონალურ საბჭოში, რომელთაც სახელმწიფო უწევს კონტროლს. რეგიონალური საბჭოები ემორჩილებიან ქ. ფესის (მაროკოს რელიგიური დედაქალაქი) საბჭოს. ყოველი მეჩეთის იმამი

ზემოდან ინიშნება და ამასთან სპეციალური სამინისტრო მის საქ-ციანობას სისტემატურ და მკაცრ კონტროლს უწევს.

ჯერ კიდევ მაროკოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სასულიერო და სამოქალაქო ხელისუფლება მეფის ხელში აღმოჩნდა. დაკარგეს რა სასულიერო ცხოვრებაში წამყვანი ადგილი, ულემები სახელმწიფო ხელისუფლების დანამატად გადაიქცნენ. აღინიშნებოდა მორწმუნეთა შორის მათი ავტორიტეტის დაცემა. ამასთან ქვეყნის სასულიერო ხელისუფლების შესუსტებაც. ირანის ისლამურმა რევოლუციამ მაროკოელ მუსლიმებზე გარკვეული გავლენა მოახდინა. ქვეყნის რელიგიურ წრეებს, კერძოდ კი ულემებს შორის სულ უფრო რელიეფურად გამოიკვეთა მმართველი რეჟიმისადმი ოპოზიცია. გაჩნდა წვრილი მუსლიმური ორგანიზაციები, რომლებიც ოპოზიციური პროგრამით გამოდიოდნენ.

რელიგიურ საქმეთა ადმინისტრაციულ კონტროლს ხაბუსების.. და ისლამურ საქმეთა სამინისტრო განაგებს. მის კომპეტენციაში შედის მაროკოელ რელიგიურ მოღვაწეთა საერთაშორისო კავშირებისადმი ყურის გდება. სიმპოზიუმების, კონფერენციებისა და თათბირების ორგანიზაცია, რელიგიური ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. თვალყურის დევნება, მოქალაქეები სისტემატურად დადიან თუ არა მეჩეთში. ასრულებენ თუ არა ისლამურ რიტუალებს, იცავენ თუ არა მარხვას რამადანის დღესასწაულის დროს და ა. შ.

რელიგიური ნორმების და ისლამის ტრადიციების დაცვის აუცილებლობა ხაზგასმით აღინიშნა მაროკოელი ულემების ლიგის მეშვიდე ყრილობაზე, რომელიც ქ. უჯდაში, 1979 წლის მაისში შედგა. მოუწოდებდა რა მუსლიმებს, გამოხმაურებოდნენ წინაპართა ძახილს. ხაბუსებისა და ისლამურ საქმეთა მინისტრმა აჰმედ რამზიმ განაცხადა: „ადრე მეჩეთები ცოდნის მიღების და მომავალი თაობის აღზრდის საშუალებას წარმოადგენდა, ახლა კი ამ წმინდა ადგილებში აღარავინ დადის. ამჟამად ჩვენი ახალგაზრდობა ყოველგვარ ზედაპირულ იდეებს ატარებს, ჩვენ კი უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ისეთი ღირსეული ცვლა გვყავდეს, რომელიც ულემების საქმეს გააგრძელებს. ამიტომ საჭიროა თეოლოგების და ღვთისმსახურების ახალი კადრების აღზრდა“. აჰმედ რამზის სიტყვით, გამოსვლის მიზანი იყო ხალხს დაენახა, თუ რა-

ოდენ მძიმე პირობებში უხდებოდათ მაროკოელ მუსლიმებს მოღვაწეობა, რომ ისლამის მტრების წინააღმდეგ ახალგაზრდობის ჩაბმა აუცილებელი იყო. დაარსების დროიდან მოყოლებული მაროკოელი ულემების ლიგა თავის საქმიანობას ამ მიმართულებით წარმართავდა, ეწეოდა საგანმანათლებლო წესების, კანონებისა და სკოლის სახელმძღვანელოების გადასინჯვას, არაბიზაციის და მაროკანიზაციის მიმდინარეობის შემოწმებას. ყრილობაზე ულემების ლიგის მდივნად აირჩიეს აბდალაჰ გესსუსი და ოთხი კომისია დაარსეს. ესენია: სოციალურ საქმეთა კომისია — თავმჯდომარე ჰასან კიტანი, საინფორმაციო კომისია — თავმჯდომარე აბდელ-კადერ აფია და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმეთა და ისლამურ საქმეთა კომისიები — თავმჯდომარე აბდელლატიფ ალ უეზანი. პირველი კომისიის მოვალეობა იყო: შეექმნა მაროკოს ერთიანი მუსლიმური სკოლა, ყური ეგდო შარიათის კანონების დაცვისა და ზაქათის ორგანიზაციის უზრუნველყოფისათვის. მეორე კომისია განაგებდა ოჯახურ პრობლემებს. შერეული ქორწინების (ქრისტიანსა და მუსლიმს შორის, არაბებსა და ბერბერებს და სხვა ნეგროიდულ მოსახლეობას შორის) საკითხებს, აზარტული თამაშების, ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას. მეორე კომისიის დადგენილებით, მაროკოში შემოღებულ იქნა სავალდებულო ლოცვა ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში და სასწავლებელში. მესამე კომისიას უნდა ეზრუნა იმისათვის, რომ არ დაეშვა ისეთი ხასიათის პუბლიკაციების გავრცელება და კინოფილმების ჩვენება, რომელიც ისლამურ ნორმებსა და წესებს ზიანს მიაყენებდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამოყენებული უნდა ყოფილიყო ახალგაზრდობის ისლამური აღზრდისათვის. მეოთხე კომისია განსაზღვრავდა მაროკოელი ულემების ლიგის პოზიციას მუსლიმურ სამყაროში არსებული განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ (მაგ. პალესტინაში).

ამავე დროს თანამედროვე მაროკოში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება „არაოფიციალური" ისლამი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოს მიერ მიღებული ოფიციალური ისლამის კონცეფციებისაგან განსხვავებული შეხედულებანი და წესები წარმოიშვა. შეიქმნა ბევრი რელიგიური ჯგუფი, რომლებიც ჰასან II-ის რეჟიმისადმი ოპოზიციურად იყვნენ განწყობილი. მაროკოელი თეოლო-

გების აზრით, ეს მუსლიმური ორგანიზაციები წარმოადგენენ საშიშროებას არა მარტო მონარქიისათვის, არამედ ყოველგვარი პროგრესული წამოწყებისათვის თანამედროვე მაროკოში. ასეთი მიმდინარეობის ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია „ძმები მუსლიმები", რომელთა ცენტრიც ქ. ტეტუანში მდებარეობს. ეს ექსტრემისტული ორგანიზაცია მაროკოში გაჩნდა 1958 წელს ეგვიპტეში მათი საქმიანობის აკრძალვის შემდეგ. „ძმები მუსლიმები" კონტროლს უწევენ არაბული ქვეყნების მთელ რიგ მუსლიმურ ასოციაციებს და კავშირი აქვთ ყველაზე რეაქციულ რელიგიურ წრეებთან. ისინი ხშირად ტერორისტულ აქტებსაც აწყობენ მაროკოს პროგრესულ მოღვაწეთა წინააღმდეგ.

როდესაც საქმე ეხება მაროკოს მუსლიმურ ორგანიზაციებს, უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ სახელწოდება „ორგანიზაციას" პირობითი გაგება აქვს. ჩვეულებრივ ეს არის მორწმუნეთა ჯგუფი, გაერთიანებული ერთი რომელიმე მქადაგებლის გარშემო, ჯგუფები რიცხობრივად სხვადასხვა რაოდენობისაა. თითოეული მათგანი აერთიანებს როგორც რამდენიმე, ასევე ათასობით და ათი ათასობით მუსლიმსაც. მათ რელიგიური საზოგადოებები, კავშირები, ასოციაციები, სექტები ან ძმობები ეწოდებათ. ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ყველა ასეთი რელიგიური ორგანიზაცია ვალდებულია ხაბუსებისა და ისლამურ საქმეთა სამინისტროში იყოს რეგისტრირებული.

სინამდვილეში ზემოაღნიშნული სამინისტროს სიაში აღრიცხულია 25-ზე მეტი სხვადასხვა რელიგიური ძმობა, ასოციაცია, სექტა და სხვა ხასიათის რელიგიური ორგანიზაცია. არაოფიციალური ორგანიზაცია 20-ზე მეტია და ისინი თავიანთ რიგებში 10 ათასზე მეტ მუსლიმს აერთიანებენ.

მაროკოში რელიგიურ-ექსტრემისტული სექტებიდან ყველაზე ძლიერი იყო „ზეითუნის წმინდა ძმობა". ეს სექტა ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა მთავრობის მიერ გატარებულ ნებისმიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებას. სექტის მეთაური ზეითუნი მორწმუნეებს მოუწოდებდა არ ეცნოთ სახელმწიფო კანონები, რომლებიც, მათი აზრით, მუსლიმების თავისუფლებასა და უფლებებს შელახავდნენ. ამ რელიგიურ სექტას ჰყავდა თავისი „საკუთარი პოლიცია", რომელიც სექტის შეიარაღებული წევრე-

ბისაგან შედგებოდა. ისინი ხშირად აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს. კერძოდ ქ. ფესში, ჰასან II-ის სატახტო ქალაქში. მალე 1980 წლის ივნისში მაროკოს უშიშროების ძალებსა და ზეითუნის სექტას შორის მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი. შეტაკების დროს ზეითუნი და მისი მომხრენი შეიპყრეს. ქ. ფესის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ ზეითუნის და მისი სექტის წევრებს სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

მეფე ჰასან II ისწრაფოდა დაეწესებინა კონტროლი რელიგიური წრეების და სექტების საქმიანობაზე, დაემორჩილებინა ისინი არსებული რეჟიმისათვის და ამიტომ „ზეითუნის საქმე" გამოიყენა იმის საბაბად, რომ რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობისათვის მკაცრი შეზღუდვები დაეწესებინა. ეს ჯერ კიდევ ზეითუნის დაპატიმრებამდე დაიწყო. 1980 წლის დასაწყისში გამოიცა დაჰირი (კანონი) ულემების უმაღლესი საბჭოს შექმნის შესახებ. ამჟამად ეს უკანასკნელი მაროკოში ყველაზე მაღალ სასულიერო ინსტანციას წარმოადგენს. უმაღლეს საბჭოში შედიან მაროკოს ულემების ასოციაციის გენერალური მდივანი. ქვეყნის უმსხვილესი ქალაქების ულემები, ხოლო უმაღლესი საბჭოს მეთაურად მეფემ თავისი თავი დანიშნა.

ულემების უმაღლესი საბჭოს ფუნქციებში შედის ძირითადად მსხვილი თეოლოგიური საკითხების გადაწყვეტა. პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებანი, როგორიცაა მეჩეთების, მედრესეების (მუსლიმური სკოლა) მშენებლობა, რელიგიური მანიფესტაციების ჩატარება, ხაბუსებისა და ისლამური საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში შედის.

ჰასან II-ის შეხედულებების ტრანსფორმაცია აშკარაა: თუ ადრე მეფემ შეზღუდა ულემების საქმიანობა, ისინი სახელმწიფო მართვას ჩამოაშორა და მათ მარტო ხალხის მასების რელიგიური აღზრდის საშუალებას აძლევდა, ახლა უმაღლესი საბჭოს შექმნით, ჰასან II-მ სცადა სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში ულემებიც ჩაერია. სინამდვილეში ულემების მდგომარეობა ისევ ძველებურად დარჩა. თავისი დაარსების დღიდან მოყოლებული, უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობით ჯერაც არ შეკრებილა. ჰასან II პერიოდულად ხვდება საბჭოს წევრებს და ასეთი შეხვედრები

ფართოდ შუქდება მაროკოს პრესაში. ულემების ლიგის ყოველ შეკრებას მეფე უგზავნის წერილს, ამით იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას. რომ მთავრობა აფასებს ღვთისმსახურების ღვაწლს და ზრუნავს ერის სულიერი სამყაროს გამდიდრებისათვის. 1980 წლის 1 თებერვალს, უმაღლესი საბჭოს წევრების წინაშე გამოსვლისას, ჰასან II-მ აღნიშნა: „როგორც ყველა ნამდვილი მუსლიმი, ისე ჩვენც შეშფოთებული ვართ რელიგიური პრინციპებიდან გადახვევით, ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, უფრო მეტიც ამჟამად გავრცელდა ისეთი ექსტრავაგანტური იდეები და რწმენები, რომელთაც ნამდვილ ისლამთან არავითარი კავშირი არ აქვთ“.

მიუხედავად იმისა, რომ მაროკოს მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ქვეყნის მუსლიმების ერთიანობის შესანარჩუნებლად, ზოგიერთი იატაკქვეშა მუსლიმური ორგანიზაცია ისლამის „სისუფთავის დაცვის“ და „სოციალური სამართლიანობის“ ლოზუნგს ამოფარებული ბრძოლას აწარმოებს მონარქიის წინააღმდეგ. ისლამის „არაოფიციალური“ ლიდერების ფანატიზმისგან თავის დასაღწევად. მაროკოს მმართველი წრეები ცდილობენ მოახდინონ მათი აქტიობის ნეიტრალიზება, შეამცირონ მათი გავლენა ხალხის მასებზე. ამასთანავე სამეფო კარის მიზანია სულ უფრო სრულფასოვნად გამოიყენოს „ოფიციალური“ ისლამი. რომელიც ხალხის მასებს იმ აზრს ჩაუნერგავს, რომ მეფის წინააღმდეგ გამოსვლა ყურანის წინააღმდეგ გამოსვლის ტოლფასოვანია, რაც მონარქიის ინტერესებს ემსახურება.

ირანში 1979 წლის თებერვალში მომხდარმა რევოლუციამ, რომლის შედეგადაც შაჰი ტახტიდან გადაგდებულ იქნა, კიდევ ერთხელ შეახსენა მონარქიას, რომ რელიგიური ორგანიზაციები და დაჯგუფებები მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა ჰყოლოდა. სწორედ ამიტომ ჰასან II-მ უმაღლესი რელიგიური პირები დაიახლოვა, იგი ანდობს მათ ბევრი პოლიტიკური პრობლემის გადაჭრას, აგზავნის საზღვარგარეთ სხვადასხვა დიპლომატიური მისიით, გარდა ამისა, ყველა ოფიციალურ რელიგიურ ორგანიზაციას მიზნად უსახავენ მონარქიული რეჟიმის, ტრადიციონალიზმის დაცვას ლოზუნგით „ღმერთი. სამშობლო, მეფე“. გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, თითქოს მაროკოელი მუსლიმები და მათი

ორგანიზაციები სავსებით კონფორმისტული არიან. ჰასან II-ს მიზანსწრაფვა გახდეს ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ასევე საპულიერო ლიდერი, ბევრი ულემის, წამყვანი რელიგიური მოღვაწის სამართლიან გულისწყრომას იწვევს, მიუხედავად მკაცრი სახელმწიფო კონტროლისა, ისინი ოპოზიციაში უდგანან მეფეს. ირანის რევოლუციამ მაროკოს ახალგაზრდობაში ანტიმონარქისტული სულისკვეთების ზრდა გამოიწვია, ადრე უმეტესად უხუცესი მუსლიმები დადიოდნენ მეჩეთებში. ახლა კი აქ ახალგაზრდობამ იმატა, გაიზარდა რელიგიური სექტების რაოდენობა, გაჩნდა ბევრი ორგანიზაცია, რომლებიც „პოლიტიკური ისლამის" დროშის ქვეშ აპირებდნენ მაროკოელების გაერთიანებას. ისლამური მოძრაობის მონაწილენი ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეების მიზეზად მაროკოში ბურჟუაზიული, დასავლეთის ცხოვრების ნორმების შემოჭრას მიიჩნევდნენ, ამიტომ, გრძნობდნენ რა ახალგაზრდობის მხარდაჭერას, რელიგიური წრეები გამოვიდნენ მაროკოს მთავრობის პროდასავლური, პროკაპიტალისტური და ნაწილობრივ ნეოკოლონიალისტური პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ.

ისლამურ მოძრაობას ემხრობა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაბალი ცხოვრების დონის გამო უკმაყოფილო იყო, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა 1978—1979 წლებში მკაცრი ეკონომიკური რეჟიმის შემოღების შემდეგ. მაროკოელთა 45%-მა სრულ სიღარიბეში ამოჰყო თავი. მოსახლეობის უკმაყოფილების ზრდას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ 1982—1984 წლებში აშშ-ის პრეზიდენტსა და მაროკოს მეფე ჰასან II-ს შორის „გულითადი მეგობრული ურთიერთობანი" დამყარდა, ვაშინგტონი ცდილობდა მაროკოში ხელახლა გაეხსნა ახალი სამხედრო-საჰაერო ბაზები, ქვეყანა გადაექცია მაღრიბის და სხვა არაბულ ქვეყნებზე დიპლომატიური და ეკონომიკური ზემოქმედების მოხდენის პლაცდარმად. ყოველივე ამას დაემატა დასავლეთ საჰარის კონფლიქტიც, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტის 45%-ს ნთქავდა.

ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილება მწვავდებოდა ტრადიციული ისლამური მორალის რღვევით, რასაც საზოგადოების თანამედროვე სოციალურ-ფსიქოლოგიური განვითარება იწვევდა, ხალხის მასების ცდა აემაღლებინათ ცხოვრების დონე ტრადიციულ სტრუქტურასთან შეზრდილი გან-

ვითარების კაპიტალისტური მოდელის შესაბამისად. იმედის გაცრუებით დამთავრდა. ამან კი ხელი შეუწყო ისლამის ფუნდამენტალისტების მიერ შემოთავაზებული „ახალი გზის“ არჩევას, რომელიც „განწმენდილ“, „განახლებულ“ ისლამზე იქნებოდა დაფუძნებული.

უკანასკნელ წლებში მაროკოს მონარქიული წრეების პოლიტიკისა და იდეოლოგიის საფუძველს ისლამური ნაციონალიზმი წარმოადგენს. მეფე ჰასან II-ს აქვს პრეტენზია, იყოს არაბულ-მუსლიმური სამყაროს რელიგიური ლიდერი, მისი გავლენა განსაკუთრებით ძლიერია პროდასავლური ორიენტაციის არაბულ ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით მაროკოს მეფე კონკურენციას უწევს საუდის არაბეთის ხელმძღვანელ პირებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუსლიმურ სახელმწიფოთა მეთაურების პირველი კონფერენცია შედგა რაბატში (1969 წ.). მისი მსვლელობის დროს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მუდმივი პოლიტიკური ორგანოს — ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის შექმნის თაობაზე. მაროკოს მონარქიულმა მთავრობამ მხარი დაუჭირა ეგვიპტის ხელმძღვანელობას ისრაელთან სეპარატასტულ გარიგებაში, პოლისარიოს ფრონტის წინააღმდეგ ომს. რასაც ალჟირთან ურთიერთობის შემდგომი გაუარესება მოჰყვა. ყოველივე ამან მაროკო ბევრ არაბულ ქვეყანას დაუპირისპირა, განსხვავებული აღმოჩნდა მაროკოს პოლიტიკაც იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. 1982 წლის სექტემბერში, ქ. ფესში გამართულ არაბული ქვეყნების მეთაურების თათბირზე ჰასან II თავმჯდომარე იყო. მაროკოს მხარე გამოვიდა ახლოაღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების გეგმის შემუშავების ინიციატორად და მის თანამონაწილედაც. გარდა ამისა, მაროკოს ინიციატივით, 1983 წლის ბოლოს ქ. კასაბლანკაში შედგა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის კრება. სადაც აღნიშნული იყო, რომ მაროკოს წვლილი არაბულ ქვეყნებში ისლამის სიწმინდის, არაბიზაციისა და ისლამიზაციის გაღრმავების საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ჰასან II-ს ამჟამად უკავია ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის „შვიდთა კომიტეტის“ თავმჯდომარის პოსტი.

მარტო ტრადიციულ „ოფიციალურ“ ისლამზე დაყრდნობით, გართულებული ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, მონარ-

ქიის შენარჩუნება არცთუ ისე ადვილი იყო. სწორედ ამიტომ ჰასან II-მ ხელი შეუწყო ახალი პრომონარქიული ორიენტაციის პარტიის — კონსტიტუციური კავშირის შექმნას. ახალი პარტიის ლიდერი გახდა მაატი ბუაბიდი — მაროკოს ყოფილი პრემიერ მინისტრი. მონარქიამ მიზნად დაისახა ქვეყანაში არსებული არასტაბილური რელიგიური სიტუაცია პროგრესულ ძალებთან საბრძოლველად გამოეყენებინა. 1986 წლიდან კონსტიტუციური კავშირი გამოვიდა „უცხო იდეოლოგიურ მიმდინარეობებთან ბრძოლის“ ლოზუნგით. უპირველეს ყოვლისა ისინი მონაოქიასთან ერთად ცდილობდნენ ისლამის დაცვისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობა ჩაებათ. მსხვილი ქალაქების სასწავლებლებში ეწყობოდა ახალგაზრდების შეკრებები. მიტინგები. რაბატის მუჰამედ V-ის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე შემოღებულ იქნა ისლამური კანონ-სამართლის, ისლამის საფუძვლების ინტენსიური და სავალდებულო შესწავლა. 1986 წლის 27 ნოემბერს მაროკოს გაზეთ „მაროკ სუარისადმი“ მიცემულ ინტერვიუში მაატი ბუაბიდი აღნიშნავდა, რომ მონარქია 80-იანი წლების მაროკოში ძირეულად განსხვავდებოდა წინამორბედი. წარსული წლების მონარქიისაგან. მისი ოფიციალური იდეოლოგია მოწოდებული იყო ერთიანი ისლამური რელიგიის საფუძველზე ჩამოეყალიბებინა მაროკოელი ერი, შეექმნა ისეთი საზოგადოება. რომლისთვისაც უცხო იქნებოდა უსამართლობა. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. სოციალური უთანასწორობა, ამის საფუძველზე კი სამეფო დემოკრატია ყოველმხრივ განვითარებას პოვებდა.

ისლამური დოქტრინის. როგორც ოფიციალური იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილის გამოყენება საჭირო გახდა არმიის მიმართაც. რადგან ამ უკანასკნელზე ბევრად იყო დამოკიდებული მაროკოში სტაბილური შინაპოლიტიკური ვითარების შექმნა. მაროკოს არმიაში უმრავლესობა ბერბერები არიან. მიუხედავად იმისა. რომ მათი 99% სუნიტი მუსლიმია, არმიაში რელიგიური სულისკვეთება, მაროკოელი ისლამური იდეოლოგების აზრით, საუკეთესოდ არ მიიჩნევა. მაროკოელი ბერბერები. რომლებიც კარგად იცავენ ისლამურ წეს-ჩვეულებებს, თვლიან, რომ რელიგია, ისლამის ოფიციალური იდეოლოგია და სამეფო დემოკრატია არავითარ კავშირში არ იმყოფება მათი საზოგადოების ტრადიციულ

სტრუქტურასთან, ინსტიტუტებთან და მით უმეტეს ტომობრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციასთან. სწორედ ამიტომ ხშირია შემთხვევა, როდესაც ბერბერებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში — ცენტრალურ ატლასსა და სამხრეთ მაროკოში მეფის ხელისუფლება ჩვეული ავტორიტეტით არ სარგებლობს. აქ არ ცნობენ ჰასან II-ს. როგორც მუსლიმური თემის რელიგიურ ლიდერს. ბერბერები თვითონ ნიშნავენ მეჩეთში მოლებს, იმამებს და სხვა ღვთის მსახურებს ადგილობრივ კრებაზე ან თათბირზე არჩევნების შემდეგ და არა ხაბუსებისა და ისლამურ საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით ან უშუალო ჩარევით. უკანასკნელ წლებში აღინიშნება ბერბერების რელიგიური ლიდერების აგურამების (მრ. რ. იგურამენ) ავტორიტეტის ზრდა. ისინი აერთიანებენ თავიანთ ჯამაას (საკრებულო) გარშემო ათეულობით სოფლებს. ბერბერები სოფელში მათ გამოჩენას მოუთმენლად ელიან, ქადაგების შემდეგ აგურამები იწვევენ საჯარო კრებას, სადაც მოსახლეობას განუმარტავენ მთავრობის შინა პოლიტიკურ კურსს, აწვდიან ცნობებს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის შესახებ და ა. შ. ყოველი ასეთი შეკრება თავდება აგურამის მიერ „ღვთის წყალობის“ — ბარაქას გაღებით, რაც სასიკეთო მომავლის საწინდრად ითვლება. აგურამები ფლობენ მაგიურ ძალასაც. გადმოცემის მიხედვით, მათ შეუძლიათ ძლიერი ზემოქმედება მოახდინონ პიროვნების ქცევაზე, ისინი განსაზღვრავენ საზოგადოების სწორ ფუნქციონირებას. აგურამები კარგად ფლობენ როგორც არაბულ და ბერბერულ ენებს, ასევე ევროპულ ენებსაც, თანამედროვე აგურამი პოლიტიკურად განათლებული და მჭევრმეტყველია, თითოეული მათგანი ვალდებულია ყურანი, მუსლიმური კანონ-სამართალი ზეპირად იცოდეს. ერთმანეთის ცოდნის შემოწმების მიზნით, ისინი მეჩეთში აწყობენ კრებებს. რომელსაც მათ მიერ არჩეული მუკადდამი (არაბულად წინამძღოლი) ხელმძღვანელობს. აგურამები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს პოლიტიკური მომზადების დონის და საერთო ცოდნის გამოსარკვევად, ის ვინც ცოდნის მაქსიმუმს ვერ გამოამჟღავნებს, ეძლევა ვადა საკუთარ თავზე მუშაობისათვის, ამ პერიოდში მან უნდა სრულყოს, აიმაღლოს პირადი განათლების დონე. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფლება ჩამოერთმევა იყოს რელიგიური ლიდერი და ეკრძალება

ღვთის სამსახური. მაროკოს მეფე ჰასან II, ითვალისწინებს რა ბერბერებში ადგილობრივი რელიგიური ლიდერების ავტორიტეტის ზრდას და მათ წამყვან როლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ცდილობს ისინი მმართველ რელიგიურ ორგანიზაციებში გააერთიანოს. მათ სთავაზობენ ხელმძღვანელ პოსტებს ხაბუსებისა და ისლამურ საქმეთა სამინისტროში. მიუხედავად ასეთი მიმზიდველი წინადადებისა, ბერბერი რელიგიური ლიდერების უმრავლესობა სამეფო კარის სამსახურზე უარს აცხადებს.

თანამედროვე მაროკოში განვითარების „მესამე გზის" კონცეფციად ისლამის და სოციალიზმის გაერთიანება ითვლება, სხვა არაბული ქვეყნების მსგავსად, სადაც რევოლუციურ-დემოკრატიული წრეების მიხედვით, ისლამი სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე მიუთითებს, მაროკოს ფეოდალურ-მემამულური და ბურჟუაზიულ რეფორმისტული წრეები ისლამის და სოციალიზმის სინთეზს ქადაგებენ. ბურჟუაზიული ყაიდის „ისლამური სოციალიზმის" დოქტრინა საკუთარი შეესაბამება მაროკოს ბურჟუაზიულ-რელიგიური პარტიის „ისთიკლალის" (დამოუკიდებლობა) პროგრამას. „ისთიკლალის" ლიდერების განცხადებით, სოციალური თანასწორობის მიღწევა ეროვნული სიმდიდრის გადანაწილებითა და მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ცხოვრების დონის ერთმანეთთან მიახლოვებით შეიძლება.

უკანასკნელ წლებში მაროკოს მმართველი წრეები ავრცელებენ ე. წ. „დიადი მაღრიბის" შექმნის იდეას, რომელიც „არაბულ-ისლამური სამყაროს" შემადგენელი ნაწილია. ამ კონცეფციის მქადაგებლად „ისთიკლალი" გამოდის. აქედან გამომდინარეობს მეზობელ სახელმწიფოებთან უთანხმოებანი ტერიტორიული საკითხის გარშემო. სიმძიმის ცენტრის გადატანა საერთაშორისო სარბიელზე, მაროკოს მთავრობის აზრით, მოსახლეობის ყურადღებას მწვავე სოციალურ პრობლემებს ჩამოაშორებს. მაროკოს მეფე ჰასან II ეფექტურად იყენებს ისლამს ხალხის მასებზე მორალურ-ფსიქოლოგიური გავლენის მოსახდენად, რაც მონარქიას საშუალებას აძლევს რელიგიაზე დაყრდნობით სტაბილური შინაპოლიტიკური მდგომარეობა შექმნას.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც მაროკო კონსტიტუციურ

მონარქიად გამოცხადდა, მიუხედავად ამისა, ჰასან II, რომელიც უკვე 58 წლისაა, ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ იტანს.

ამჟამად, როდესაც დასავლეთ საჰარაში მაროკოს მსხვილი შეიარაღებული შენაერთებია განლაგებული, მუსლიმური სამღვდელოება ძირითადად კოოპტირებულია არსებულ რეჟიმთან. ხოლო 1981 და 1984 წლებში მომხდარი მღელვარებები უფრო პურის ამბოხს ჰგავდა, ვიდრე ანტიმონარქიულ გამოსვლებს. ჰასან II-ის ხელისუფლებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

მეფე ჰასან II არამარტო 350 წლის ალაუიტების დინასტიის მემკვიდრეა, არამედ იმამია, თავის ხალხის სასულიერო ბელადი. ლონდონის ყოველკვირეული „ფაინენშლ ტაიმსის“ (13.07.1987) აზრით, ქვეყანა ამჟამად ჰასან II-ის საიმედო კონტროლის ქვეშ იმყოფება. იმავე დროს მიაჩნიათ, რომ უახლოეს 5—6 წელიწადში დიდი განსაცდელის დრო დადგება. მუსლიმური ფუნდამენტალიზმი, თუმცა ჯერ კიდევ დეზორგანიზებული, თანდათან ვრცელდება ჩრდილოეთშიც. ამასთან მსხვილი ქალაქების გარეუბნის ჯურღმულები მხოლოდ ნაპერწკალს ელოდება. შორს საჰარაში მიმდინარე ბრძოლები რომ არა, რომ არა ის კონფლიქტი, რომელიც ხელს უწყობს მაროკოს საზოგადოების შემეიდროება, ქვეყანას პოლიტიკური განსაცდელი უფრო ადრე მოევლინებოდა.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ 30 წლის მანძილზე ფეოდალური მონარქია მაროკოს ბურჟუაზიულ მონარქიად გადაიქცა, მეფე კვლავ ასრულებს ქვეყნის ჭრელი, მრავალწყობიანი და, სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით, მრავალსახიანი საზოგადოების კოორდინატორის, ინტეგრატორისა და უნიფიკატორის როლს.

მსოფლიო კაპიტალიზმის ღრმა და გადაუჭრელი წინააღმდეგობანი, ნეოკოლონიალისტური მექანიზმების საშუალებით, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ახალგაზრდა ქვეყნების შინაგან ევოლუციაზე და განსაკუთრებით მაროკოზე, როგორც აფრიკულ-აზიური სამყაროს განთავისუფლებული ქვეყნების ტიპურ წარმომადგენელზე, სადაც ზემოთ დასახელებული ფაქტორების რთული კვანძი განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას. ყოველივე ეს წარმოშობს მონარქიის გაძლიერების ახალ სტიმულებს.

როგორც ვხედავთ, მაროკოში, კარგად არის შეთავსებული წარსულისა და აწმყოს ნიშან-თვისებები, მის ცხოვრებაში ტრადიცია და თანამედროვეობა მკაფიოდ ჩანს ყველაფერში: სამეურნეო საქმის მართვაში და წარმოებით ურთიერთობაში, სახელმწიფო და პოლიტიკურ წყობილებაში, ეთნო-სოციალურ და კულტურულ-ლინგვისტიკურ პრობლემატიკაში და, განსაკუთრებით, რელიგიაში.

სხვა არაბული ქვეყნებისაგან განსხვავებით, მაროკო გამოირჩევა არამარტო ეთნიკური და კულტურული სიჭრელით, არამედ ისტორიულ-პოლიტიკური ტრადიციების ყველაზე უფრო ორიგინალური შეხამებით და სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ეკონომიკური, ტექნიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მოდერნიზაციის თანამიმდევრული გატარებით.

შინაარსი

ტრისტან ლაბარტყავა, სკკპ XXVII ყრილობა იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების შესახებ თანამედროვე ეტაპზე 3

სოსო ცინცაძე, ეკლიანი გზა უბირთვო მსოფლიოსაკენ . 26

აბონ ციციაშვილი, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია მშვიდობისა და უშიშროების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია . 43

გიგა ბურდული, ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის . . 53

კონსტანტინე ჟღენტი, იორდანია-პალესტინელთა ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე და მათი როლი არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში 65

ვასილ კაკარავა, ზოგიერთი პარალელის შესახებ რ. რეიგანის ადმინისტრაციისა და XX საუკუნის 20-იანი წლების რესპუბლიკური ადმინისტრაციების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში 77

სოსო ცინცაძე, კოსმოსი — მომავალი ომის ველი? 87

ნანა ჭედია, ვაშინგტონი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინააღმდეგ . . . 107

დავით გეგეშიძე, საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ბურჟუაზიულ-კლერიკალური ფალსიფიკაციის კრიტიკა 117

ზაზა მენთეშაშვილი, ისლამის როლი თანამედროვე არაბულ საზოგადოებაში (მაროკოს მაგალითზე) 136

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი
მხატვარი დ. ჯაბუა
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორი ე. კასრელიშვილი

სბ 1357

გადაეცა წარმოებას 19. 11. 87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 05. 88.

უე 07875. საბეჭდი ქაღალდი 60×84.1/16. პირობითი ნაბეჭდი

თაბახი 9,5 სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,35

ტირაჟი 1000 შეკვეთის № 1613

ფასი 80 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.